პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ოთხშაბათი, 19 ივნისი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 138 (2484)

დღიური

- თურქეთ-საბერძნეთის პრესის პოლემიკა განიარაღების საკითხზე.
- პოლიციის თავდასხმა პოლონეთის კომუნისტ დეპუტატებზე.
- ჩინეთში ძლიერდება კომუნისტურ რაზმების მოქმედება.
- რიგაში გაიხსნა ლატვიის სოც.-დემ. პარტიის კონგრესი.
- მთავრობის სიის დამარცხება ლიუბლინის და გროდნოს (პოლონეთი) მუნიციპალურ არჩევნებში.
- გაიხსნა კომკავშირის მე-6 საკავშირო კონფერენცია.
- საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა შვეციის და ნორვეგიის მუშათა დელეგაციები.

25 ივნისს, საღამოს 6 საათზე, თბილისის მუშათა თეატრის შენობაში
(ცორესის ქუჩა)

მოწვეულია

თბილისის მე-X პარტიული კონფერენცია

დღის წესრიგი:

1) სოფლის მეურნეობის განვითარების გზები და სოფლად მუშაობა (ამხ. ლ. ლოლობერიძის მოხსენება)
2) კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა (ამხ. კანდელაკის მოხსენება)
3) დელეგატების არჩევა პარტიის მე-6 სრულიად საქართველოს ყრილობისთვის.

კონფერენციის დელეგატები ბილეთებს მიიღებენ რაიკომებში 22 ივნისიდან.

საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომ. პრეზიდიუმი.

პროფმუშაობა სოფლად

სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანა უშუალოდ არის დაკავშირებული მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის გაძლიერებასთან გლეხთა მასაში. ჩვენ გვაქვს მრავალი საშუალება, რომელთაც მივმართავთ პროლეტარული კლასიური პოლიტიკის გატარებისათვის სოფლად. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია პროფესიონალურ ორგანიზაციებს. პროფკავშირის, როგორც დაქირავებულ მუშა ხელის მასიურ ორგანიზაციის, როლი მეტად თვალსაჩინოა სოციალისტურ აღმშენებლობაში ქალაქად და სოფლად. რამდენად წარმატებით ასრულებენ პროფესიონალური ორგანიზაციები იმ ამოცანებს, რომელთაც მათ აკისრებს დღევანდელი პირობები? ამ კითხვაზე უკვე გასცა პასუხი პროფესიონალურ ორგანიზაციათა საკავშირო საბჭოს უკანასკნელმა პლენუმმა, რომელმაც აღნიშნა, რომ უკანასკნელი ხნის განმავლობაში პროფორგანოები შესამჩნევად მოიკოჭლებდნენ მუშაობის მთელ რიგ მნიშვნელოვან დარგში. სათანადოთ არ არის გაშლილი მასიურ-აღმზრდელობითი საქმიანობა, შესაფერ სიმაღლეზე არ სდგას პროფკავშირების მონაწილეობა წარმოების ყოველდღიურ მუშაობაში, საჭირო ყურადღება ვერ ექცევა პარტიის მორიგ დირექტივების გატარებას: ბრძოლას შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, სოციალისტური შეჯიბრების განსავითარებლად, ბიუროკრატიზმის აღმოსაფხვრელად და სხ.

დღეს ჩვენ უკვე მოგვეპოვება მეორე დოკუმენტი, რომელიც შეეხება პროფესიონალური კავშირების მუშაობას სოფლად. მხედველობაში გვაქვს საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელიც გადაჭრით აღნიშნავს, რომ პროფესიონალური ორგანიზაციები ვერ იჩენენ აქტივობას მთელ რიგ საჭირბოროტო და უაღრესი მნიშვნელობის მორიგ ამოცანათა გადაწყვეტაში სოფლად. „პროფკავშირები სოფლად, ნათქვამია საკავშ. კომპ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას არ აქცევენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანებს; პროფორგანიზაციებმა ჯერ-ჯერობით ვერ გამოიყენეს ყველა შესაძლებლობა პროლეტარული გავლენის გასაძლიერებლად სოფლად; პროფორგანოები სათანადოდ ვერ ამზადებენ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ მუშებს სოციალისტური რეკონსტრუქციის აქტიური გამტარებლისა და ორგანიზატორების როლისათვის, საკმაო გავლენას ვერ ახდენენ საბჭოთა ორგანიზაციებისა და კოოპერაციის მუშაობაზე სოფლად" და სხ.

თავისთავად ცხადია, რომ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოს მიერ აღნიშნული დეფექტები პროფორგანოების მუშაობაში დიდ დაბრკოლებას ქმნის სოფლის წარმატებით განვითარებისათვის სოციალისტური აღმშენებლობის გზით. პროფესიონალური კავშირები ორგანიზაციულად დარაზმული მშრომელთა გაერთიანებაა. ცხადია, ყოველ ახალ წამოწყებაში, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა აღმშენებლობის წარმატებისაკენ, ისინი უცხოველეს მონაწილეობას მიიღებენ. სოციალისტური მშენებლობის განვითარების მიმდინარე პერიოდი მთელი თავისი სიმწვავით აყენებს ჩვენს წინაშე სოფლად მუშაობის დარგში გლეხთა მეურნეობის კოლექტიურად გაერთიანების ამოცანებს. უდავოა, რომ პროფესიონალური ორგანოები ამ საქმეში ინიციატორები უნდა იყვნენ. ნამდვილად კი კოლექტივების მშენებლობაში პროფკავშირების ხელი თითქმის არ სჩანს. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ სოფლად საკმაოდ მოიპოვება კავშირებში დარაზმული მასები.

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოხსენებულ დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ **საჭიროა მოხდეს გადამწყვეტი გარდატეხა პროფკავშირების მუშაობაში სოფლად.** ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობის გაძლიერებას სასოფლო-სამეურნეო მუშებს შორის. პროფკავშირთა მასების ეს ფენები მეტად მჭიდროდ არიან დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან, მათ აქტიურ მონაწილეობას კოლექტივების მშენებლობაში, საბჭოთა, კოოპერატიულ და სხვა ორგანოების მუშაობაში უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია. მუშათა ეს ფენები წარმოადგენენ სოფლად პროლეტარიატის გავლენის გამტარებელ ერთ-ერთ საიმედო და მნიშვნელოვან ძალას. ამავე დროს ჯერ-ჯერობით მეტად ცოტა რამ კეთდება დაქირავებული მუშა ხელის მომზადებისა და ორგანიზაციულად დარაზმვისათვის სოფლად. ზოგიერთ შემთხვევაში სასოფლო-მეურნეობის მუშები პროფესიონალური კავშირის წევრებიც კი არ არიან. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ძნელია იმაზე ლაპარაკი, რომ სოფლის პროლეტარიატი შესძლებს წარმატებით უხელმძღვანელოს საბჭოთა აღმშენებლობას და სათანადო გავლენა მოიპოვოს გლეხთა მასებზე. დასკვნა აქედან თავისთავად გამომდინარეობს. საჭიროა გაათკეცებული ენერგიით მუშაობა, პირველ ყოვლისა, თვით სასოფლო-მეურნეობის მუშათა კიდევ უფრო შესაკავშირებლად, მათ შორის კულტურულ და პოლიტიკურ აღმზრდელობითი საქმიანობის გასაფართოებლად.

ასევე უნდა ითქვას სოფლად მომუშავე სხვა დარგის პროფესიონალურ გაერთიანებათა შესახებ. მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, და, საერთოდ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანოთა სხვა მუშაკები ჯერ კიდევ საკმაოდ ფართოდ არ არიან ჩაბმულნი ახალ აღმშენებლობაში. სათანადო პროფესიონალური ორგანოების მუშაობა აქაც საგრძნობლად მოიკოჭლებს. ყოველი ზომები უნდა იქნას მიღებული ამ ნაკლის გამოსასწორებლად უახლოესი დროის განმავლობაში. ამ მიზნით უნდა ჩატარდეს სოფლად მომუშავე პროფკავშირთა მასების სპეციალური თათბირები, უნდა სწარმოებდეს გაცხოველებული ახსნა-განმარტებითი მუშაობა, სათანადო ლიტერატურის გამოცემა-გავრცელება და სხვ.

საქმე დაყოვნებას არ ითმენს. პროფკავშირები მნიშვნელოვნად ჩამორჩენ ახალ საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯის ცემას სოფლად. საჭიროა მთელი ენერგიის დაჭიმვა, რომ ეს ნაკლი გამოსწორებულ იქნას. პირველი სიტყვა ამ შემთხვევაში თვით პროფესიონალურ კავშირებს ეკუთვნის.

გაზაფხულის თესვის კამპანიის მთავარი შედეგები

გაზაფხულის თესვის კამპანიის შედეგების დამახასიათებელი საბოლოო ცნობები ჯერ არა გვაქვს, მაგრამ წინასწარი ციფრები და მასალები უფლებას გვაძლევენ გამოვიყვანოთ მთავარი პოლიტიკურ-ეკონომიური დასკვნები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაუდოთ შემდგომს მუშაობას. არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ საბოლოო ცნობების მიღების შემდეგ ამ დასკვნების შეცვლა დაგვჭირდება.

გაზაფხულის თესვის განვლილ კამპანიას უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო პირველი მასიური სამეურნეო კამპანია სოფლად, რომელიც ჩატარებულ იქნა სოფლის მეურნეობის ტეხნიკური და ეკონომიური რეკონსტრუქციისა და მისი ინდუსტრიალიზაციის ამოცანის თვალსაზრისით; ეს ამოცანა ჩვენმა პარტიამ მკაფიოდ შეიგნო და ჩამოაყალიბა. ამ კამპანიას, მის ჩატარებას და მის შედეგებს უდიდეს ყურადღებას მიაქცევენ არა მარტო ჩვენი კავშირის მშრომელთა უფართოესი მასები, არამედ ჩვენი კლასობრივი მტრებიც, რომლებიც კბილთა ღრჭენით ადევნებენ თვალყურს საბჭოთა კავშირის შეუჩერებელ სამეურნეო ზრდას მშრომელთა ათეული მილიონების თვითმოქმედების საფუძველზე.

მთელს საბჭოთა კავშირში გაზაფხულის თესვის კამპანიის მატერიალურ-სამეურნეო უზრუნველყოფა საშუალოდ საკმაოდ დამაკმაყოფილებლად მოხდა. მიუხედავად სხვადასხვა სიძნელეებისა, შარშანდელ წელთან შედარებით მანქანებისა და ტრაქტორების მოწოდების გეგმები არსებითად შესრულებულ იქნა. კონტრაქტაცია პრაქტიკულად პირველად განვითარდა და საკმაოდ ფართოდ შეეხო თითქმის ყველა კულტურას. პრაქტიკულად პირველად გაიშალა და განვითარდა მრავალწლიანი კონტრაქტაცია. წარმატებით იქნა ჩატარებული თესლეულის დახარისხება და სხვადასხვა აგრონომიული ღონისძიება. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ნათესი სივრცის აშკარა ზრდა და მოსავლიანობის გადიდება.

სოციალისტური ფორმები სოფლად მტკიცედ ვითარდება; წელს, როგორც შარშანაც, გათვალისწინებული გეგმები სინამდვილეს შორს ჩამორჩა. კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვი დიდი სისწრაფით იზრდება.

ჩვენი განსაკუთრებული სიამაყის საგანს შეიძლება წარმოადგენდნენ ახალი საბჭოთა მეურნეობების გაშლა-განვითარების შედეგები, რა ეჭვის თვალით უყურებდნენ საბჭოთა მეურნეობების—გიგანტების სახელმწიფო ქსელის ორგანიზაციის ფართო გეგმას არა მარტო ჩვენი მტრები, არამედ ბევრი ჩვენი სპეციალისტებიც! მართლაც, საბჭოთა მეურნეობების ქსელის გაშლა-განვითარების დასახულ გეგმას მაგალითი არა აქვს ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ისტორიაშიც კი. მაგრამ ასეთი მაგალითების უქონლობის მიუხედავად, თესვის პირველსავე კამპანიაში ხორბლეულის ტრესტმა უძვირფასესი გამოცდილება შეიძინა; პრაქტიკულად დამტკიცდა, რომ სრულიად რეალურია საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გაშლა-განვითარების დასახული გეგმა; ხორბლეულის ტრესტის დავალებანი გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს შესრულებულია 100-ზე მეტი პროცენტით.

წინასწარი მასალები გვიჩვენებენ აგრეთვე ჩატარებული კამპანიის ზოგიერთ სუსტ მხარეს. კერძოდ, სხვადასხვა ქალაქებში სათანადოდ ვერ განვითარდა მუშათა ბაღ-ბოსტნების ორგანიზაციის საქმე, რომელსაც ამჟამად განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობა აქვს. ბევრ შემთხვევაში საბჭოთა, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და მუშათა ორგანიზაციები მხოლოდ ცირკულიარებს დასჯერდნენ, ხოლო მუშათა ბოსტნების შექმნის ცოცხალი საქმე ადგილიდან ვერ დაიძრა. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მუშაობის ეს სუსტი ადგილი და ყოველგვარი ღონე ვიხმაროთ, რომ შემოდგომაზე წინ წავწიოთ მუშათა ბოსტნების ორგანიზაციის საქმე.

ასეთია წინასწარი ცნობებით გაზაფხულის თესვის კამპანიის ზოგადი რიცხვობრივი შედეგები. ამ ცნობებიდან გამომდინარეობენ სხვადასხვა პოლიტიკურ-ეკონომიური დასკვნები. ამჟამად ჩვენ შევჩერდებით ორ დასკვნაზე:

ჯერ ერთი, გაზაფხულის თესვის კამპანია მოწმობს, რომ ძირითად ღარიბ და საშუალო გლეხურ მასას ახასიათებს უდიდესი საწარმოო სტიმული. თესვის კამპანიამ აამოძრავა გლეხთა ფართე მასები: კამპანიის მსვლელობაში წარმოიშვა და განვითარდა მუშაობის ახალი ფორმები (აგრომინიმუმი) და ახალი ინსტიტუტები (აგრორწმუნებულები, საწარმოო თათბირები). აგრორწმუნებულთა რიცხვი 100000 კაცს აღემატება. რაც შეეხება აგრომინიმუმს, მარტო რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში აგრომინიმუმის ჩამტარებელთა რიცხვი 200000-ს სჭარბობს.

რას მოწმობს ყოველივე ეს? ყოველივე ეს უდავოდ მოწმობს მემარჯვენე ოპოზიციის პლატფორმის სრულ გაკოტრებას. მემარჯვენე ოპოზიციონერები ხომ დაჟინებით ამტკიცებდენ, რომ, თითქო, პარტიის შემცდარი პოლიტიკის წყალობით, გლეხთა ძირითად მასას არ გააჩნია საწარმოო სტიმულები. ეს მემარჯვენე ოპოზიციონერები იყვნენ, რომლებიც გაჰკიოდენ, რომ, თითქო, მუშათა კლასი და გლეხობა დაშორდენ ერთმანეთს. გაზაფხულის თესვის კამპანიაში ჩვენ შევამოწმეთ პარტიის ხაზი და ოპოზიციის პლატფორმა ფართე სამეურნეო სარბიელზე და ცხოვრებამ დაამტკიცა მთელი ოპოზიციონურ ანალიზის, მთელი ოპოზიციონური პლატფორმის სრული დამარცხება. მტკიცებას გლეხობასთან დაშორების, სამეურნეო სტიმულების უქონლობას, დეგრადაციისა და სხვათა შესახებ ხომ ცენტრალური ადგილი ეჭირა მემარჯვენე ოპოზიციონერთა შეხედულებების სისტემაში. ამჟამად სოფლისათვის უმნიშვნელოვანეს კამპანიის, თესვის კამპანიის, შემოწმების შემდეგ, სასაცილოდ და უსუსურად გვეჩვენება ლაპარაკი მუშათა კლასისა და გლეხობის დაშორების და სასოფლო მეურნეობის დეგრადაციის შესახებ.

ჩვენ ვხედავთ, რომ ძირითად ღარიბ და საშუალო გლეხურ მასას აქვს უდიდესი საწარმოო სტიმულები, რომ აჩქარებულია სასოფლო მეურნეობის ზრდა.

პრაქტიკაში ხდება საწარმოო დაკავშირების ახალი ფორმების განმტკიცება; ამ ფორმების გაშლის და გაღრმავების შედეგად წვრილი და უწვრილესი საგლეხო მეურნეობა მსხვილ განსაზოგადოებრივებულ მეურნეობის გზას ადგება.

მაგრამ ამ მიღწევებმა არ უნდა მოადუნონ ჩვენი ენერგია. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მხოლოდ სრულიად პირველი ნაბიჯია სასოფლო მეურნეობის ზრდის დაჩქარების და მისი უაღრესი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ამოცანის გადასაჭრელად. ჩვენ მოვალე ვართ გულდასმით შევისწავლოთ და აღვნუსხოთ მუშაობის ახალი მეთოდები და ინსტიტუტები. ჩვენ მოვალე ვართ დავინახოთ ამ ინსტიტუტების მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. კერძოდ მთელი სიძლიერით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ აგრორწმუნებულებსა და აგრონომებს შორის არ არსებობს საკმაო კავშირი. ჩვენი ამოცანა უნდა იყოს ამ ნაკლის აღმოფხვრა. ჩვენ მიზნად უნდა დავისახოთ სასოფლო საწარმოო თათბირების მუშაობის გაღრმავება. მთელ რიგ ადგილას აგრომინიმუმი მაინც არ ჩატარებულა გლეხთა საკმაოდ ფართე მასებში. აქაც ისე, როგორც ჩვენს ქარხნებში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის დროს, ადგილი ჰქონდა საქმისადმი ფორმალურ მიდგომას. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლად საწარმოო თათბირების მუშაობის ძირითადი ღირებულება ისაა, რომ საქმეში ჩავაბათ გლეხთა ფართე მასები და ჩვენ მოვალე ვართ ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ საწარმოო თათბირების მუშაობა სოფლად გახდეს უფრო მასიური, უფრო ღრმა.

მეორე დასკვნა, რომელსაც ჩვენ საჭიროდ ვსთვლით ხაზი გაუსვათ, მდგომარეობს შემდეგში. კულაკი ყველგან გამოდის აგრომინიმუმის ჩატარების წინააღმდეგ. მრავალია შემთხვევა, როდესაც კულაკი აგიტაციას ეწევა თესლის გაწმენდის, ტრაქტორების და სხვათა წინააღმდეგ. ამავე დროს ჩვენი აგრომინიმუმი მართლა მინიმუმს წარმოადგენს და, რომელსაც კულაკი ამ მინიმუმის გატარებას ეწინააღმდეგება, იგი ხელს უშლის ტეხნიკურ პროგრესს სოფლად.

ამგვარად, სოციალისტური შეტევის პირობებში, კულაკების სურვილის წინააღმდეგ საშუალო და ღარიბი გლეხების ძირ აგრომინიმუმის განხორციელება კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ ფორმად გადაიქცა და ამ ბრძოლაში იმარჯვებს არა კულაკი, არამედ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასა.

საზღვარგარედ და ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიული ეკონომისტები ლაპარაკობდნენ „მოჯადოებული წრეების" შესახებ, რომლებშიაც, თითქოს, ტრიალებდეს საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკა. უაღრესად სერიოზულ „მოჯადოებულ წრეს" ისინი ხედავდნენ იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ერთის მხრით, საჭიროა სოფლის მეურნეობის საქონლიანობის ზრდა, მეორეს მხრით, იგი, პოლიტიკური მოსაზრებით, იძულებულია შეაფერხოს საქონლის მეურნეობის ზრდა და ებრძოლოს მას. ამ მსჯელობაში შეუმჩნევლად უთანაბრებენ ერთმანეთს საქონლის მეურნეობას და კულაკურ მეურნეობას, ტეხნიკურ-პროგრესიულ მეურნეობად სთვლიან კულაკურ მეურნეობას.

მაგრამ ჩვენ ახლა ვხედავთ, რომ ეს „მოჯადოებული წრე" არსებობდა მხოლოდ ბურჟუაზიული ეკონომისტების წარმოდგენაში. ახლანდელი მდგომარეობის არსებით მხარეს ის შეადგენს, რომ სოფლად ტეხნიკური პროგრესის სათავეში დგება მუშათა კლასი და სოფლის ტეხნიკური პროგრესის დროშა უჭირავს არა კულაკს, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების პატრონს, მუშათა კლასს. სოფლის მრავალსაქონლიანი მეურნეობის ნიმუშს უფრო და უფრო ვვაძლევენ საბჭოთა მეურნეობანი და კოლექტიური მეურნეობანი. სწორედ ეს მეურნეობანი წარმოადგენენ ტეხნიკურად მოწინავე მეურნეობის ნიმუშს. ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობაში მასა იწყებს მანქანებისა და სატრაქტორო სადგურების გამოყენებას და რაც მეტი ხანი გავა, უფრო მეტად გამოიყენებს იგი მოწინავე ტეხნიკას, რომელიც ხელს შეგვიწყობს, რომ ეს მცირე და უმცირესი ინდივიდუალური მეურნეობა გადავიყვანოთ მსხვილ, მოწინავე განსაზოგადოებრივებული მეურნეობის გზაზე.

„პრავდა", 14 ივნისი.

დაიხურა გერმანიის კომპარტიის ყრილობა

ყრილობა კატეგორიულად მოითხოვს შემარიგებლებისაგან ფრაქციების დაუყოვნებლივ დაშლას

მაკდონალდი დაუესთან შეხვედრის შესახებ

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

ბერლინი, 17 ივნისი. გერმანიის კომპარტიის ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე, პოლიტიკური რეზოლიუცია მიღებულ იქნა ყველა ხმით ერთი შემარიგებლის ხმის წინააღმდეგ.

პოლიტიკური რეზოლიუციის მიღების შემდეგ დარბაზში მოულოდნელად გაჩნდა, წითელ ფრონტელთა დათხოვნილი კავშირის ვედინგის რაზმის დელეგაცია, რომელსაც ყრილობა მქუხარე ოვაციებით შეხვდა. დელეგაცია მოვიდა წითელ ფრონტელთა კავშირის აკრძალულ ფორმაში კავშირის ორი დროშით.

დელეგაციის ერთ-ერთი წევრი მიესალმა ყრილობას და განაცხადა, რომ ბერლინის წითელ ფრონტელთა კავშირი, განსაკუთრებით ვედინგის რაიონის რაზმი, მიუხედავად აკრძალვისა, განაგრძობს მუშაობას.

„შეიძლება, — განაცხადა დელეგატმა,— **ჩვენი ფორმის განდევნა ქუჩებიდან, მაგრამ ჩვენს სიძულვილს ბურჟუაზიისადმი ვერავინ მოსპობს. წითელ ფრონტელთა კავშირი შეასრულებს თავის ვალს და დარჩება პროლეტარიატის თავდაცვის მტკიცე ორგანიზაციად; იგი იბრძოლებს გერმანიის კომპარტიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული".**

რეზოლიუცია შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ და ყრილობის პოლიტიკური კომისიის და პოლიტბიუროს დადგენილება შემარიგებლების შესახებ მიღებულ იქნა ყველა ხმით ერთის წინააღმდეგ. დადგენილება შემდეგ მოთხოვნებს უდგენს შემარიგებელთა პლატფორმის ხელის მომწერთ და მათ მომხრეებს: **ნახევრად მენშევიკურ შეხედულებებზე ხელის აღება, აღიარება იმის, რომ ყრილობისათვის წარდგენილი პლატფორმა ფრაქციული ხასიათისაა, ფრაქციის დაუყოვნებლივ დაშლა, ყოველგვარი ჯგუფური მუშაობის შეწყვეტა, ყრილობის გადაწყვეტილებებისა და პარტხელმძღვანელობის დირექტივების გადაუხრელად განხორციელება და დაცვა.**

„ყრილობა, — ნათქვამია დადგენილებაში, — ავალებს ახლად არჩეულ ცეკას, კომინტერნის აღმასკომთან ერთად, მიიღოს **საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებანი პარტიის მთლიანობის უზრუნველსაყოფად, და პარტიის გადაწყვეტილებათა გადაუხრელად განხორციელებისათვის".**

შემარიგებელთა ჯგუფის ბელადმა ევერტმა განაცხადა:

„ჩვენ პირობას ვიძლევით, არ შევქმნით არავითარ ფრაქციებს და ჯგუფებს და ჩვენს დამოკიდებულებას პარტიის ტაქტიკისადმი განვსაზღვრავთ იმ უფლება - მოვალეობით, რომლებიც ეძლევა პარტიის ყველა წევრს, ამასთან გადაუხრელად გავატარებთ ცხოვრებაში ყრილობისა და ცეკას გადაწყვეტილებებს".

ტელმანმა ამ განცხადების საპასუხოდ აღნიშნა, რომ ზოგიერთ საკითხში შემარიგებლებმა იარაღი დაჰყარეს პარტიის წინაშე. მაგრამ, ამ განცხადებაში არ არის პასუხი მთავარ კითხვაზე — **სცნობენ თუ არა ისინი წარმოდგენილ პლათფორმას ფრაქციულ დოკუმენტად და უარყოფენ თუ არა მას. ცეკა გარკვეულ პასუხს მოითხოვს ამ კითხვაზე.**

ევერტი გამოვიდა ახალი განცხადებით, და აღნიშნა, რომ მისმა ჯგუფმა გამოიყენა პარტიისა და ყრილობის წინაშე თავისი შეხედულების დაცვის უფლება. ყრილობაზე გამართული დისკუსიისა და ყრილობის გადაწყვეტილებების შედეგად ეს საკითხი ამოწურულია. ყრილობისათვის წარდგენილი დოკუმენტი არ ყოფილა გამოყენებული როგორც ფრაქციის პლათფორმა და ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს საბაბს შემდგომი დისკუსიისთვის.

ტელმანმა განაცხადა, რომ ევერტს არ გაუცია გარკვეული პასუხი კითხვაზე პლატფორმის ფრაქციულობის შესახებ.

თეზისები ომის საფრთხის შესახებ, აგრეთვე თეზისები პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ ეკონომიურ ბრძოლაში ყრილობამ მიიღო ყველა ხმით ერთის წინააღმდეგ.

ყრილობამ ერთხმად დაადასტურა ბრანდლერის 12 მომხრის და 5 ულტრამემარცხენის გამორიცხვა პარტიის რიგებიდან.

ამის შემდეგ ყრილობამ აირჩია ახალი ცეკა და ცენტრალური საკონტროლო კომისია, რომელშიაც შედიან მხოლოდ პარტიის გენერალური ხაზის მომხრეები.

ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევის შემდეგ **გეკერტმა** გამოაქვეყნა საკავშირო კომპარტიის (ბ) მისასალმებელი დეპეშა, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

შემდეგ ყრილობამ მიიღო მოწოდება გერმანიის მშრომელთადმი.

ყრილობა დამთავრდა ინტერნაციონალის და ვარაშვიანკის სიმღერით. (ადს).

თურქეთ-საბერძნეთის პრესის პოლემიკა

განიარაღების საკითხზე

სტამბოლი, 17 ივნისი. თურქეთისა და საბერძნეთის პრესას შორის გრძელდება [illegible] მათი განიარაღების საკითხის შესახებ.

„ჯუმხურიეთ"-ი გადაჭრით უარჰყოფს საბერძნეთის გაზეთების განცხადებას, თითქოს კრეისერი „იავუზ"-ის შეკეთების დამთავრების შემდეგ თურქეთი ომს გამოუცხადებს საბერძნეთს, რათა მატილენუს და ხიოსის კუნძულები უკან დაიბრუნოს. გაზეთი სწერს:

„თურქეთს არ სურს საფრთხეში ჩააგდოს საყოველთაო მშვიდობიანობა თვით იმ კუნძულებისთვისაც კი, რომლებიც ძალით მოჰგლიჯეს მას და გადასცეს უცხოელებს".

სტამბოლის პრესა ადარებს თურქეთისა და საბერძნეთის საზღვაო ძალებს და აღნიშნავს საბერძნეთის ფლოტის უპირატესობას.

„მილლიეთ"-ი ეხება საბერძნეთის ახალი კაბინეტის შემადგენლობას და ამტკიცებს, რომ საბერძნეთის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი **არგიროპულო,** რომელიც წინად სამხედრო მინისტრად იყო, საჭიროდ სთვლის საბერძნეთის საზღვაო შეიარაღების გაძლიერებას. (ადს).

პრესა ფინეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ

ჰელსინგფორსი, 17 ივნისი. „ფინეთის სოციალ - დემოკრატ"-ში მოთავსებულია წერილი ფინეთ - საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. წერილში ნათქვამია, რომ **ორივე ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ ურთიერთი ეკონომიური დამოკიდებულების მოწესრიგებას.**

გაზეთი სწერს, რომ ამ საკითხს დაუბრუნდება არჩევნების შემდეგ და აცხადებს: „ვისაც სურს სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან, მან ხმა უნდა მისცეს სოციალ - დემოკრატებს"-ო.

„მუშათა ორგანიზაციების უწყებები" **გადაჭრით უარჰყოფს ბურჟუაზიული პრესის ჭორებს საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლების არალოიალობის შესახებ.** (ადს).

პოლიციის თავდასხმა კომუნისტ-დეპუტატებზე

ვარშავა, 17 ივნისი. არჩევნებამდე 2 დღით ადრე კომუნისტ დეპუტატებმა კრუზელსკიმ და გავარისმა, ლიუბლინში, იეზოპლანის ქარხნის მახლობლად მიტინგი გამართეს. მიტინგზე შეგროვდა 1.000 კაცზე მეტი. პოლიცია შეუდგა შეგროვილ ხალხის გარეკვას და მივარდა კრუზელსკის. ერთმა პოლიციელმა მუშტი გაარტყა სახეში, ხოლო პოლიციის კომისარი შეეცადა ჩამოერთმია მისთვის დეპუტატის ბილეთი. მუშები ცდილობდნენ მიშველებოდნენ კრუზელსკის. კრუზელსკი და რამდენიმე მუშა დააპატიმრეს.

დეპუტატმა გავარისმა მამასახლისს განუცხადა, რომ საპროტესტოდ თავის მიერ ლიუბლინის ყველა მუშას, თუ კრუზელსკის არ გაანთავისუფლებენ. მამასახლისმა განკარგულება გასცა კრუზელსკის განთავისუფლების შესახებ. რათა დაეცვათ დეპუტატები შემდგომი ძალადობისაგან, მუშებმა ისინი სადგურამდე მიაცილეს.

საარჩევნო კამპანიის უკანასკნელ ორ დღეში პოლიციამ ლიუბლინში დასჭრა დემონსტრაციის 20 მონაწილეზე მეტი. (აყს).

ყალბი ჩერვონცების დამზადების საქმე

ბერლინი, 17 ივნისი. ბერლინის პროკურატურამ ბრალდება წაუყენა ყალბი ჩერვონცების დამზადების საქმის მონაწილეებს. ქართველებს **სადათიერაშვილს და ქარუმიძეს** და სტამბის პატრონს მიუნხენში **შნეიდერს** ბრალდებათ ყალბი ფულის დამზადება, ექიმ **ბეკერს** — ყალბი ფულის გავრცელება.

ამ პროცესმა უნდა გამოარკვიოს, თუ როგორ ხორციელდებოდა თანამშრომლობა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებსა და ინგლისის ნავთის იმ მაგნატებს შორის, რომელთაც შეჰპირდნენ სამხრეთ - რუსეთის ნავთის წყაროების ექსპლოატაციის უფლებას.

საქმის მთავარი მონაწილენი, სახელდობრ — დეტერდინგის ტრესტის ნავთის მაგნატები იუსტიციისათვის მიუწვდომელნი აღმოჩნდნენ.

სადათიერაშვილი არ უარჰყოფს ყალბი ჩერვონცების დამზადების ფაქტს და აცხადებს, რომ ამაზე დასთანხმდა „ბოლშევიკებისაგან საქართველოს განთავისუფლების" მიზნით.

ქარუმიძემ ინგლისიდან მიიღო დავალება — ყალბი ჩერვონცების მასიური დამზადებით დაეცა საბჭოთა ვალიუტის ღირებულება. ქარუმიძემ ყალბი ჩერვონცების დამზადება მიანდო სადათიერაშვილს, რომელსაც დიდი კავშირი ჰქონდა ბავარიის პოლიტიკურ წრეებთან.

დამცველებს სურთ დაამტკიცონ, რომ ყალბი ჩერვონცების დამზადებისათვის ფულს აწვდიდა ბავარიის ფაშისტური ორგანიზაციის ბელადი **ერხარდტი.** ამასთან დამცველებს განზრახვა აქვთ მოითხოვონ, რომ მოწმეებად გამოწვეულ იქნან ბავარიის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი. (ადს).

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

პროტესტი „ნიჩირო გიოგიოს" მოქმედების წინააღმდეგ

ტოკიო, 17 ივნისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას (იაპონიაში) ეწვივნენ იაპონიის ცნობილი გაზეთების წარმომადგენლები და პროტესტი განაცხადეს „ნიჩირო გიოგიო"-ს მოქმედების წინააღმდეგ („ნიჩირო გიოგიო"ავრცელებდა ყოველგვარ ჭორებს მეთევზეობის გარშემო წარმოშობილი კონფლიქტების შესახებ). ჟურნალისტებმა განაცხადეს, რომ ისინი აწყობენ „ნიჩირო გიოგიო"-სთან მებრძოლ ასოციაციას. (ადს).

საკონსულოზე თავდასხმამ სახელი გაუტეხა ხელისუფლებას

ხარბინი, 17 ივნისი. მანჯურიის ყველა იაპონიური გაზეთი ამტკიცებს, რომ **ჩინეთის ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები ყალბია და დამზადებულია რუს თეთრგვარდიელების მიერ.**

ხარბინისი „ნიცი ნიცი" აღნიშნავს, რომ ჩხრეკამ ჩინეთის ხელისუფლებას სასურველი შედეგები არ მისცა. მანჯურიის საზოგადოებრივ განწყობილებაში აშკარა გარდატეხა მოხდა. ფართო წრეები აშკარად დასცინიან ხარბინის ხელისუფლების უხეშ აქტს.

უცხოეთის საქმიან წრეებში ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა საკონსულოზე თავდასხმამ აღმოსავლეთის სამი პროვინციის ხელისუფლებას სახელი გაუტეხა უცხოელ დიპლომატთა თვალში და დაასუსტა ჩინეთის პოზიცია ექსტერიტორიალობის გაუქმებისათვის ბრძოლაში. (ადს).

პროვოკაციული კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

შანხაი, 17 ივნისი. ჩინეთის ნახევრად-ოფიციალური პრესა, რომელიც ინგლისურ ენაზე გამოდის, თავხედურ პროვოკაციულ კამპანიას აწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„მორნინგ პოსტ"-ი და „ჩაინა რიტიკ"-ი ამტკიცებენ, თითქოს საბჭოთა მთავრობა ყოველმხრივ სჩაგრავს საბჭოთა კავშირში მცხოვრებ მოქალაქეებს და ვითომ საბჭოთა კავშირში ცხოვრება აკრძალული აქვთ იმ ჩინელებს, ვისაც 500 მანეთი არ მოეპოვებათ.

ბოლოს, გაზეთები საბჭოთა მთავრობას ბრალს სდებენ იმაში, რომ იგი „მთელ ქონებას ართმევს ჩინელებს, რომლებიც საბჭოთა კავშირიდან მიემგზავრებიან"-ო.

„მორნინგ პოსტ"-ი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ჩინეთმა არ გადაასახლა „ის პირნი, რომელნიც საბჭოთა საკონსულოებში სცხოვრობენ". როგორც „ჩაინა კრიტიკ"-ი აცხადებს, ჩხრეკამ დაამტკიცა, რომ საბჭოთა საკონსულოები ჩინეთში აწყობდნენ შეთქმულებას ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების და იაპონიის წინააღმდეგ. ამავე დროს ხარბინელი კორესპონდენტი ინგლისურ ორგანოში „შანხაი ტაიმს"-ში აღნიშნავს, რომ საბჭოთა საკონსულოში ჩხრეკის დროს არაფერი არ აღმოუჩენიათ. (ადს).

მაკდონალდი დაუესთან შეხვედრის შესახებ

ლონდონი, 17 ივნისი. დაუესთან შეხვედრის შემდეგ მაკდონალდმა გამოქვეყნა შემდეგი განცხადება:

„ჩვენ ვისაუბრეთ საზღვაო განიარაღების საკითხის ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ. საუბარს ჰქონდა არაოფიციალური, საერთო ხასიათი და იგი მეტად დამაკმაყოფილებელი იყო. ეს მოლაპარაკების დასაწყისად უნდა გადაიქცეს. იმედი დამყარებულია იმაზე, რომ სხვა სახელმწიფოებიც მიიღებენ მონაწილეობას ამ მოლაპარაკებაში, რომლის წარმატებით დამთავრებაზე დამოკიდებულია მთელი მსოფლიოს ბედი". (ადს).

მთავრობის სიის დამარცხება

ვარშავა, 17 ივნისი. ლიუბლინის და გროდნოს მუნიციპალურ არჩევნებში მთავრობის სია დამარცხდა, მიუხედავად ხელისუფლების უდიდესი ზეგავლენისა

მემარცხენე მუშურ-გლეხურ ბლოკის გაქმებულმა სიამ მეორე ადგილი დაიჭირა. პილსუდსკის მომხრეებმა ხმები დაჰკარგეს უმთავრესად ნაც.-დემოკრატების სასარგებლოდ, ხოლო პოლონეთის სოც. პარტიამ — მუშურ-გლეხური ბლოკის სასარგებლოდ. (ადს).

პარლამენტის არჩევნების შედეგები

სამხრეთ-აფრიკის კავშირში

ლონდონი, 17 ივნისი. გამოქვეყნდა სამხრეთ - აფრიკის კავშირის პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგები. ნაციონალისტურმა პარტიამ, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ - მინისტრი გენერალი ჰერცოგი, მიიღო 78 მანდატი 148-დან. სხვა ფრაქციებთან ერთად, რომელიც მას მხარს უჭერენ, ნაციონალურ პარტიას, 26 მანდატით მეტი ექნება სამხრეთ - აფრიკის პარტიაზე, რომელსაც ხელმძღვანელობს ყოფილი პრემიერი სმეტი. (ადს).

ლატვიის სოც.-დემოკრატიული პარტიის კონგრესი

რიგა, 17 ივნისი. 14 ივნისს რიგაში გაიხსნა ლატვიის სოც.-დემოკრატიული პარტიის მორიგ და ამავე დროს საიუბილეო (25 წლის თავის სადღესასწაულო) კონგრესი.

ყრილობას ესწრებიან სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებიც. ყველა სტუმარმა თავის სიტყვაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაილაშქრა. (ადს).

პუანკარე სტრასბურგის მუნიციპალიტეტთან დამოკიდებულების შესახებ

პარიზი, 17 ივნისი. სტრასბურგის მერმა, კომუნისტმა იუბერმა პუანკარეს მიმართა წერილით და მოითხოვა, რომ სტრასბურგის მუნიციპალური თეატრი, წარსული წლების მაგალითის მიხედვით, განთავისუფლებულ იქნას სახელმწიფო გადასახადებისაგან

პუანკარემ უარი განაცხადა რაიმე შეღავათის მიცემაზე სტრასბურგის მუნიციპალიტეტისათვის, სადაც უმრავლესობა კომუნისტებსა და ელზასელ ავტონომისტებს ეკუთვნიან. პუანკარემ განაცხადა, რომ **„საფრანგეთის მთავრობასა და სტრასბურგის მუნიციპალიტეტს შორის არ შეიძლება რაიმე ურთიერთობა არსებობდეს"** (ადს).

რეფორმისტების მახინაციები

სტოკჰოლმი, 17 ივნისი. როგორც ოსლოდან იუწყებიან, ნორვეგიის მეტალისტების კავშირის ამას წინად მომხდარ ყრილობაზე კავშირის რევოლიუციონური ფრთა გამოვიდა პლატფორმით, რომელზედაც ყრილობის 27 მონაწილეს ეწერა ხელი. რათა ხელი შეეშალათ რევოლიუციონური ფრთის პლატფორმის მიღებისთვის, ცენტრისტებმა ხმის უმრავლესობით მიიღეს დადგენილება იმის შესახებ, რომ პლატფორმა გამოუკვლევლად გადასცემოდა ახალ ცენტრ. კომიტეტს. რევოლ. ფრთის პლატფორმა ფარდას ხდის რეფორმისტების როლს კაპიტალისტური რაციონალიზაციის გატარების საქმეში. და მოითხოვს ნორვეგიელი მუშების კავშირს საბჭოთა ქვეყნის პროლეტარიატთან (ადს).

მზადება ომის საწინააღმდეგო დღისათვის

პარიზი, 18 ივნისი. საფრანგეთის კომპარტია აფართოებს მოსამზადებელ კამპანიას ომის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღის —1 აგვისტოსათვის. ამ მიზნით, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამხედრო სამრეწველო წარმოებებს, ქარხნებს და ფაბრიკებს, რომელთა გამოყენებაც ომის დროს შეიძლება „თავდაცვისათვის". კამპანიის გაშლის დროს კომპარტია ამჟღავნებს სოციალ - დემოკრატიის გამცემლობას და მის მონაწილეობას ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის მზადებაში. ამის აშკარა ილიუსტრაციას წარმოადგენს ტულუზში მომხდარი ფაქტი, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ სოციალისტების ხელში მყოფმა მუნიციპალიტეტმა გადასდო 2 მილიონი ფრანკი ახალი საავიაციო ესკადრილიის შესაქმნელად. (ადს).

შრომის საერთაშორისო ბიუროს კონფერენციაზე

ჟუოს გამოსვლა

ბერლინი, 18 ივნისი. როგორც ჟენევიდან იუწყებიან, ერთა ლიგასთან არსებული შრომის საერთაშორისო კონფერენციაზე საფრანგეთის შრომის რეფორმისტული კონფერენციის წარმომადგენელმა **ჟუომ** სასტიკად გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ კონფერენციაზე დაშვებულ იქნა იტალიის ფაშისტური კორპორაციების წარმომადგენელი ლაცცა (ფაშისტური კორპორაციები ის ორგანიზაციებია, რომლებიც მთავრობამ პროფკავშირების ნაცვლად შექმნა). კონფერენციამ 84 ხმის უმრავლესობით 27-ის წინააღმდეგ დაადგინა — მართებულად სცნოს ლაცცას მანდატი. (ადს).

ჩინეთში

ნოტაზე არ უპასუხეს

შანხაი, 17 მაისი. როგორც ერონკინის მთავრობის სამინისტრო იუწყება, ჩრდ.-ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა, ჰოლანდიამ, ნორვეგიამ და ბრაზილიამ დღემდე არ უპასუხეს ერონკინის მთავრობის ნოტაზე უცხოელთა ექსტერიტორიალობის გაუქმების შესახებ ჩინეთში. (ადს).

აჯანყებულთა რაზმების მოქმედების გაძლიერება

შანხაი, 17 ივნისი. ძიანსის პროვინციის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილში გაძლიერდა აჯანყებულთა იმ რაზმების მოქმედება, რომლებსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ. სატელეგრაფო კავშირი მრავალ რაიონთან შეწყვეტილია.

ჩენძიანში, ნანკინის მახლობლად, დააპატიმრეს მთავრობის ერთი დაწესებულების თანამშრომელი გაო დაჩენი, რომელსაც კომუნისტურ მოღვაწეობას აბრალებენ.

ნანკინიდან იუწყებიან, რომ აჯანყებულთა მოძრაობა ძლიერდებაო (ადს).

სხვადასხვა

● **შულცის დაღუპვა.** დასავლეთ პრუსიაში გადაფრენის დროს სასიკვდილოდ დაშავდა აეროპლანების მოდელების შემდგენელი, მსოფლიო ჩემპიონი ამ დარგში შულცი. მასთან ერთად დაიღუპა კეიზერი.

● **აეროპლანის ავარია.** როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, აეროპლანი „ქალაქი პრეტორია", რომელიც ლამანშზე გადაფრენას აპირებდა, ზღვაში ჩავარდა. ერთი მგზავრი მოკვდა, 4—დაშავდა, 7—უკვალოდ დაიკარგა. (ადს).

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

პატეკი ამხ. კარახანთან

მოსკოვი, 18 ივნისი. „იმ მანიფესტაციების გამო, რომლებიც პოლონეთში მოაწყო ქართულმა თეთრმა ემიგრაციამ და რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მთელ საქართველოში შესდგა სტიქიური საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები პოლონეთის ხელისუფლების მოქმედების წინააღმდეგ, რადგან პოლონეთის ხელისუფლების ასეთი მოქმედება წარმოადგენს იმ ვალდებულებათა დარღვევას, რომლებიც პოლონეთმა ხელშეკრულებით იკისრა საბჭოთა კავშირის მიმართ.

8 ივნისს თბილისში შესდგა მრავალათასიანი სტიქიური მანიფესტაცია. დემონსტრანტების კოლონებმა გაიარეს პოლონეთის საკონსულოს შენობის წინ. კოლონების ამ მსვლელობამ 3 საათს გასტანა. 12 ივნისს მანიფესტაციები განმეორდა, მაგრამ უფრო ძლიერად და ფართოდ, ამასთან ადგილი ჰქონდა ექსცესებს მანიფესტაციების ზოგიერთი ჯგუფების მხრივ—ესროდნენ ლაყე კვერცხებს საკონსულოს შენობას.

თუმცა, თბილისიდან მიღებული ცნობებით, ეს ინციდენტები შედეგად მოჰყვა პოლონეთის საკონსულოს ცალკე თანამშრომლების ყოფაქცევას, რადგან ამ თანამშრომლებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო სიდინჯე და ტაქტი მანიფესტანტების გავლის დროს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 13 ივნისს, როცა პოლონეთის მოსკოველი ელჩი პატეკი საგარეო საქმეთა კომისარიატში მივიდა, გარეშე საქმეთა სახ. კომისრის მოადგილემ ამხ. კარახანმა სინანული გამოსთქვა იმ შეუწყნარებელი ექსცესების გამო, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ თბილისში. პატეკმა განაცხადა, რომ მას ჯერ ინსტრუქცია არ მიუღია ვარშავიდან ამ საკითხის გამო და ამიტომ ჯერ-ჯერობით მხოლოდ იმას თხოულობს, რომ მიღებულ იქნას ზომები საკონსულოს უშიშროებისათვის თბილისში. კარახანი დაჰპირდა პატეკს ზომების მიღებას, რათა ასეთი ინციდენტები აღარ განმეორდეს.

საუბრის დროს პატეკმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მიღებული ცნობების მიხედვით, საპროტესტო მოძრაობამ საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო, გამოაქვთ მრავალი რეზოლიუცია ანტი-პოლონური ხასიათისა და რომ ასეთ მოვლენებს შეუძლიათ ზიანი მიაყენონ პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობას. ამხ. კარახანმა მიუთითა პატეკს, რომ ამ მოვლენების მიზეზს წარმოადგენს ის აღშფოთება, რომელიც მოედო საბჭოთა კავშირს, მეტადრე საბჭოთა საქართველოს, იმის გამო, რომ პოლონეთში გაიმართა მანიფესტაციები საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ და ამ მანიფესტაციებში მონაწილეობა მიიღეს მთავრობის ზოგიერთმა პირებმა".

უკანასკნელი ცნობები

მთლიანი ფრონტი

ბერლინი, 18 ივნისი. სამხედრო ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათში გამომჟღავნდა მთლიანი ფრონტი ნაციონალისტებიდან დაწყებული სოციალ - დემოკრატებამდე. ნაციონალისტმა დეპუტატმა ლეტტოვმა ქებით მოიხსენია სოციალ - დემოკრატები იმის გამო, რომ ისინი მხარს უჭერენ რეიხსვერის პოლიტიკის გარეშე ყოფნას. ორატორმა მოუწოდა სამხედრო მინისტრს არ გახდეს სოც.-დემ. შინაგან საქმეთა მინისტრის ზევერინგის „მაჩანჩალად". ამაზე გრენერმა უპასუხა, რომ მასა და ზევერინგს შორის სრული თანხმობაა ყველა შინა-პოლიტიკურ საკითხებში, რომლებიც არმიას შეეხებიან.

სახალხო პარტიის დეპუტატმა, ყოფილმა ადმირალმა ბრიუნინგჰაუზმა მადლობა უძღვნა სოციალ - დემოკრატ ნოსკეს იმ დამსახურებისათვის, რომელიც მას მიუძღვის რეიხსვერის შექმნის საქმეში. ბრიუნინგჰაუზი სიხარულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ სოციალ - დემოკრატიამ არმიის მიმართ შესცვალა თავისი პოზიცია. ორატორის სიტყვით, ამჟამად არავითარ განიარაღებაზე არ შეიძლება ლაპარაკი.

ერთად-ერთი პრინციპიალური გამოსვლა რეიხსვერის საკითხის გარშემო იყო კომდეპუტატ შნელლერის მიერ წარმოთქმული სიტყვა. მან განაცხადა, რომ მუშათა კლასი ულრმესი ზიზღით უცქერის სამხედრო მისწრაფებებს, რადგან ეს წარმოადგენს პროლეტარიატის შევიწროების იარაღს. რეიხსვერი დამარცხდა მუშათა კლასთან ბრძოლაში, იგი შექმნილია მუშების რევოლიუციონურ მისწრაფებათა აღმოფხვრის მიზნით.

შემდეგ შნელლერმა განაცხადა, რომ გერმანიის რეიხსვერის გენერალური შტაბი ამზადებს სამხედრო გამოსვლებს აღმოსავლეთში. დასასრულ შნელლერმა სთქვა, რომ მიუხედავად დევნა-შევიწროებისა, კომუნისტები განაგრძობენ ბრძოლას შეიარაღების და მილიტარიზმის წინააღმდეგ, რათა საბოლოოდ მოსპონ ის ბატონობის იარაღი, რომელიც ბურჟუაზიის ხელთ იმყოფება.

საპროტესტო დემონსტრაცია

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. ჩიკაგოში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია გასტონიაში გაფიცულ ფეიქართა დევნის წინააღმდეგ. პოლიციამ გაფანტა დემონსტრანტები და დააპატიმრა 27 კაცი, მათ შორის კომპარტიის ც. კ.-ის წევრი ენგხოკი. დემონსტრაციები სხვა ქალაქებშიაც გაიმართა.

კომუნისტების წინადადება უარყვეს

ბერლინი, 18 ივნისი. ვოლფის სააგენტო იუწყება: სამხედრო ბიუჯეტის კენჭის ყრის დროს 224 ხმით 153-ის წინააღმდეგ რეიხსტაგმა უარყო კომუნისტების წინადადება, ამოეშალათ ბიუჯეტიდან ჯავშნოსან „ა"-ს ასაგებად მეორეჯერ თანხების გადადება. თანხების გადადების წინააღმდეგ ხმა მისცა აგრეთვე სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, გარდა სოციალ-დემოკრატ მინისტრებისა, რომლებმაც კომუნისტების წინადადების წინააღმდეგ მისცეს ხმა.

19 წლის პატიმრობის მისჯა

პარიზი, 18 ივნისი. კემბის გაფიცულ მაღაროს მუშებთან ჯარისკაცების დამმობილების შესახებ წერილების დაწერისათვის გამასწორებელმა სასამართლომ ორ კომუნისტს მიუსაჯა 3 წლის ციხე და 3.000 ფრანკი ჯარიმა თვითეულს. „უმანიტე"-ს პასუხისმგებელ რედაქტორ დენის ამ წერილების მოთავსებისთვის მიესაჯა 5 წლის ციხე და 3.000 ფრანკი ჯარიმა. (დენის მთელ რიგ წინათ გამოტანილ განაჩენებით უკვე მისჯილი ჰქონდა 14 წლის ციხე და 112.000 ფრანკი ჯარიმა. ამრიგად ახლა მას სულ მისჯილი აქვს 19 წლის ციხე და 115.000 ფრანკი ჯარიმა). (ადს).

კომუნისტური გაზეთის აკრძალვა

ბერლინი, 18 ივნისი. პოლიციამ სამი კვირით აკრძალა გერმანიის კომპარტიის მაგდებურგის ორგანო „ტრიბუნა" მოწინავე წერილის მოთავსების გამო, შემდეგი სათაურით: „ომის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სჯიან" და კომინტერნის აღმასკომში გერმანიის კომპარტიის წარმომადგენელ ხემარის მიერ წარმოთქმულ სიტყვის მოთავსებისათვის.

განაჩენი საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილეს მიმართ

ბერლინი, 18 ივნისი. ბერლინის მუშურ უბანში—ნეიკელნში სასამართლომ ერთი მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით საპირველმაისო დემონსტრაციის ერთ მონაწილეთაგანს მიუსაჯა ერთი წლის ციხე ტრამვაის ხაზის დაზიანების შესახებ წაყენებულ ბრალდებისათვის. (ადს).

ამხ. ფ. მახარაძე ქუთაისში

ქუთაისი, 18 ივნისი. აქ მოვიდა ამხ. ფილიპე მახარაძე ინჟ. ჭიჭინაძის თანხლებით. მათ დაათვალიერეს რიონჰესი, ბარიტის წისქვილი და მოწამეთის კირის ქარხანა; იყვნენ წყალტუბოშიაც.

18 ივნისს საღამოთი მახარაძე გამოვა მოხსენებით ქუთაისის პარტკონფერენციაზე.

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

შვეციის მემაღაროეთა დელეგაცია

ლენინგრადი, 18 ივნისი. ლენინგრადში ჩამოვიდა შვეციის მემაღაროეთა დელეგაცია. (ადს).

ძმური კავშირის დამყარება

მოსკოვი, 18 ივნისი. მოსკოვში დაბრუნდა მელითონეთა კავშირის ცეკას მდივანი ამხ. ლუკოვცევი, რომელიც დაესწრო მელითონეთა კავშირის კონგრესს ნორვეგიაში.

კონგრესმა შემთანხმებელთა უმრავლესობის მიუხედავად, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს მეგობრული კავშირის დამყარებას საბჭოთა მელითონეების კავშირთან და მის მიღებას მელითონეთა ინტერნაციონალში. (ადს).

მოსკოვი, 18 ივნისი. 16 ივნისს საბჭოთა მემაღაროეების კავშირის ცეკას მოწვევით მოსკოვში ჩამოვიდა ნორვეგიის შავმუშათა კავშირის დელეგაცია. ამ კავშირში მემაღაროეებიც შედიან. (ადს).

კოლხიდის დაბლობის გამოყენება

მოსკოვი, 18 ივნისი. საბჭოთა კავშირის სახ. საგეგმო კომისიაში წყალთა სექციის წევრმა, საბჭ. კავშ. უმაღლეს წყალთა ტეხნიკურ საბჭოს სწავლულმა მდივანმა ამხ. ციდლერმა მოხსენება გააკეთა საქართველოში მდებარე კოლხიდის დაბლობის გამოყენების პერსპექტივების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ **დაინტერესებულ უწყებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა შემადგენლობით შეიქმნას სპეციალური კომისია კოლხიდის დაბლობის გამოსაყენებლად.**

კომისიამ უნდა დაარაიონოს კოლხიდის დაბლობი; დარაიონების მიზანი იქნება დაბლობის გამოყენება უმთავრესად ძვირფასი კულტურებისათვის და სამრეწველო ნედლეულისათვის. (ადს).

მ. ცხაკაია და ს. თოდრია ახალქალაქის მაზრაში

ახალქალაქი, 18 ივნისი. 16 ივნისს ამხ. **მიხა ცხაკაია და ს. თოდრია** ჩამოვიდნენ ახალქალაქში. დღით ქალაქში გაიმართა დიდი შეხვედრა-მიტინგი. სხდომაზე თეატრში ამხ. ცხაკაიამ გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე. 17 ივნისს სტუმრებმა დაათვალიერეს სომეხ მოსახლეობის თემი კარზახი. იმავე დღეს ინახულეს თურქ მოსახლეობის თემი ოკამი, ხოლო 18 ივნისს დუხაბორების თემი — გორელოვკა. კრებაზე გამოაშკარავდა დუხაბორების იშვიათი კონსერვატორობა. მწვავე ხასიათი მიიღო კამათმა ახლად შეკავშირებულ ღარიბებსა და კულაკებს შორის. კულაკობა წინააღმდეგი არის სკოლის, კოოპერატივის და კოლმეურნეობის. 19 ივნისს ამხ. ცხაკაია და თოდრია გაემგზავრებიან ქართველ მოსახლეობის თემების — ბარალეთის და ხიზაბავრის დასათვალიერებლად.

წყალდიდობასთან ბრძოლა ამიერ-კავკასიაში

მოსკოვი, 18 ივნისი. საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: მის სარეზერვო ფონდიდან ამიერ - კავკასიაში წყალდიდობასთან საბრძოლველად გადასდოს 150.000 მანეთი იმ პირობით, თუ ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოც ამ საქმისათვის თავისი თანხებიდან 100.000 მანეთს გადასდებს. (ადს).

კანალიზაციის მშენებლობა ბაქოში

მოსკოვი, 18 ივნისი. 17 ივნისს საკავშირო სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო გაძლიერდეს მუშაობა ბაქოს კანალიზაციის გასაყვანად. კანალიზაციის ძირითად სამუშაოების დამთავრების და ნაწილობრივი ამუშავების ვადად სახკომსაბჭომ დანიშნა 1930 წლის ოქტომბერი. კანალიზაციის სამუშაოთა ღირებულება შეადგენს 9.356.000 მანეთს, საიდანაც ბაქოს საბჭომ უკვე დახარჯა 3.746.000 მანეთი და კიდევ უნდა დახარჯოს ადგილობრივი სახსრებიდან 2.810.000 მანეთი. დანარჩენი 2800000 მანეთის გაცემა დაევალა ცენტრალურ კომუნალურ ბანკს. (ადს)

„დროშა" № 11
გამოვიდა და იყიდება ყველგან
ფასი 15 კაპ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ.-კავკ. ხალხთა კულტურული სოლიდარობის დემონსტრაცია

აზერბაიჯანის და სომხეთის მწერალთა დელეგაციები თბილისში

საზეიმო სხდომა რუსთაველის თეატრში

როგორც ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში ვწერდით, საქართველოში ჩამოსული სომხეთისა და აზერბეიჯანის მწერალთა დელეგაციების პატივსაცემად რუსთაველის თეატრში მოწყობილი იყო ტფილისის პროფესიონალურ, პარტიულ და საზოგადოებრივ-კულტურულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო შეხვედრა მათთან.

მოგვყავს ზოგიერთი ორატორების სიტყვები:

გრ. რობაქიძე

ამხანაგებო, ნება მომეცით მხურვალე ტაშით და სალამით შევხვდეთ ჩვენს ძვირფას სტუმრებს, სომხეთის და აზერბეიჯანის საბჭოთა მწერლების დელეგატებს (მხურვალე ტაში. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

ამხანაგებო, ჩვენი საბჭოთა მწერლების თაოსნობით, ვიყავით აზერბეიჯანში, ვიყავით სომხეთში. ჩვენ მიერ იქ მიღებული შთაბეჭდილება ეგზომ ღრმა იყო, რომ მისი გადმოცემა, მოკლედ, საზეიმო სიტყვით ყოველგვარ ძალას აღემატება. აზერბეიჯანში ჩვენ ვიხილეთ ახლად გაღვიძებული—მაგარი ხალხი—თურქისა, რომელსაც ძველად მხოლოდ ეტნიურ მასალად სთვლიდნენ; ჩვენ ვიხილეთ რევოლუციონური ბაქო, ჩვენ ვიხილეთ ნამდვილი მუშათა კლასი, რომლის მაჯისცემა ჩვენ კარგად დავინახეთ. რევოლუციონურ ბაქოში, ნავთის კოშკების ამ უღრან ტყეში, ჩვენ ვიხილეთ კუნთებად დაღვენთილი ხელი მუშისა. მუშათა კლასი გრძნობს, რომ იქ მიწის წიაღში დაგროვილი სიმდიდრე—ნავთი, არის მისი საკუთრება და მუშის ხელი რიტმს აძლევს ბუნებას. ჩვენ აქ ვიხილეთ მუშათა კლასის უძლიერესი შემოქმედებითი ენერგია. მუშების რიცხვი აქ უდრის 30.000 კაცს. ჩვენ, ქართველი მწერლები, გულწრფელად აღრძნებული ვიყავით ყოველივე იქ ხილულით. ფიცს ვსდებთ, რომ ჩვენ მიერ ერთმანეთისათვის მიცემული სიტყვა მჭიდრო კავშირის შესახებ, არასოდეს არ დაგვავიწყდება..

ასეთი მდგომარეობა არის აზერბეიჯანში.

ჩვენ ვიყავით სომხეთშიც. აქ ჩვენს წინ გადაიშალა ულამაზესი, უდიდესი ბუნება, ამ ბუნებაში ნანგრევი ძველი კულტურისა. ჩვენ ვიგრძენით იმ წარსული ნგრევის საშინელება, რომელიც დაატყდა ტანჯულ ხალხს. რომ ავიღოთ ძველი არქიტექტურა, ძველი აგებული შენობები, დავინახავთ ძველი სომხეთის მთელს ისტორიას, სომხეთში წინად ტრაგიკული საშინელება დატრიალდა. დღეს ეს ხალხი გაიშალა, თავზარდაცემული ერი დღეს საბჭოთა ფარგლებში წელში გამართულა.

მისი ენერგია ვაჟკაცურია. გაიხსენეთ ის საშინელი მიწისძვრა, რომელიც დაატყდა თავს სომხეთს და კერძოდ ლენინაკანს. ეს ტრაგიკული რამ არის, მაგრამ ენერგიით, ვაჟკაცობით და მხნეობით, ეს ერი წინ მიდის, ის არ დაცემულა სულით. ეს ხალხი მსგავსია იმისა, თითქოს მეხი დაეცა ხეს, მოსტეხა ერთი ტოტი, მაგრამ ხე მაინც არ დაიღუპა, ის განაგრძობს ზრდას, შლის ახალ შტოებს.

აი, როგორ ვიხილეთ ჩვენ აზერბეიჯანი და სომხეთი.

ამხანაგებო და მეგობრებო, ჩვენი გამგზავრება მეზობელ რესპუბლიკებში არ გავდა ექსკურსიას, ან ტურისტულ სეირნობას, ამ გამგზავრების მიზანი იყო უფრო გაცნობა ერთმანეთის, ამიერ-კავკასიის მხატვრული ლიტერატურის მუშაკთა უფრო მჭიდროდ დაახლოება. ჩვენ უნდა შევქმნათ ფუძე, შევქმნათ დიდი და ურყევი კავშირი ამიერ-კავკასიის მწერლებისა. ქართველი მწერლობა ფიცს სდებს, რომ არ უღალატებს ამ შთაგონებას.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!

გაუმარჯოს საბჭოთა აზერბეიჯანს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

ა. შირვან-ზადე

ამხანაგებო, მართალს ამბობენ, რომ როცა გრძნობა ლაპარაკობს, ბაგენი სდუმან. მე არა მარტო ბაგე დამიდუმდა, — ენაც კი წამერთვა.

ნება მომეცით, უპირველეს ყოვლისა, გამოვსთქვა უდიდესი მადლობა ჩვენი დელეგაციის მხურვალე მიღებისათვის. საჭირო არ არის აგიხსნათ ლიტერატურის მნიშვნელობა, მისი როლი და, მით უფრო, იმ კავშირის მნიშვნელობა, რომლის დამყარებაც ჩვენ გვსურს.

მართალს ამბობენ, რომ ჩვენ გვიან მოვიფიქრეთ ეს, მაგრამ ცხოვრება ხომ არ ადევნებს თვალს ლიტერატურას, ლიტერატურა ადევნებს თვალს ცხოვრებას. ჩვენს ცხოვრებაში ხდება დიდი ფაქტი, დიდი გარდატეხა და აი ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს ცხოვრებას. ეს გარდატეხა იმდენად ძლიერია, რომ ჩვენ ძლივს მოვედით გონს. ბევრს ჩვენთაგანს ჯერ კიდევ საკმაოდ არ მოუნელებია ეს გარდატეხა და საჭიროა მოვინელოთ. ახალგაზრდებს ადვილად შეეძლოთ მომხდარი ცვლილებების მთელი სარგებლობის გაგება. მაგრამ ძველებისათვის ასე ადვილი არ იყო. თუმცა გვიან, მაგრამ მაინც მივედით იმ ღრმა რწმენამდე, რომ პროლეტარიატის გარეშე არსებობა არ შეუძლია არც ძველ და არც ახალ მწერალს. საქმე იმაშია, რომ ლიტერატურა გამოხატავს ცხოვრებას. ეს იმას ნიშნავს, რომ პროლეტარულ ქვეყანაში ლიტერატურა არ შეიძლება იყოს არაპროლეტარული, იგი ნებაუნებლიედ პროლეტარული უნდა იყოს. რის აღწერა შეუძლია ლიტერატორს? იმის, რასაც ხედავს, რასაც შენიშნავს. მას არ შეუძლია გამოიგონოს ახალი რამ

ხოლო ის, რასაც ჩვენ ვხედავთ, აღფრთოვანებს როგორც ახალგაზრდა, ისე მოხუც მწერლებს. მაგალითად, აქ ყოფნის ხანმოკლე დროის განმავლობაში ჩვენ დავათვალიერეთ რამდენიმე დაწესებულება თბილისში და იმან, რაც ვნახეთ, აღფრთოვანებაში მოგვიყვანა.

თქვენს მუზეუმში რაც არის, აღტაცებას იწვევს, თუმცა იგი ხანმოკლე დროის განმავლობაში ჯერ კიდევ სავსებით არ არის მოწყობილი; ამგვარ მუზეუმს იშვიათად შეხვდებით ევროპის ქალაქებში. ეს პირველი. მეორე—ჩვენ დავათვალიერეთ სტალინის სახელობის ქარხანა და დავინახეთ, როგორ სჭედავენ ფოლადს, დავინახეთ, როგორ ენერგიულად აკეთებენ დიად საქმეს. ჩვენ ვიყავით უნივერსიტეტში, იმ უნივერსიტეტში, რომელიც წინად სათავად-აზნაურო გიმნაზია იყო, სადაც მოწაფეებს ასწავლიდნენ შოვინიზმს, ისევე, როგორც ჩვენს სოფლებში, ჩვენ სემინარიაში. ახლა კი აქ საბჭოთა აღმშენებლობისთვის ახალ კადრებს ამზადებენ.

ამხანაგებო, როცა ჩვენ, სომეხი მწერლები, სომხეთში დავბრუნდებით, ვუამბობთ ჩვენს ხალხს ყოველივე იმას, რაც აქ ვნახეთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს აღაფრთოვანებს ჩვენს მუშებს, სტუდენტებს და გამოიწვევს კეთილშობილ შეჯიბრებას..

ჩვენი მომავალი წაზოგადოება სამსახურს გაუწევს მთელი ამიერ-კავკასიის ხალხების საერთო ინტერესებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მწერალი უნდა იყოს არა მარტო მწერალი, არამედ მოქალაქე, ხოლო ყოველ მოქალაქეს უნდა ესმოდეს, რომ არ შეიძლება ყველაფერი დაეკისროს მთავრობას. ყოველმა მოქალაქემ თავისი ძალღონის მიხედვით უნდა შეამსუბუქოს სოციალისტური მშენებლობის საქმე.

ნება მომეცით სომეხი მწერლების სახელით ერთხელ კიდევ გიძღვნათ მხურვალე სალამი. (ტაში).

ს. ეული

ამხანაგებო, ჩვენ შორის დღეს იმყოფებიან აზერბეიჯანის და სომხეთის ლიტერატურის და კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები. ჩვენ, საქართველოს საბჭოთა მწერლები ვიყავით აზერბეიჯანში, სომხეთში და დღეს ჩვენთანვე ერთად იკრიბებიან ამ სამი ეროვნების მწერლები ა.-კავკასიის დედა-ქალაქში. ჩვენ ვიკრიბებით, რომ თქვენთან მოვილაპარაკოთ, თუ როგორ მივიღოთ მონაწილეობა საერთო სოციალისტურ აღმშენებლობაში. ბურჟუაზიული მწერლები, რომლებიც უმღერენ ლამაზ თვალებს და ლამაზ ფეხებს ჩვენ არ გამოგვადგება, საბჭოთა მწერლები უნდა იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას ჩვენს აღმშენებლობაში, როგორც საბჭოთა მოქალაქენი.

მე არ მინდა შავ-ბნელ წარსულზე ლაპარაკი. ა.-კავკასიის ხალხთა შორის მუდამ ბრძოლა და მტრობა იყო. ჩვენ ვიყავით სომხეთში ერთ ადგილას ეჩმიაძინში. იქ, სადაც ძველად ბერები და მონაზნები ფუფუნებდნენ. დღეს იქ არის მშრომელი ხალხი, რომელსაც მოუწყვია კოლექტივი და მეურნეობა აუყვავებია უმაღლეს საფეხურამდე. ჩვენი მწერლობა, ქართული მწერლობა გიამბობთ იქაურ გლეხის ეხლანდელ გულისთქმას, ვიყავით ლენინაკანში. თქვენ იცით, ამხანაგებო, რამდენიმე წლის წინად რა უბედურება დაატყდა ამ ქალაქს თავს. ჩვენ ვცდილობდით რაიმე ნიშანი აღმოგვეჩინა იმ საშინელი მიწისძვრის, მაგრამ ვერაფერი ამის მსგავსი ვერ ვნახეთ. ქალაქი, რომელიც მიწასთან იყო გასწორებული, ახალი სახლებით არის მორთულ-მოკაზმული.

გზაზე ვნახეთ ერთი ინჟინერი. მას დაუწყია მუსაიფი. ეს ინჟინერი არის ალიევი, რომელიც თავდადებით მუშაობს ლენინაკანში ახალ აღმშენებლობაზე. ეს ინჟინერი აღმოჩნდა მუშა. ეს იყო ნამდვილი ახალი ფორმაციის ადამიანი. ჩვენ ვნახეთ ქალი, რომელიც განაგებდა კლუბს, სახელად ქვიან მას გიულვაზე, ეს არის ახალი ქალი და ახალი ადამიანი, როდესაც მან გადმოგვცა თავისი უბრალო ენით თუ რას აკეთებს იქ, ჩვენ აღტაცებას საზღვარი არ ქონდა. მის წყნარ თვალებში ჩვენ ვხედავდით ახალ ადამიანს, საბჭოთა ქვეყნის დიდ გამარჯვებას.

ამხანაგებო, საბჭოთა მწერლები ვიკრიბებით ერთად იმისათვის, რომ მივიღოთ მონაწილეობა ახალ მშენებლობაში. ჩვენ ქართული მწერლობა შეფობას ვაცხადებთ ეჩმიაძინის ჯარებზე, ჩვენ ველაპარაკეთ ამ ჯარებს ქართულად. მათ კარგად გაიგეს ჩვენი გულისთქმა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს შორის არ არის განსხვავება. ჩვენ გვაქვს საერთო ენა. ასეთივე შეფობას იღებს ჩვენს ჯარზე სომხეთის და აზერბეიჯანის დელეგაცია. ეს ნიშნავს კავშირს კულტურის მუშაკთა და წითელი არმიის შორის.

თუ საჭირო იქნება, ჩვენ კალამს თავს დავანებებთ და ხელში ავიღებთ იარაღს. მე მაქვს იმის უფლება, რომ ვსთქვა ეს აქ, საბჭოთა მწერლების სახელით. ჩვენ მუშათა ხალხთან ერთად ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, რათა ოქტომბრის მონაპოვარი დაცულ იქნას. ამიტომ მომეცით ნება მივესალმო ჩვენს ძვირფასს სტუმრებს აზერბეიჯანის და სომხეთის მწერლებს.

(ესალმება სომხურად) (ტაში).

გაუმარჯოს ა.-კავკასიის ხალხის სოლიდარობას და ძმობას. (მუსიკა და ტაში).

აბ. ახუნდოვი

სალამი აზერბეიჯანის ლიტერატორებისაგან საბჭოთა საქართველოს მუშებსა და გლეხებს და მთელ მშრომელ ინტელიგენციას! (ტაში).

ამხანაგებო, აზერბეიჯანულ ლიტერატურას ახასიათებდა მიმდინარეობა. პირველი იყო ნაციონალისტური, შოვინისტური. მეორე მიმდინარეობას მეთაურობდა ლიბერალური ინტელიგენცია. ოქტომბერმა საბოლოოდ წალეკა შოვინისტური მიმდინარეობა. დარჩა ლიტერატურული ლიბერალური ინტელიგენცია, რომელიც დაირაზმა პროლეტარულ მწერალთა ირგვლივ. აზერბეიჯანში ამის შემდეგ დაარსდა აზერბეიჯანის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ პროლეტარული მწერლებიც და ლიბერალური ინტელიგენციაც და რომელმაც სავსებით მიიღო საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმა.

ნება მომეცით, ამხანაგებო, ჩემი აღტაცება გამოვსთქვა თქვენი უდიდესი მიღწევების გამო, სოციალისტური მშენებლობის დარგში. ჩვენ, ლიტერატორები, რომლებიც შევიკრიბეთ აქ, ამიერ-კავკასიის ცენტრში, ლიტერატორთა ყრილობაზე, რაიც პირველ შემთხვევას წარმოადგენს, ვაწყობთ ამიერ-კავკასიის მწერალთა მთლიან კავშირს კულტურული ფრონტის შესაქმნელად იმ ფრონტების დასახმარებლად, რომლებზედაც მუშაობენ მუშები და გლეხები. ჩვენი ორგანიზაცია იმუშავებს მუშებთან და გლეხებთან ერთად. ამ ორგანიზაციას ექნება ერთი გული, ერთი სინდისი, ერთი გრძნობა. დაე, ამიერ-კავკასიის მუშებმა და გლეხებმა იცოდნენ, რომ მათი სიხარული ჩვენი სიხარული იქნება, მათი მწუხარება—ჩვენი მწუხარება.

ლიტარატორები ხომ ყოველთვის დიდ როლს თამაშობდნენ ხალხთა ცხოვრებაში. მათ შეეძლოთ ხალხების გადაკეთება, ხელი შეეწყოთ მათ შორის ომის ატეხისათვის, მათი შეტაკებისათვის, მაგრამ ამავე დროს შეეძლოთ მნიშვნელოვანი სამსახურის გაწევა ხალხთა შორის მშვიდობიანობის ჩამოგდების საქმეში. ჩვენ, ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ლიტერატორებს, გვამოქმედებს მხოლოდ ერთი სურვილი —დავთესოთ ძმობა და მშვიდობიანობა ხალხში. ამას გვავალებს პირველი — ისტორია, მეორე — ჩვენი სინდისი და, ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია — მოვალეობა პროლეტარიატის წინაშე, საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

დაე, იცოდნენ მუშებმა და გლეხებმა, რომ მძიმე წუთებში ჩვენ მათთან ვიქნებით და თუ გარედან ან შიგნით ვინმე აღმართავს ხელს პროლეტარიატის დიქტატურის, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მას ერთსულოვნად შეებრძოლებიან მუშები, გლეხები და ლიტერატორები. ჩვენ შეგვიძლია ბრძოლა. ჩვენ არა გვაქვს ზარბაზნები და თოფები, მაგრამ გვაქვს ბასრი და ძლიერი იარაღი,— ეს არის ჩვენი კალამი. და ჩვენ ამ კალმით ვიბრძოლებთ, როცა კი საჭირო იქნება, და დარწმუნებული ვართ, რომ გავიმარჯვებთ.

დასასრულ, ნება მომეცით, ჩვენი დელეგაციის სახელით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ქართველ ხალხს ჩვენი დელეგაციის ძმური, ნამდვილად ძმური მიღებისათვის და ვსთქვა: გაუმარჯოს ქართველ პროლეტარიატს! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მწერალთა და ამიერ-კავკასიის ხალხების კავშირს! (ტაში).

შემდეგ, ამხანაგებო, უნდა ვსთქვა, რომ ჩვენ არ დავკმაყოფილდებით ამით, მოუწოდებთ ყველა ჩვენ ამხანაგებს —ქართველებს, სომხებს, გამართონ სოციალისტური შეჯიბრება პროლეტარიატის ნამდვილი ცხოვრების ასახვისათვის.

კულტურული მშენებლობა და ა.-კ. საბჭოთა მწერლების ამოცანები

ამხ. მ. კახიანის სიტყვა

ამხანაგებო, საკავშირო კომუნისტური პარტიის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მივესალმები ამიერ-კავკასიის მწერლებს. (ტაში).

ის გარემოება, რომ აქ, თბილისში, საბჭოთა ამიერ-კავკასიის და საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქში, ჩამოვიდნენ ჩვენი მოძმე რესპუბლიკების — საბჭოთა სომხეთის და საბჭოთა აზერბეიჯანის მწერლები, რათა საბჭოთა საქართველოს მწერლებთან ერთად განამტკიცონ ძმური კავშირი და საძირკველი ჩაუყარონ უფრო მჭიდრო გაერთიანებას, — ეს არის არა მარტო დიდი კულტურული მნიშვნელობის ფაქტი, არამედ უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური ფაქტიც.

როგორც აქ თავმჯდომარემ ამხ. რობაქიძემ აღნიშნა, მწერლები აზერბეიჯანში, სომხეთში და საქართველოში გაემგზავრნენ არა სეირნობისა და ექსკურსიისათვის, არამედ იმისათვის, რომ მოსპონ ის ძველი შუღლი, რომელიც არსებობდა მენშევიზმის, დაშნაკიზმის და მუსავატიზმის დაწყევლილ წლებში. ყველასათვის ცნობილია, რომ ხელოვნება არ არსებობს პოლიტიკის გარეშე, ხელოვნება დაკავშირებულია პოლიტიკასთან. და ამ პოლიტიკურ მომენტებზე მინდა ვსთქვა რამდენიმე სიტყვა ჩემს მისალმებაში.

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ ჩვენმა მე-16 პარტკონფერენციამ და საკავშირო საბჭოების მე-5 ყრილობამ დასახა განვითარების გენერალური ხაზი. მათ გაითვალისწინეს ის გზა, რომლითაც საბჭოთა კავშირი უნდა წავიდეს სოციალიზმისაკენ. მათ შეიმუშავეს დიდი სამუშაოების ხუთწლიანი გეგმა. ამ ხუთწლიან გეგმაში არა უკანასკნელი, არამედ მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კულტურული მშენებლობის საკითხებს. ჩვენ უნდა გარდავქმნათ ჩვენი ქვეყანა. საჭიროა, რომ კულტურულმა რევოლუციამ ამას ხელი შეუწყოს. საჭიროა მუშათა და გლეხთა მილიონიანი მასების ამოძრავება.

აქ უდიდესი როლი უნდა ითამაშონ კულტურულმა ძალებმა და ამ არმიის ერთ-ერთმა რაზმმა — ამიერ-კავკასიის საბჭოთა მწერლებმა. ჩვენ უნდა გვქონდეს გარკვეული გეზი იმისა, თუ რა უნდა ვაკეთოთ ეხლანდელ მომენტში. მე-16 პარტკონფერენციამ და საბჭოების ყრილობამ სწორად დაახასიათეს საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის ძირითადი მომენტები.

ჩვენ ვიმყოფებით გადამჭრელი ბრძოლების გაშლის წინ საზღვარგარეთ, როცა პროლეტარიატი კონტრშეტევაზე გადავიდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამჟამად საერთაშორისო მდგომარეობას ახასიათებს ის, რომ გამწვავდა ურთიერთობა იმპერიალიზმსა და საბჭოთა კავშირს შორის, გამწვავდა პროლეტარული მასების კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასთან კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით და უფრო და უფრო მწვავდება კოლონიალური ხალხების ბრძოლა იმპერიალიზმისა და თავისი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

თუ გადავხედავთ იმას, რაც ეხლა ევროპაში ხდება, დავინახავთ ამის დამამტკიცებელ საბუთებს. ავიღოთ თუნდაც უკანასკნელი ამბები პოლონეთში, პოლონელი ფაშისტების გამოსვლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. როგორც იცით, ამხანაგებო, იმის გამო, რომ ოდესღაც გამოცხადებული იყო მენშევიკური საქართველოს „დამოუკიდებლობა“, კონტრ-რევოლუციონერმა ემიგრანტ-მენშევიკებმა ეხლახან ვარშავაში გამართეს „ქართული ზეიმი“. ჩვენ ამას დიდ მნიშვნელობას არ მივცემდით, რომ იქ ჩვეულებრივი ბურჟუაზიული ბალ-მასკარადი გამართულიყო. ყველას შეუძლია იცეკვოს, ვინმე გოლუეცკოს შეუძლია ფოკსტროტი ან პოლონური მაზურკა იცეკვოს თუნდაც ნოე ჟორდანიასთან, — ჩვენ ამის გამო არავის ვედავებით. მაგრამ აქ ლაპარაკი იყო საბჭოთა საქართველოს გამოყოფაზე საბჭოთა კავშირიდან. ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ ამის გამო. პოლონეთის წარმომადგენლებმა ამის საპასუხოდ სთქვეს, რომ არ შეიძლება „პოლონეთის შინაურ საქმეებში“ ჩარევა. ეს კი მეტის-მეტია. მეტად დამახასიათებელია, რომ ამგვარი გამოსვლები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ხდება სწორედ მაშინ, როცა ისინი თავიანთ ქვეყანაში არბევენ ებრაელებს; „განათლებული“ პოლონელი სტუდენტები ლვოვში ძარცვავენ და არბევენ ებრაელ მოქალაქეებს. მათ, ალბად, სურთ გვასწავლონ ჭკუა, მაგრამ ჩვენ უნდა უთხრათ — კეთილი ინებეთ და თქვენთვის შეინახეთ ეგ ბარბაროსული, კაპიტალისტური წესები, ჩვენ არ გვესაჭიროება ასეთი წესები, ჩვენი წესები სულ სხვანაირია. როცა იქ ასეთი საძაგელი ამბები ხდება, და სტუდენტები, ალბად, პროფესურის ლოცვა-კურთხევით აწყობენ ასეთ რბევას, სწორედ ამ დროს ჩვენს პროფესურას, საქართველოს სახელმწ. უნივერსიტეტის პროფესურას, გამოაქვს თავისი მკაცრი პროტესტი ასეთი ბარბაროსობის წინააღმდეგ. ეს მოწმობს იმას, რომ ქართველი პროფესურა, თუმცა ნელა, მაგრამ მტკიცედ იბრუნებს პირს ჩვენსკენ. ეს გარემოება არ უნდა დარჩეს შეუნიშნავი. სტიქიურად გამართულ მიტინგებსა და კრებებზე მუშები და გლეხები ყველა ფაბრიკიდან და ქარხნიდან, საქართველოს ყველა სოფლიდან, ათასობით და ათი ათასობით აცხადებენ, რომ პოლონელმა ფაშისტებმა თავი აიშვეს, რომ ისინი ძალიან თავხედურად მოქმედებენ. გაზეთებში შეგიძლიათ წაიკითხოთ არა მარტო იმის შესახებ, რომ მათ სურთ ხელთ იგდონ საბჭოთა საქართველო, არამედ იმის შესახებაც, რომ მათ ძალიან მოსწონთ ბაქო-ბათომის ნავთსადენი. პოლონელი ფაშისტები გაზეთებში სწერენ, რომ თუ ეს ნავთსადენი ხელთ ჩავიგდეთ, ეს იქნება სწორედ ის ხიდი, რომლითაც ევროპას შევაერთებთ აზიასთან. მაგრამ ჩვენ აქ უნდა ვუთხრათ ფაშისტებს და ვფიქრობ, რომ ამას დაეთანხმება ამიერ-კავკასიის ყველა სინდისიერი საბჭოთა მწერალი: ჩვენ არა ვართ სისხლის მსმელნი, მაგრამ თუ ვინმე შეეცდება გადასჭრას ეს ნავთსადენი, გადასჭრას ეს ჩვენი ნავთის არტერია, ჩვენ მას ყელს გამოვსჭრით (მხურვალე ტაში).

ამხანაგებო! თუ გსურთ იცოდეთ, რა ხდება ევროპაში, ამას გვიჩვენებს საპირველმაისო ბრძოლა გერმანიაში, საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელიც პროლეტარიატის რევოლუციონურ ძალთა შემოწმებას წარმოადგენდა. მიუხედავად აკრძალვისა სოციალ-დემოკრატიის მხრივ, მიუხედავად მენშევიზმის სისხლისმსმელი ძაღლების, სხვადასხვა ცერგიბელების მხეცური მოქმედებისა, პროლეტარიატი მაინც გამოვიდა 1 მაისს, მან გვიჩვენა თავისი საერთაშორისო სოლიდარობა და დაამტკიცა, რომ მას შეუძლია იბრძოლოს ყველა მჩაგვრელის წინააღმდეგ და გამოვიდეს საბჭოთა კავშირის დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ბურჟუაზიამ სოციალ-დემოკრატიასთან გააერთიანა თავისი ძალები და ისინი ერთად მოქმედებდნენ პროლეტარიატის წინააღმდეგ, პროლეტარიატი მაინც გამოვიდა და აჩვენა მათ თავისი ძალა. ეს არის მომავალი ბრძოლების გენერალური რეპეტიცია, და გერმანიის კომუნისტური პარტია, რომელსაც ეხლა ყრილობა აქვს ბერლინში, შესძლებს თავის მტკიცე პროლეტარული რაზმები შეამჭიდროვოს იმისათვის, რომ იბრძოლოს ხელისუფლებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად გერმანიაში.

ჯერ კიდევ არ დამდგარა ის მომენტი, რომ გერმანიაში სწარმოებდეს უშუალო ბრძოლა ხელისუფლებისათვის, მაგრამ ყველაფერი მოწმობს იმას, რომ ეს ქარიშხალის წინამორბედია და რომ გერმანიის კომუნისტური პარტია ისტორიულ როლს ითამაშებს პროლეტარიატის ხელმძღვანელობის საქმეში, ხელისუფლებისათვის საბრძოლველად თავისი დროშის ქვეშ პროლეტარიატის გაერთიანების საქმეში.

ამხანაგებო, თუ გსურთ იცოდეთ, როგორ იბრძვიან მსოფლიო კოლონიალური ხალხები ეხლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, უნდა გადახედოთ იმას, რაც ამჟამად ინდოეთში ხდება. ინდოეთში ეხლა გაფიცულნი არიან ბომბეელი ფეიქრები. იქ გაფიცულია 110—180 ათასი ინდოელი პროლეტარი, ისინი შეუპოვრად იბრძვიან, მათ არ სურთ საკუთარი პოზიციების დათმობა. მათ იციან, რომ მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის დროშით მიაღწევენ გამარჯვებას, რადგან ინდოეთის ბურჟუაზია ვერაგულად ურიგდება ინგლისის ბურჟუაზიას და სცდილობს ჩაახშოს მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა

როცა ინდოეთზე ვლაპარაკობთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ დამახასიათებელ ლოზუნგს, რომელიც იქ ეხლა მეტად ძალიან არის გავრცელებული. ბომბეის პროლეტარიატის უდიდეს გაფიცვას ხელმძღვანელობს რევოლიუციონური კავშირი „გირნი კამგარი“ (წითელი დროშა). ეს მოძრაობა მიმართულია როგორც ინგლისის ხელისუფლების, ისე ინდოეთის კაპიტალისტების წინააღმდეგ — საერთო კლასობრივი მტრის წინააღმდეგ.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის კორესპონდენტი სწერს: „ეს გაფიცვა მოწმობს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ახალ მოძრაობასთან, რომელიც ახალი თვალსაზრისით უდგება ინდოეთის არა მარტო ეკონომიურ საკითხებს, არამედ პოლიტიკურ პრობლემებსაც. ბომბეის გაფიცულ მუშებს ხელმძღვანელობს პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც მუშებში ავრცელებს შემდეგ იდეას:... სწორედ ის მეფაბრიკეები, რომელნიც მხარს უჭერენ სვარაჯისტებს (ინდოელი ნაციონალისტები), ხამუშაო ხელფასის საარსებო მინიმუმებს გართმევენ თქვენ... თქვენი ბრძოლა არ შეიძლება გადაიქცეს ბურჟუაზიის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლად. თქვენ უნდა გაშალოთ პროლეტარული კლასობრივი ბრძოლა“.

ეს მოწმობს, რომ უკვე წავიდა ის დრო, როცა ინდოეთის მუშებს შეეძლოთ გაჰყოლოდნენ ნაციონალისტური პარტიების ბელადებს, ისეთებს, როგორიც არის, მაგალითად, განდი; ისინი ეხლა პროლეტარული დროშით მიდიან.

და მოსკოვსა და ლენინგრადთან ერთად, ჩვენ ცენტრებთან ერთად, ბომბეიშიაც (ინდოეთი) იწყებს ფრიალს ლენინის დროშა. ლენინის იდეები ფეხს იკიდებენ და ვრცელდებიან ყველგან და ეს მოწმობს, რომ ამჟამად კომუნიზმი აჩრდილი არა მარტო დროგამოშვებით ევლინება ევროპას, არამედ მტკიცე ნაბიჯით დადის ევროპაშიაც და აზიაშიაც და აგზნებს მუშათა მასებს და კოლონიალური ქვეყნების მშრომელთ. ისტორია ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს და დარწმუნებულნი უნდა ვიყვეთ, რომ ლენინის მიერ დაწყებული საქმე გაიზრდება, გავრცელდება, მოედება მრავალმილიონიან მასებს და რომ ეს იდეა გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში.

აი მოკლედ ის, რაც ახასიათებს საერთაშორისო მდგომარეობას. გადავიდეთ იმ ამოცანებზე, რომლებიც სდგანან ჩვენს წინაშე საბჭოთა ქვეყნის შიგნით. ჩვენ უნდა განვახორციელოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, უნდა მოვახდინოთ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია ინდუსტრიალიზაციის ტემპის შეუსუსტებლად. ამისათვის საჭიროა ახალი ხალხი. ამისათვის საჭირონი არიან მწერლები, რომელნიც თავიანთ ნაწარმოებებში ასახავენ ამ ახალ ყოფაცხოვრებას და ახალ ხალხს. აქ ჩვენ უნდა შევეხოთ იმას, თუ რა პოლიტიკას უნდა ვახორციელებდეთ. პირველ ყოვლისა, მე მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ეროვნული პოლიტიკის შესახებ ამიერ-კავკასიაში. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ამიერ-კავკასიაში დამყარდა მტკიცე ეროვნული მშვიდობიანობა, აღარ არის წინანდელი შური და მტრობა, — ეს არ მოსწონთ განსვენებულებს: დაშნაკებს, მენშევიკებს, მუსავატელებს. ამ ცოტა ხნის წინად მე ამაზე მომიხდა ლაპარაკი სომხეთის კომპარტიის ყრილობაზე და როცა აღვნიშნე, რომ ჩვენში სრული ეროვნული მშვიდობიანობაა, ეს არ მოეწონათ დაშნაკელებს და აი მათ ჩემი 15 წუთიანი სიტყვის შემდეგ საშინელი ხმაურობა და განგაში ასტეხეს. სწერენ, რომ გამოვიდა ბოლშევიკების წარმომადგენელი და განაცხადა ის, რაც სრულებით არ შეეფერება სინამდვილესო. დაშნაკურ პრესას ვერ მოუსვენებია, დაშნაკური ფინიები განუწყვეტლივ ჰყეფენ. აი რას სწერენ ისინი: „ფაქტების გადამახინჯებით და უხეში დემაგოგიით კახიანი თავის სიტყვაში ცდილობდა დაერწმუნებია თავისი სომეხი ამხანაგები და მათი საშუალებით მთელი სომხეთის ხალხი, რომ ამიერ-კავკასიაში აღარ არის ეროვნული დავა, რომ ეროვნული უმცირესობანი ფართო უფლებებით სარგებლობენ, რომ სომეხი, ქართველი და თურქი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მუშაობენ და რომ დაშნაკური პრესის და, კერძოდ, „დროშაკ“-ის კრიტიკა არ შეეფერება საქმის ნამდვილ მდგომარეობას.

კახიანს რომ მხედველობაში ჰქონოდა ჩვენი პატარა სამშობლო, ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა იქ და, საერთოდ, ეროვნული ურთიერთობა, მაშინ შეიძლება ჩვენ არაფერი გვეთქვა, ვინაიდან მართლაც მთელს ამიერ-კავკასიაში არ არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც ეროვნული უმცირესობანი ისე კმაყოფილი იყვნენ თავიანთი მდგომარეობით, როგორც სომხეთში.

მაგრამ განა ასეთივე მდგომარეობაა სომხეთის გარედ, კერძოდ, საქართველოში და აზერბეიჯანში, სადაც ცხოვრობს 600,000 სომეხი, რომელთაც წართმეული აქვთ ყოველგვარი პოლიტიკური, ეკონომიური და თვით ელემენტარული კულტურული უფლებებიც კი“.

თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, რა ახასიათებს აქ ნაციონალისტებს, რომელთაც სურთ ეროვნული შუღლისა და შოვინიზმის გაღვივება, სომეხი კომუნისტების შესახებ დაშნაკელები ამბობდნენ, რომ ისინი ცუდი კომუნისტები არიან, ვინაიდან პირველ ყოვლისა, ისინი არიან კომუნისტები, ხოლო სამშობლოს სიყვარულს მათ გულში მეორე ადგილი უჭირავს. ჩვენ მაშინვე აღვნიშნეთ, რომ ეს მეტად კარგია, ვინაიდან კომუნისტი პირველ ყოვლისა, უნდა იყოს კომუნისტი, ხოლო შემდეგ უნდა ეკუთვნოდეს ამა თუ იმ ეროვნებას. როცა ჩვენ ვამტკიცებდით, რომ სომეხმა კომუნისტებმა აღადგინეს მიწასთან გასწორებული ქვეყანა, რომ მათ იგი „ცრემლების ველი“-დან გადააქციეს სილამაზისა და სიხარულის წყაროდ, ამაზე განსვენებულმა დაშნაკებმა ვერაფერი ვერ მიპასუხეს. ის, რომ ჩვენში შენდება ზაჰესი, რიონჰესი, ძორაჰესი, რომ არის აზერბეიჯანის ნავთი, საქართველოს მარგანეცი და სომხეთის სპილენძი —ყველაფერი ეს ამიერ-კავკასიის მშრომელთა საკუთრებაა. და ვერავითარი მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები ვერ შესძლებენ ჩვენი ქვეყნების ერთმანეთისაგან ჩამოშორებას. რამდენიც დრო გადის, იმდენად უფრო მტკიცდება ამიერ-კავკასიის ხალხთა პოლიტიკური, სამეურნეო და ეხლა აგრეთვე კულტურული გაერთიანება. თქვენი საქმე კი, ბატონებო, გათავებულია. თქვენ გაგაძევეს აქედან და ვერც დაბრუნდებით ვერასოდეს (ტაში).

ჩვენ უნდა ვებრძოლოთ იმ შოვინიზმს, რომლის მიზანია ამიერ-კავკასიის ერების ერთი მეორისაგან დაშორება.

როცა ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა შევქმნათ და განვავითაროთ ნამდვილი საბჭოთა კულტურა, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ დეფექტებიც. ჩვენ უნდა შევქმნათ პროლეტარული კულტურა. ნუ გაიგებენ ამას ისე, თითქოს ჩვენ უარვყოფთ ეროვნულ კულტურას. საჭიროა თავისი ყოფაცხოვრების, თავისებურების ასახვა, მაგრამ ამ ფორმით ეროვნულ კულტურაში შეტანილ უნდა იქნას კლასობრივი, პროლეტარული შინაარსი. ამჟამად, როცა ჩვენ უშუალოდ ვიწყებთ კაპიტალიზმის ფესვების ამოფხვრას ჩვენს ქვეყანაში, აქ საჭიროა გარკვეული გეზი ლიტერატურაში და ხელოვნების ყველა სხვა დარგში. ეროვნული კულტურის ლოზუნგის განხორციელების საქმეში, უეჭველია ადგილი აქვს გადამახინჯებას და ხაზის გამრუდებას. როცა, მაგალითად, პოეზიაში ან პროზაში ლაპარაკობენ მეფეებზე ან წარჩინებულ წინაპრებზე, —ეს არ არის ეროვნული კულტურა. როცა ოპერაში გაისმის ზარის რეკა და ლოცვები,— ეს არ არის ეროვნული კულტურა. როცა ხუროთმოძღვრებაში ცდილობენ რაღაც ძველის შექმნას და აგებენ რაღაც კოშკებს, ძველებურ ეკლესიებს, სადაც ვერ შეაღწევს სინათლის შუქი,— ეს არ არის ეროვნული კულტურა. როცა კოლექტივების შესახებ სწერენ დაცინვით, ხოლო შეძლებულ გლეხებს, კულაკებს, ქება-დიდებას ასხამენ,— ეს არ არის ეროვნული კულტურა. როცა ბიუროკრატიზმთან ბრძოლა არ არის სწორად ასახული და ამის ნაცვლად პიესებში ვხედავთ საბჭოთა წარმომადგენლების აბუჩად აგდებას და დაცინვას, — ეს არ არის ეროვნული კულტურა. ჩვენ ასეთი კულტურა არ გვესაჭიროება. ჩვენთვის საჭიროა ისეთი კულტურა, რომელიც შეაიარაღებს მშრომელთ, განამტკიცებს პროლეტარიატის დიქტატურას. ჩვენ მოუწოდებთ საბჭოთა მწერლებს — ასახონ ის, რაც ხდება ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში.

მე ვფიქრობ, თუ მწერლები ასახავენ ამას, ისინი ხელს შეუწყობენ ნამდვილი ინტერნაციონალური კულტურის შექმნას, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას. მე ვფიქრობ, რომ ჩვენთვის საჭიროა სწორედ ასეთი კულტურა. ამჟამად, როცა ჩვენ გაშლილი ფრონტით ვაწარმოებთ შეტევას კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, ჩვენი მწერლობა, ხელოვნების ყველა დარგი უნდა სცდილობდეს ასახოს ეს ბრძოლა ნეპმანის და კულაკის წინააღმდეგ, ბიუროკრატის წინააღმდეგ, ბრძოლა ახალი ცხოვრებისათვის, სოციალიზმის სა[illegible]

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ მემარჯვენე, ბურჟუაზიულ საფრთხეზე, ამას ადგილი აქვს ლიტერატურაშიაც. საჭიროა თვალყური ვადევნოთ ამას. აქ პროლეტარული მწერლების ორგანიზაციები ფხიზლად უნდა იდგნენ სადარაჯოზე და საბჭოთა მწერლების კავშირში ჰეგემონის როლი აუცილებლად უნდა ეკუთვნოდეთ პროლეტარულ მწერლებს. ეს ამოცანა სავსებით ნათელი და გარკვეულია. ის, რაც აქ კეთდება დღეს, მართლაც უდიდესი საქმეა.

აი, სწორედ ამიტომ, ამხანაგებო, ვამთავრებ რა ჩემს მისასალმებელ სიტყვას, მინდა ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს ცეკას სახელით გამოვთქვა რწმენა, რომ ის კულტურული კავშირი, რომელიც დღეს იქმნება მთელ ამიერ-კავკასიის მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს შორის, საფუძვლად დაედება ამ.-კავკასიის კულტურული ძალების შემდგომ ძმურ ინტერნაციონალურ გაერთიანებას. იგი (ეს კავშირი) ასახავს ჩვენი ცხოვრების შენებას, ასახავს იმ გიგანტურ მუშაობას, რომელიც სწარმოებს ჩვენს საბჭოთა კავშირში, და ამით ხელს შეუწყობს ჩვენ საქმეს, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების საქმეს, ლენინის საქმეს. აი, რატომ მინდა დღეს ვსთქვა: გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მწერლების გაერთიანებას კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით! გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლუციას მთელს მსოფლიოში! (ტაში, ინტერნაციონალი).

პოლიტიკა და რელიგია

ბევრი პარტია, მათ შორის სოციალ-დემოკრატიაც, არა მარტო ეხლა, არამედ მისი არსებობის საუკეთესო ხანაში, აყენებდა თავის წევრობისათვის რელიგიური რწმენის თავისუფლების ლოზუნგს.

შორეულ წარსულში ეს შეუძლებელი იყო. მაშინ რელიგია მჭიდროთ გადახლართული იყო პოლიტიკასთან. რასაკვირველია, როგორც რელიგიას, ისე პოლიტიკას ასაზრდოებდა კლასობრივი ბრძოლა.

ისეთ ეპოქებში, როცა რელიგიური აზროვნება წარმოადგენს იდეოლოგიის გაბატონებულ ფორმას, როცა ყველაფერს რელიგიის ბეჭედი აზის, ზოგჯერ სრულიად მოულოდნელად ცალკე კლასების, წოდებების და ჯგუფების ბრძოლა და ეროვნული შეტაკებები (ყველა ამას, რასაკვირველია, საფუძვლად უდევს კლასობრივი ურთიერთობა) მთლიანად ექცევა გარეგნულად წმინდა რელიგიური ხასიათის ურთიერთი სიძულვილის, დევნისა და აღშფოთებული პროტესტის ჩარჩოებში.

ჩვენ ეხლა კარგად ვიცით, რომ რეფორმაციას წმინდა კლასობრივი ხასიათი ჰქონდა. ჩვენ ნათლად ვხედავთ, თუ როგორ ირაზმებოდნენ რელიგიური დროშის გარშემო საერო თავადები, მსხვილი ბურჟუაზია, საშუალო შეძლების ხელოსნები, ქარგლები და წვრილი მშრომელი ხალხი, როგორ მჭიდროთ იყო დაკავშირებული ეს დროშა ამა თუ იმ პოლიტიკურ ტენდენციასთან, რომელიც გამოხატავდა მის მატარებელთა მოთხოვნილებებს და საჭიროებებს.

რეფორმაცია იყო რელიგიურ ტანისამოსში გახვეული რევოლუცია, და მარქსი პურიტანული რევოლუციის შესახებ ინგლისში ამბობდა, რომ ის სარგებლობდა ბიბლიურ წინასწარმეტყველთა სამასკარადო წამოსახამებით.

რასაკვირველია, საერო ხელისუფლება, ზოგჯერ კარდინალის სამოსელში (რიშელიე, მაზარინი) გამოწყობილი და მემარცხენე, უფრო გაბედული ბურჟუაზიის მოძრაობა საგრძნობი და თვალსაჩინო გახდნენ რეფორმაციის პირველ ტალღებთან ერთად და სავსებით ჩამოყალიბდნენ რეფორმაციის დასასრულს. მაგრამ რელიგიური პოლიტიკა ყველაფერს ფარავდა.

როცა მე-18 საუკუნის დამლევს იფეთქა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ, რელიგიური ბრძოლა პოლიტიკურ ურთიერთობაში სრულიადაც არ თამაშობდა მეორე ხარისხოვან როლს. ათეისტები გამოვიდნენ, როგორც პოლიტიკური პარტია, ისინი ცდილობდნენ ათეიზმის გარდაქმნას ულმერთო რელიგიად, რომელსაც ექნებოდა თავისებური რიტუალი და ცერემონიები.

მონტანიერები გაიყვნენ ათეისტებად და „უზენაესი არსების“ მომხრეებად. კატოლიციზმი თავისი მღვდლებით, რომელთაგან ზოგი სცნობდა რევოლუციას და ზოგი არა, უდიდეს პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. საჭირო იყო კიდევ 10 წელიწადი იმისათვის, რომ რელიგიის, რელიგიური რწმენის მნიშვნელობა საერთოდ შესუსტებულიყო და პარტიები შემდგარიყვნენ სხვადასხვა რელიგიური და თვით ათეისტური რწმენის ხალხისაგან. ყველა ესენი ერთმანეთთან დაკავშირებულნი იყვნენ უკვე წმინდა პოლიტიკური ინტერესებით (თავისთავად ცხადია, უშუალო ეკონომიურ საფუძველზე) და ასეთი კავშირი უფრო მტკიცე გამოდგა, ვიდრე რელიგიური უთანხმოებანი.

მიუხედავად ამისა, მე-19 საუკუნეში რელიგია და პოლიტიკა ჯერ კიდევ მჭიდროთ იყო გადახლართული. ინგლისში ლიბერალიზმისა და რადიკალიზმის სხვადასხვა ფორმები ჯერ კიდევ დაკავშირებულნი იყვნენ პროტესტანტიზმის სხვადასხვა ფორმებთან. მსხვილი ბურჟუაზია ლენდლორდებთან ერთად იხრებოდა ან კათოლიციზმისაკენ, ან კიდევ გაი ჩერჩისაკენ, რომელიც არ მალავდა თავის კათოლიკურ სიმპატიებს, გერმანიაში ბისმარკი თავის კულტურკამფში არ გაურბოდა ლიუტერანობაზე დაყრდნობას, რასაც შედეგად მოჰყვა ძლიერი კათოლიკური ცენტრის შექმნა. ეს ცენტრი ამჟამადაც გერმანიის ერთ-ერთ საუკეთესოდ დარაზმულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს. საფრანგეთში რადიკალები დიდხანს ცდილობდნენ და ნაწილობრივ ეხლაც ცდილობენ ლოზუნგით Ecrasez L'infame! („გაანადგურეთ არამზადა“—ეკლესია), ე. ი. თავისუფლად მოაზროვნე ღვდელჭამიობით, ამ ლოზუნგის ფართო პოპულიარობით დაჰფარონ თავიანთი პოლიტიკური და სამეურნეო პროგრამის უპრინციპობა და მერყეობა. იტალიაში ვატიკანი კათოლიკური პარტიის საშუალებით გავლენას ახდენდა პოლიტიკაზე და ეს გავლენა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ბოლოს რეაქციონურ-ბურჟუაზიულმა ფაშიზმმა კათოლიკებთან დასდო ამ უკანასკნელთათვის ხელსაყრელი შეთანხმება.

უკანასკნელი ფაქტი უკვე მე-20 საუკუნეს ეკუთვნის და ვერავინ ვერ უარჰყოფს, რომ ამჟამად ჩვენ ვხედავთ პოლიტიკაზე კონფესიონალური ზეგავლენის გამოცოცხლებას და არა შესუსტებას.

ცალკე პარტიათა წევრებისათვის რელიგიური რწმენის თავისუფლების ლოზუნგი, რასაკვირველია, მიმართულია ანტირელიგიური ბრძოლის შესუსტებისაკენ და წარმოადგენს არსებით დათმობას სამღვდელოებისათვის.

ასეთი დათმობა არაფრით არ არის გამოწვეული იმ შემთხვევაში, როცა ლაპარაკია ნამდვილ პარტიაზე, ე. ი. ისეთ პარტიაზე, რომელიც ეყრდნობა ერთნაირი შემადგენლობის მასებს და რომელსაც მართლაც დიდი და გარკვეული მიზნები აქვს დასახული. არა თუ სასაცილო, არამედ დანაშაულებაც იქნებოდა, რომ კომუნისტურ პარტიას, რომელიც თავისი შემადგენლობით ყველაზე უფრო წმინდაა და ყველაზე უფრო გარკვეული მიზნების მქონეა, თუნდაც რაიმე ეჭვი შეჰპაროდა თავისი წევრების სავალდებულო ათეიზმის შესახებ.

სრულებით სხვანაირად სდგას რწმენის თავისუფლების საკითხი მოსახლეობის მიმართ.

რელიგიური მტრობის ხანა და ამ მტრობის ნიადაგზე წარმოშობილი უდიდესი სოციალური ბოროტმოქმედებანი შეცვალა ბურჟუაზიულმა ხანამ, რომელსაც ახასიათებს ლმობიერი დამოკიდებულება სარწმუნოებისადმი, ლიბერალიზმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო სწორედ ასეთი პოზიცია სარწმუნოების საკითხში. რასაკვირველია, ამან ერთგვარი სიმშვიდე ჩამოაგდო, შეასუსტა რელიგიური ბრძოლა, მაგრამ ამასთან ერთად სარწმუნოებისადმი ლმობიერი დამოკიდებულების ლოზუნგმა ხელი შეუწყო სამღვდელოების ბნელი ძალების მომაგრებას და კონტრ-შეტევაზე გადასვლას. ამ ფართო ლიბერალური ლმობიერი დამოკიდებულების ნიადაგზე სამღვდელოებამ არა თუ გაამაგრა თავისი პოზიციები, არამედ თანდათან გადავიდა შეტევაზედაც, რაც ამჟამად დასავლეთში ხდება. იმ გარემოებას, რომ ტეხნიკურად ყველაზე უფრო მოწინავე ქვეყანა—შეერთებული შტატები სავსეა ველური და უაზრო რელიგიური ცრუმორწმუნეობებით, შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ ზიზღით აღსავსე გაკვირვება.

კომუნისტური პარტია წარმოადგენს ლიბერალიზმის სრულ წინააღმდეგობას. იგი გაბედულად აღიარებს პროლეტარიატის დიქტატურას, როგორც სოციალიზმში გარდამავალი ეპოქის პოლიტიკურ ფორმას. თუ პროლეტარიატის დიქტატურა გამოიხატება საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუციაში, მაშინ თვით სახელმწიფო ყოფილა უზარმაზარი პოლიტიკურ-კულტურული აპარატი, რომელიც სიტყვით და საქმით ამზადებს მშრომელ მოსახლეობას თვითმმართველობის იმ მაღალ ფორმებისათვის, რომლებსაც მოჰყვება ყოველგვარი სახელმწიფოს და ყოველგვარი კლასის მოსპობა. მანამდის კი, პროლეტარიატის მიერ დანარჩენი მშრომელი მასების აღზრდასთან ერთად, ძალაში რჩება მტკიცე და სასტიკი ზომები რეაქციის წინააღმდეგ.

და განა რელიგია რეაქციის ერთ-ერთ უდიდეს ძალას არ წარმოადგენს? განა დასაჯერებელია, რომ ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორების უბრალო დეკლარაციით და ეკლესიისათვის პოლიტიკური უფლების ჩამორთმევით შეიძლება მისი სრულიად დაუძლურება პოლიტიკურად?

ჩვენთვის პოლიტიკა არ ნიშნავს მარტო ხელისუფლებისათვის ბრძოლას. ჩვენთვის პოლიტიკა არის მთელი ჩვენი სოციალისტური მშენებლობა. სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, როგორც ჩვენი დიდი ბელადი აღნიშნავდა, მასების კულტურული დონის ამაღლება, მასების მიერ ნამდვილად სოციალისტური, ნამდვილად მეცნიერული, ე. ი. თავისთავად ცხადია, ათეისტური-მატერიალისტური კულტურის შეთვისება. ამ კულტურისაკენ მიმავალ გზაზე უნდა მოისპოს ყოველგვარი რელიგიური რწმენა, ამ გზაზე ხალხი უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი ეკლესიური სიბინძურისაგან, დოგმებისაგან, ცრუმორწმუნეობისაგან, ღვთისა და ეშმაკისადმი რწმენისაგან, საიქიოზე ოცნებისაგან და სხვ.

ეკლესია და სხვადასხვა სექტები შეიძლება დროებით მიყუჩდნენ, დროებით მიმალონ თავიანთი შხამი, მავნებლობა გასწიონ მხოლოდ სარწმუნოების ფარგლებში, არ შეეხონ პოლიტიკურ ლოზუნგებს, იმოქმედონ ფარულად, მაგრამ ეკლესიას არ შეუძლია არ გახრწნას ის საფუძვლები, რომლებსაც ეყრდნობა კომუნისტური ხელისუფლება, მას არ შეუძლია არ გააფართოვოს თავისი ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან ერთად.

ეკლესია არის არა მარტო კულტურული მტერი, ის აუცილებლად და ყოველთვის არის აშკარა პოლიტიკური მტერიც.

მაშ რისთვის ვენაზებით მათ, რატომ არ დავსცხებთ ყველა ეკლესიას და სექტას? განა ჩვენ ხელთ არ არის საკმაოდ მტკიცე ადმინისტრატიული იარაღი? სხვანაირად, რომ ვსთქვათ: ნუთუ ჩვენ გვჭირდება ჩვენთვის ასე არა სასიამოვნო და უცხო „ლიბერალიზმის“ ერთგვარი ელემენტები რელიგიის მიმართ?

ლმობიერება სარწმუნოებისადმი, რასაკვირველია, ლიბერალიზმის ელემენტია, მაგრამ იგი აღიარებულია ჩვენი კონსტიტუციითაც. ლიბერალიზმის ეს ელემენტი კომუნისტურმა პარტიამ თავის პოლიტიკურ-კულტურულ პრაქტიკაში შეიტანა არა იმიტომ, რომ მას სურდა სამღვდელოებასთან შერიგება, არა იმიტომ, რომ შესუსტდა პარტიის სიძულვილი რელიგიისადმი, რომ მას აღარა სურს რელიგიის მოსპობა.

პირიქით, ამ ელემენტით ჩვენ ჩვენთვის მისაღებ ფორმით ვზღუდავთ ბრძოლის ასპარეზს და ვუარვჰყოფთ გამოუსადეგ იარაღს.

ჩვენი ქვეყანა სავსეა სხვადასხვაგვარად მორწმუნე ხალხით. მათი გამოწვევა „უკანასკნელ, გადამწყვეტ ბრძოლაში“, მათი დევნა რელიგიური რწმენისათვის იქნებოდა ხუცებისათვის დახმარების გაწევა, ვინაიდან ასეთი პოლიტიკით ჩვენ ამ მასების მნიშვნელოვან ნაწილს ხელში ჩავუგდებდით ხუცებს. ჩვენ საგრძნობლად ვასუსტებთ სამღვდელოებას იმით, რომ მას არ შეუძლია დააჯეროს მორწმუნეები, თითქოს ჩვენ ვიყვეთ მტარვალები, რომელნიც ცდილობენ ძალით ამოჰგლიჯონ მორწმუნეებს გულიდან მათი რწმენა.

ჩვენ უაღრესად ვასუსტებთ ყველა რელიგიის ღვდელმსახურთა პოზიციას სწორედ ჩვენი განცხადებით, რომ უფლებას ვაძლევთ ყველას თავისუფლად აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც მან აირჩია.

გარდა ამისა, მცირეოდენი არაფრთხილი ადმინისტრატიული ზეგავლენაც კი იმაზე, რასაც მორწმუნე ხალხი სინიდისს უწოდებს, მხოლოდ აფუჭებს საქმეს. რელიგია ჰგავს ლურსმანს: როცა მას სცემ ჩაქუჩით, ის იმდენად ღრმად შედის კედელში, რომ შემდეგ მისი ამოღება ძნელი ხდება. აქ საჭიროა გაზი. საჭიროა არა ჩაქუჩის დარტყმა, არამედ გაზის მოდება ქვეშიდან და ამოგლეჯა მთლიანად, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერული პროპაგანდით, მასების, კერძოთ მოზარდი თაობის, მორალური და მხატვრული აღზრდით, მთელი ყოფა-ცხოვრების რეკონსტრუქციით, ხელოსანთა და, განსაკუთრებით, გლეხთა შრომის მეცნიერულ საფუძვლებზე მოწყობით და სხვ.

ამავე დროს, სწორედ ეს საკანონმდებლო და ადმინისტრატიული ლმობიერება მოითხოვს ჩვენგან ენერგიის უაღრესად დაძაბვას რელიგიასთან კულტურული და სამეურნეო ბრძოლის საქმეში.

საბჭოთა კონსტიტუცია როდი გვეუბნება, რომ უნდა შესუსტდეს ბრძოლა რელიგიასთან. ის გვაძლევს ფორმებს, რომლეშიაც ჩვენ ყველაზე უფრო ადვილად დავამარცხებთ რელიგიას, თუ ბოლომდის ენერგიულნი ვიქნებით. ის საჭიროდ სთვლის ათეიზმის ფართო აგიტაციას, ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მოითხოვენ აღნიშნული პროპაგანდის უაღრესად განვითარებას და გაშლას, ყოველგვარი რელიგიის და ყოველგვარი იდეალიზმის კრიტიკის შეტანას ამ პროპაგანდაში. მაშასადამე, აქ ჩვენი პოლიტიკა სავსებით აგრესიული, შეტევითი და განმანადგურებელია, მაგრამ არა უბრალო მექანიკური ზეგავლენის იარაღით, არა მატერიალური ძალის გამოყენებით, რადგან ეს მეთოდები არ არის მიზანშეწონილი.

მაგრამ, ხუცებმა და მათმა დამქაშებმა ძველ და ახალ, ცოცხალ და მკვდარ ეკლესიაში და სხვადასხვა სექტებში, რომელნიც ამჟამად რელიგიის აგენტების მთავარ ძალას წარმოადგენენ, არ უნდა იფიქრონ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არავითარ ზომებს არ მიმართავს იმ შემთხვევაში, როცა ისინი თვით გადალახავენ მათთვის ნებადართულ საზღვრებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მათ ნებას მისცემს ამოეფარონ კონსტიტუციის პუნქტს და აკეთონ ბნელი საქმეები.

რელიგიას აქვს პოლიტიკური ნესტარი. არც შეიძლება რელიგიას არ ჰქონდეს პოლიტიკური ნესტარი. მაგრამ დაე ეს ნესტარი მაგრად შეინახოს რელიგიამ, ვინაიდან ყოველთვის, როდესაც იგი ამ ნესტარს გამოჰყოფს უდიდესი ნაბიჯებით მიმავალ პროლეტარის დასაშხამავად, ეს პროლეტარი თავისი ქუსლით თავს გაუჭეჭყავს გველს.

ამჟამად იწყება სერიოზული და გადამწყვეტი ბრძოლა, ჩვენი მოსახლეობის ათეისტური ნაწილი მოღონიერდა და მზადაა გააძლიეროს კულტურული ზეგავლენა ჩამორჩენილ მასებზე, რათა ამოიყვანოს ისინი რელიგიურ ცრუმორწმუნეობის ჭაობიდან. კულაკი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს სოციალიზმისაკენ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს, ხოლო ეს ენერგიას მატებს სხვადასხვა „მქადაგებლებს“.

ამას წინად პრესაში გამოქვეყნდა, რომ ერთ გუბერნიაში რომელიღაც სექტაში ჩააბეს 400 მუშა. ამ აღმაშფოთებელმა ფაქტმა, ამ მცირე, მაგრამ საზიზღარმა დამარცხებამ უდიდესი აღშფოთება უნდა გამოიწვიოს ჩვენს წრეში და უნდა გვაიძულოს გავაათკეცოთ ენერგია. ულმერთოთა ადგილობრივი ყრილობები და საკავშირო ყრილობა იმ თარიღათ უნდა გადაიქცეს, რომელიც გააძლიერებს ათეისტების ენერგიას რელიგიასთან ბრძოლაში. საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც არ გადაუხვევს ბრძოლის მეთოდებში დასახულ საზღვრებს, ძლიერი ხელით დაეხმარება ათეისტებს სახალხო მასების განკურნებაში საუკუნოებრივ სნეულებისაგან.

ა. ლუნაჩარსკი.

პ ა რ ტ ი ა შ ი

ბოლშევიკური რიგების შემოწმება

ვაჭრობის სახ. კომისარიატის უჯრედში

— „შემმოწმებელი კომისია უძლური აღმოჩნდება გასწმინდოს პარტია იდეოლოგიურად მერყევ, ბიუროკრატიულ, კარიერისტულ ელემენტებისაგან, თუ ამ საქმეში მონაწილეობას არ მიიღებს როგორც პარტიული, ისე უპარტიო მასა“ — აცხადებს შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარე ამხ. იაკუბოვი.

უჯრედის მდივანი ამხ. ოგანეზოვი მოკლედ ეხება უჯრედის მუშაობას. „ჩვენთანაც მოიპოვებიან ისეთი „კომუნისტები“, რომლებსაც თავისი კეთილდღეობის მეტი არაფერი ახასიათებს. ადგილი ჰქონდა პარტდისციპლინის დარღვევის შემთხვევასაც“,— აღნიშნავს იგი.

იწყება ამხანაგების შემოწმება.

— „1919 წლამდე ვიყავი მენშევიკური პარტიის აქტიური წევრი, — ამბობს ამხ. კარამიანი, — მაგრამ შემდეგ გავსწყვიტე მასთან კავშირი და დავიწყე ნამდვილი რევოლიუციონური მუშაობა“.

— „მქონდა ცოდვები წარსულში, —აცხადებს ამხ. მელიქი, — მე, ბოლშევიკური პარტიის წევრმა, გამოვიჩინე მერყეობა და მივემხრე ინტერნაციონალისტ — ზურაბიშვილებს, მაგრამ დავრწმუნდი, რომ შევცდი. ხელახლა დავბრუნდი ბოლშევიკურ პარტიაში“.

დამსწრეები არ კმაყოფილდებიან შესამოწმებელი პირების მხოლოდ წარსული მუშაობით. მათთვის საინტერესოა ისიც, თუ რამდენად სწორად ატარებს ესა თუ ის კომუნისტი პარტიის დირექტივებს თავის ყოველდღიურ მუშაობაში.

— „რა გაგიკეთებია აპარატის გაუმჯობესებისათვის, მისი რაციონალიზაციისათვის“? აძლევენ ისინი კითხვებს გასაწმენდ ამხანაგებს და გულმოდგინედ უსმენენ პასუხს.

ექვსი ამხანაგი შემოწმებულია. შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარე კრებას დახურულად აცხადებს. შემოწმების გაგრძელება შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

ა. შ.

„ზაკტპო“-ს უჯრედში

წმენდის მეორე დღეა. გაცხოველებული მიმდინარეობს პარტიის წევრ-კანდიდატების შემოწმება. დამსწრენი აქტიურად ეხმარებიან გამწმენდ კომისიას. შეკითხვებს ზედიზედ აძლევენ შესამოწმებელ ამხანაგებს; ყველა ცდილობს გამოამჟღავნოს ამა თუ იმ ამხანაგის უარყოფითი მხარეები, გაარკვიოს მისი პარტიული სახე.

გამწმენდ კომისიისა და გასაწმენდთა შორის სრული ამხანაგური განწყობილება სუფევს.

რიგ-რიგობით გამოდიან შესამოწმებელი კომუნისტები... აგერ, ჯერ არ დაუწყია ბიოგრაფიის მოყოლა ამხანაგს, რომ ადგილებიდან გაისმის ხმები: — „კარგი ბიჭია, ღირსია პარტიის რიგებში დარჩენისა, მან „ზაკტპო“-ს ავტო-გარაჟი ფეხზე დააყენა“.

— ამჟამად „ზაკტპო“-ს გარაჟის გამგე ვარ, ყოველგვარ პარტიულ დავალებებს ურყევლად ვასრულებ — აცხადებს გარაჟის ფეხზე დამყენებელი ამხ. ზულიაშვილი.

— შენც ვიცნობ, კარგი მომუშავეა — უმატებს თავის მხრივ თავმჯდომარე.

ზულიაშვილს სცვლის ამხ. ზარემბო, ჯანღონით სავსე ახალგაზრდა.

— მამა 32 წელიწადია რკინის გზაზე მუშაობს, 1921 წელს შევედი კომკავშირის რიგებში. ვმუშაობდი განჯაში, ბათომში; ამჟამად ვმუშაობ ამ.-კავ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოში.

ზარემბოს სცვლის შოფერი ზაზირაშვილი.

— ამა წლის აპრილის თვემდე ვმუშაობდი გარაჟში, ამჟამად კი „ავტოპრომტორგში“.

— ზაზირაშვილი მოხსნილი იქნა გარაჟიდან როგორც სისტემატიური მოკრივე — აცხადებს ერთ-ერთი დამსწრეთაგანი.

ზაზირაშვილის მუშაობის ამბავი საშკარაოზე გამოდის. ზოგნი მას კარგ მომუშავეთ ახასიათებს, უმეტესი ნაწილი კი—უარყოფითად.

— მე ინტრიგა მომიწყვეს, — აცხადებს თვით ზაზირაშვილი.

— ინტრიგების ერთ-ერთი ხელმძღვანელი შენ იყავი, — გაისმის ხმები ადგილებიდან.

„საკმარისია“ — აცხადებს თავმჯდომარე,— შენი პირადი საქმეები ლაპარაკობენ, რომ შენ მოხსნილი ყოფილხარ სამსახურიდან, როგორც გამოუსწორებელი მოკრივე.

ს.

პარტიული კონფერენციები

ქუთაისი

(ტელეგრაფით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 18 ივნისი. დღეს საღამოს, გაიხსნა ქუთაისის სამაზრო პარტკონფერენცია. კონფერენციას 180 დელეგატი ესწრება. საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: **სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, რუძუტაკი, კუიბიშევი, რიკოვი, ორჯონიკიძე, ცხაკაია,, მახარაძე, ორახელაშვილი, კახიანი და ლოლობერიძე.** საქმიანი პრეზიდიუმის წევრებათ: **მახარაძე, კეკელია, ღვამიჩავა, მეტონიძე, საჯაია, კაკაბაძე, ჯანჯღავა, აფხაიძე და სხვ.**

დამტკიცებულია შემდეგი დღის წესრიგი, საქ. კ. პ. (ბ) მე-16 პარტკონფერენციისა და ცეკას უკანასკნელი პლენუმის შედეგები

საქართველოს ცეკას მოხსენების გამო საკავშირო ცეკას მიერ მიღებულ დადგენილებათა რეალიზაცია ქუთაისის მაზრაში.

საქართველოს მეექვსე პარტყრილობაზე დელეგატების არჩევნები.

სამაზრკომის მდივნის ამხ. ამბერკი კეკელიას შესავალ სიტყვის შემდეგ პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ფ. მახარაძე, რომელსაც კონფერენცია მქუხარე ტაშის ცემითა და ფეხზე ადგომით შეხვდა.

ს. მესხი.

ზუგდიდი

გავატარებთ პარტიის გენერალურ ხაზს

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

18 ივნისს დამთავრდა ზუგდიდის მაზრის მეთერთმეტე პარტკონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდა ასამდე დელეგატი და ქალაქის ორგანიზაციების მთელი აქტივი.

კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში, ერთხმად აირჩია ამხ. **სტალინი, კალინინი, ორჯონიკიძე, კლარა ცეტკინი, რუძუტაკი, ორახელაშვილი, ცხაკაია, მახარაძე.** მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა საკავშირო კომპარტიის ცეკას, ამხ. სერგო ორჯონიკიძეს, ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტს და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას.

დღის წესრიგში დამტკიცებულ იქნა შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას აპრილის პლენუმისა და მეთექვსმეტე პარტკონფერენციის შედეგებზე, 2. საქართველოს კომპარტიის ცეკას დადგენილების ცხოვრებაში გატარების შესახებ.

პირველ საკითხზე კონფერენციამ მოისმინა ცეკას წარმომადგენლის ამხ. **გ. დევდარიანის** მოხსენება. მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ზუგდიდის მაზრის მეთერთმეტე პარტკონფერენცია, მოისმინა რა მან მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას აპრილის პლენუმისა და მეთექვსმეტე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ, სავსებით და მთლიანად ურთდება პლენუმის და კონფერენციის დადგენილებებს. მრეწველობის ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ სწრაფი ტემპით განვითარება ეფარდება მეთხუთმეტე პარტყრილობის მიერ მოცემულ დირექტივას სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის შესახებ. კონფერენციის მიერ დასახული ძირითადი ღონისძიებანი უზრუნველჰყოფს პროლეტარულ დიქტატურისათვის მტკიცე სოციალისტურ ბაზის შექმნას სოფლად.

პლენუმმა და კონფერენციამ სავსებით სწორი შეფასება მისცეს პარტიის გენერალურ ხაზიდან მარჯვნივ გადახრას, რომელიც ობიექტიურად გადაიქცა პროლეტარიატზე ბურჟუაზიულ ზეგავლენის იარაღად. მემარჯვენე ელემენტები სოფლის მეურნეობის დეგრადაციის შესახებ ლაყბობით, კულაკის სოციალიზმში მშვიდობიან შეზრდის თეორიის წამოყენებით, მძიმე ინდუსტრიის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპის შენელების მოთხოვნით, მიდიან სრულ დათმობაზე კაპიტალისტურ ელემენტებისათვის.

შინაპარტიულ წინააღმდეგობათა დაძლევის ერთ-ერთი პირობაა კონფერენციის მიერ დადასტურებული გენერალური პარტწმენდა, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს პარტიის იდეურ მთლიანობას.

ზუგდიდის მაზრის პარტორგანიზაცია აღუთქვამს პარტიას, რომ ის შესძლებს გაატაროს ცხოვრებაში პარტიის გენერალური დირექტივები როგორც სოციალისტურ მშენებლობის, ისე თავის საკუთარ რიგებში ყოველგვარი მერყეობასთან ბრძოლის მიმართულებით“.

შემდეგ საკითხზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. ი. ჟვანიას მოხსენება, რომლის გამო მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„კონფერენცია სავსებით იწონებს ცეკას ხელმძღვანელობას, როგორც ქალაქის მრეწველობის განვითარების და სოფლის მეურნეობის ახალ საფუძვლებზე გარდაქმნის დარგში, ისე პარტიის მთლიანობის ლენინურად განმტკიცების საქმეში.

კონფერენცია ხაზგასმით აღნიშნავს სამაზრკომის სწორ ხელმძღვანელობას პარტიის, კომკავშირის და მოჯამაგირეების და ღარიბ-საშუალო გლეხთა კავშირის გაძლიერებისა და მათ, კოლმეურნეობებში გაერთიანების საქმეში.

კონფერენცია იწონებს სამაზრკომის პრეზიდიუმის მიერ მენშევიკურ ტროცკისტულ, მემარჯვენე ელემენტებისა და ყველა გახრწნილ პირთა წინააღმდეგ მიღებულ ღონისძიებებს. კონფერენცია ავალებს სამაზრკომს შემდგომშიაც მტკიცეთ გაატაროს ცხოვრებაში ლენინური ცეკას გადაწყვეტილებები, რომლებიც მიმართულია როგორც სოციალისტური აღმშენებლობის გასაძლიერებლად, ისე პარტიის სიწმინდისა და მთლიანობის განსამტკიცებლად“.

კონფერენციას მიესალმენ ფოთის ორგანიზაციის წევრები, რის შემდეგაც არჩეულ იქნა დელეგატები საქართველოს მეექვსე პარტყრილობაზე დასასწრებლად.

ა. კოდუა.

კახეთი

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

გურჯაანი, 18 ივნისი. დღეს გაიხსნა კომპარტიის კახეთის მაზრის მეორე პარტკონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

საქ. კ. პ. (ბ) მე-16 პარტკონფერენციის შედეგები.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მოხსენების გარშემო საკავშირო კომპარტიის ცეკას მიერ მიღებულ დადგენილებების რეალიზაცია კახეთში.

დელეგატების არჩევნები საქართველოს მეექვსე ყრილობაზე.

ყრილობას ესწრება გადამწყვეტი ხმით 63, სათათბირო 32.

კონფერენციას მიესალმენ კოლექტივის, კომკავშირის და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლები.

დღის წესრიგში დასმულ საკითხებზე მოხსენებები გააკეთეს ამხ. მაჩაიძემ და ვარამაშვილმა.

კონფერენცია უდიდესი აქტიობის და ლენინურ ერთსულოვნების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს.

ჭოჭუა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) რიგების შემმოწმებელი კომისიების თავმჯდომარეები, წევრები და მდივნები, რომლებიც თბილისში იმყოფებიან, და გაზეთების რედაქციების წარმომადგენლები ა.-წ. 20 ივნისს, დილის 8 საათზე უნდა გამოცხადდნენ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიაში, სადაც გაიმართება თათბირი საქართველოს კომპარტიის (ბ) რიგების წმენდისა და შემოწმების საკითხის გარშემო.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმი

სოციალისტური შეჯიბრება

სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო მეურნეობაში ფართოდ იშლება

აცანის ჩაის ქარხნის ადგილკომი ხელს უშლის ნორმალურ მუშაობას

კოლმეურნეობები შეჯიბრებაში

სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ამჟამად ტარდება საბჭოთა კავშირში, მშრომელთა მილიონიანი მასების სოციალისტურ მშენებლობაში პრაქტიკულად ჩაბმის საუკეთესო საშუალებაა. ფაბრიკა-ქარხნების საწარმოო შეჯიბრებამ უკვე გამოიღო ნაყოფი. სწორედ ამიტომ საჭიროა ქალაქებში მიმდინარე სოციალისტური შეჯიბრების მდიდარი გამოცდილება სოფლის მეურნეობაშიაც გამოვიყენოთ.

სოფლად სოციალისტური შეჯიბრების დანიშნულება უნდა იქნეს კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის გაჯანსაღება, მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა მასის დაინტერესებით და მისი ჩაბმით ამ საქმეში.

კოლექტიურ მეურნეობათა სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი მიზანი შეიძლება განისაზღვროს 3 უმთავრეს მომენტით: 1. მოსავლიანობის გადიდება და ნათესების სივრცის გაფართოვება; 2. ყოფა-ცხოვრებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხები კოლმეურნეობაში და 3. კოლექტივების კავშირი ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებთან.

მიმდინარე მომენტში სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხად ითვლება მოსავლიანობის გადიდება და ნათესების გაფართოვება, რათა მეურნეობამ მეტი საბაზრო პროდუქცია მოგვცეს. ამისათვის, სოციალისტური შეჯიბრების საკითხთა პრაქტიკულად დამუშავების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს აგრიკულტურულ ღონისძიებათა გატარებას, როგორიცაა: თესლის გაწმენდა, მწკრივში თესვა, ანეულის ადრე მოხვნა, მავნებლებთან ბრძოლა და სხვა.

კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების დროს სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს იმ საკითხების მოგვარებას, რომელიც კოლექტივების შინაურ ცხოვრებას შეეხება. ასეთი საკითხებია უმთავრესად ყოფა-ცხოვრების წესებისა და პირობების გაუმჯობესება, შრომის სწორი და რაციონალური ორგანიზაცია, შრომის დისციპლინის აწევა, ქალებისა და მოზარდების შრომის გეგმიანი გამოყენება, ღარიბთა და საშუალო გლეხებიდან ახალი წევრების მიზიდვა, საკუთარი საშუალებების გადიდება, კულტურული მუშაობის გამოცოცხლება და სხვ. და, ბოლოს, შეჯიბრებამ უნდა გააძლიეროს კოლექტივების საწარმოო კავშირი ინდივიდუალურ მეურნე საშუალო და ღარიბ გლეხკაცობასთან. ეს კავშირი უნდა გულისხმობდეს პრაქტიკულ სამეურნეო დახმარების გაწევას ცალკე გლეხთა მეურნეობებისათვის. დახმარება შეიძლება გამოიხატოს ღარიბთა მიწების დამუშავებაში, ახალი კოლექტივების მოწყობისათვის ხელის შეწყობაში და სხვ.

გარდა ამისა, საჭიროა კოლმეურნეობათა მიღწევები სისტემატიურად გავაცნოთ გლეხებს, რომ უკანასკნელებმა თავიანთი თვალით დაინახონ ის უპირატესობა, რაც მსხვილ კოლექტიურ მეურნეობას აქვს. სოციალისტურ შეჯიბრებას შეუძლია უდიდესი როლი ითამაშოს ხორბლის, ქერის და სიმინდის დამზადების კამპანიაში. ამისათვის ამ საკითხებმა მთავარი ადგილი უნდა დაიჭიროს შეჯიბრებების ჩატარების დროს, რაც შეეხება შეჯიბრების მასშტაბს, იგი შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს; უმჯობესია შეჯიბრება მოეწყოს მაზრის შიგნით არსებულ კოლექტივებს შორის და, რაც მთავარია, ერთმანეთს უნდა შეეჯიბრონ ტიპიურად ერთნაირი კოლექტივები.

შეჯიბრება არ უნდა ატარებდეს ვიწრო და სეზონურ ხასიათს. საჭიროა შეჯიბრება ორგანიზაციულად მოეწყოს ისე, რომ მან დიდი ხარჯები არ გამოიწვიოს. ამისათვის უნდა ვერიდოთ ოფიციალობასა და ფორმალობას.

დასასრულ, კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება უნდა ჩატარდეს პარტიულ ხელმძღვანელობის გაძლიერების პირობებში. ძირითად პარტიულმა უჯრედებმა სოფლად წინასწარ უნდა დაამუშაონ შეჯიბრებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და მიიღონ ზომები აღნიშნულ საქმეში მშრომელი გლეხობის ფართო მასების აქტიურად ჩაბმისათვის.

ქ. ჭოჭუა.

როგორ ზრდიან ახალგაზრდა სპეცებს

საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს სპეციალისტთა ახალი კადრების მომზადებას.

მაგრამ ამ მხრივ ზოგიერთ ორგანოებს ემჩნევათ მნიშვნელოვანი გადახრა და დირექტივების დამახინჯება.

აი ამის მაგალითები:

1928 წლის საწარმოო სტაჟის პერიოდში, გზათა სახალხო კომისარიატმა სხვა ტექნიკურ პერსონალთა შორის ამიერ-კავკ. რკ. გზის სამმართველოს მისცა სტაჟიორ-ეკონომისტების ადგილი. ამ ადგილზე განათლების კომისარიატის მიერ გამოგზავნილი უნდა ყოფილიყო უსათუოდ უმაღლეს ცოდნა-მიღებული პირი, რომელსაც ყოველთვიურად განაკვეთის მიხედვით უნდა მისცემოდა 130 მანეთი. მაგრამ ასე არ მოხდა. საქართველოს განათლების კომისარიატმა და საგზაო პროფგანათლებამ სტაჟიორებათ ადგილებზე გაგზავნა არა ეკონომიური ფაკულტეტ-დამთავრებული, როგორც ეს იყო საჭირო, არამედ საშუალო სასწავლებლებიდან. ესენი არიან: **ვერა მელიქიშვილი, ბარბარე მაჩიტაძე, თამარი მუხუზლა და მარგარიტა მეგრაბიანცი.** ისინი ამჟამად ასრულებენ ქაღალდების გადაწერას და ჩაკერების საქმეს და ზოგ მათგანმა სრულებით არ იცის რუსული ენა, რაც აუცილებელია საკავშირო მასშტაბის დაწესებულებაში სამუშაოდ.

აღნიშნული პირები გაგზავნილი არიან უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტ-დამთავრებულ პირთა ნაცვლად და რადგან ისინი არიან საშუალო ცოდნით და ეკონომ. განხრით, რკინის გზის სამმართველომ მათი გამოყენება ვერ შესძლო, ამიტომ რკინის გზის სამმართველო უარზე იყო მათ მიღებაზე და მოითხოვდა სტაჟიორებათ გამოგზავნილნი ყოფილიყვნენ უმაღლესი ეკონომიური ცოდნით აღჭურვილი პირები, მაგრამ სამმართველოს მოთხოვნას და განაწესის დებულებას ყურადღება არავინ მიაქცია.

დაბოლოს უნივერსიტეტ-დამთავრებულ სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა შეიტანა საჩივარი პროფკავშირში და საგზაო პროფგანათლებაში. თბილისის უბკავშირმა და ამიერ-კავკ. საგზაო კომიტეტმა ა.-წ. 15 თებერვალს, 29 მარტს და 8 აპრილს მიმართვებით განათლების კომისარიატისაგან მოითხოვა აღნიშნულ სტაჟიორების მოხსნა, როგორც არა შესაფერისად გამოგზავნილების და მათ ნაცვლად წარადგინეს უნივერსიტეტ დამთავრებულთა კანდიდატები. განათლების კომისარიატს აღნიშნულ მიმართვებზე კავშირისათვის პასუხიც არ მიუცია.

გარდა ამისა რკინის გზის სამმართველო ა.-წ. 18 და 20 აპრილის მიმართვებით მოითხოვდა აღნიშნულ პირების მოხსნას, როგორც არაშესაფერისად გადმოგზავნილების და მოუმზადებლების, მაგრამ ჯერ-ჯერობით საკითხი კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

მათ შესანახად კი უკვე დაიხარჯა 4.000 მანეთი, რომელსაც არავითარი ნაყოფი არ მოუცია. 4.000 მანეთი დაიხარჯა იმისთვის, რომ სახელმწიფოსათვის მოგვემზადებია კანცელიარიის რეგისტრატორები და გადამწერები.

ასეთი საქციელი სახალხო განმანათლებლო ორგანოების მხრივ, ბოროტმოქმედებაა. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა მიაქციოს ყურადღება და გამოასწოროს დაშვებული შეცდომა.

ნ.

ადგილკომი ხელს უშლის მუშაობას

(აცანის ჩაის ქარხანა)

უკვე დაიწყო ჩაის ახალი ქარხნის აგება. ძველ ქარხანამ ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნილება. მიუხედავად ცუდი ამინდისა, ნედლი ჩაის ფოთლის მოსავალმა გადააჭარბა მოლოდინს. ქარხანასთან შენდება ელსადგური, რომელიც აამუშავებს ქარხანას და გაანათებს ახლომდებ ადგილებს. მუშაობა მიმდინარეობს ორ ცვლად.

საუბედუროთ როგორც ძველ ქარხანაში, ისე ახალი ქარხნის სამუშევრებზე გამეფებულია დიდი უწესრიგობა, არავინ არ ზრუნავს შრომის ნაყოფიერების აწევაზე. კვალიფიკაციური მუშები ეწევიან სისტემატიურ ლოთობას, მაგრამ სამუშაოთა მწარმოებელი ამას ყურადღებას არ აქცევს. ტეხნიკი ოსიპოვი სცემს და აგინებს დღიურ მუშებს; ფულები იხარჯება უთავბოლოდ და სხ. აქვე არსებობს მეურმეთა არტელი, რომელიც 15—20 მანეთს აკეთებს დღეში; სამუშაო არაა დახარისხებული და არაა შედგენილი სამუშაო ნიხრი.

უფროსი მუშის თანამდებობაზე მუშაობს განთქმული კონტრაბანდისტი კლ. მჟავანაძე, რომელიც სიარულის მეტს არაფერს აკეთებს.

ძველი ქარხნის ადგილკომის თავმჯდომარე ემელე **ქინქლაძე** არავითარ კანონებს არ ემორჩილება. მან უკანონოთ მოხსნა სამუშაოდან უღარიბესი გლეხი შომინისა და ტაკიძის ქალი. მის ადგილზე კი მოაწყო მისი ძმა, პოლა **ქინქლაძე** და ცოლის ძმა სერგო **ჩხაიძე**. ამასთან ქარხნის ღამის დარაჯის თანამდებობაზე მან მოაწყო შეძლებული გლეხი, მისი ბიძა **მალაქი ჩხაიძე**.

ქარხნის გამგე, ორაგველიძე ვერ შეეფერება თავის თანამდებობას, ის ვერ იჩენს ადმინისტრატორობას. ადგილკომი ხშირად ერევა მის პირად საქმეში, როგორიც არის მუშების განაწილების საქმე. მოთხოვნილების წაყენება მუშა ხელზე და სხვა.

ადგილკომის თავმჯდომარე ემ. ქინქლაძე აჭარბებს თავის უფლებებს და ერევა ახალი ქარხნის სამუშაო საქმეებშიაც, რომელიც სრულებით არ ეკითხება მას.

ამას წინად ქარხანას ესაჭიროებოდა მუშა, რომელიც მოსთხოვა ინჟენერმა ადგილკომს, მაგრამ ქინქლაძემ უარი განაცხადა მუშების მიცემაზე, თუ მათ არ მისცემდა ადმინისტრაცია 3 და 50 კაპ. ხელფასს დღეში. ინჟენერი იძულებული გახდა მუშები გამოეთხოვა შრ. ბირჟიდან, ასეც მოხდა, მოთხოვნილი მუშები დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ ადგილზე და მუშაობდნენ 2 მანეთად დღეში. ადგილკომის თავმჯდომარე ქინქლაძე გაბრაზდა და რამოდენიმე დღის შემდეგ სუყველა მოხსნა ადგილიდან. „რას მიქვია ორი მანეთი. გაიპარეთ აქედან. თუ მეტს არ იძლევიან აცანლებს ვამუშავებო". ასეთი სიტყვებით გაისტუმრა მან მუშები (ალბათ კიდევ ჰყავდა მოსაწყობი ნაცნობ-მეგობრები სამუშაოზე).

ამგვარად მან დაითხოვა სამუშაოდან პროფკავშირის წევრები და მათ ნაცვლად შეკრა რაღაც „არტელი", რომელიც ყოველდღე იშლება, აფერხებს მუშაობას.

საერთოდ ქინქლაძე აკეთებს ისეთ საქმეს, რომელიც მას სრულებით არ ევალება. თავის საქმეს კი გაურბის. არ აქცევს ყურადღებას მუშების კანონიერ მოთხოვნილებას. ადგილი აქვს შრომის კანონების დარღვევას. ადგილკომი იმის მაგიერ, რომ ხელმძღვანელობდეს მუშათა შორის კულტმუშაობის გაღრმავებას და შრომის დისციპლინისა და შრომის ნაყოფიერების განმტკიცების საქმეს, ხელს უშლის მას.

ასე ავრცელებს ქინქლაძე კავშირის მუშაობას წევრთა შორის და ასე თავისებურად ატარებს კავშირის ხაზს.

ვნახოთ რას იტყვის „საქ-ჩაის" გამგეობა და მიწა-ტყის კავშირის სამაზრო განყოფილება.

აცახული.

კოლოფების ფაბრიკა. კოლოფის გვერდებს გამოჭრა.

მიღწევები და ნაკლი აღმშენებლობის საქმეში

აღმშენებლობა სოფლად თანდათან ფართოვდება.—გლეხობა თვითდაბეგვრის საშუალებით აგებს სკოლის შენობებს, გაჰყავთ წყალსადენი.— ტირიფონის არხის სამუშაოების სამმართველოში უნდა აღმოიფხვრას ნათლიმამობა და საქმისადმი გულგრილი მოპყრობა.

ვიწყებთ ახალი წყალსადენის გაყვანას

წითელ-ქალაქის თემი, გორის მ.

სოფ. წითელი ქალაქი განთქმულია თავისი ანკარა და ცივი წყაროებით. წინედ ამ წყაროებით, სარგებლობდა ადგილობრივ თავადების მოხიზნულიან შეადგენდა. თვით წითელი ქალაქის მოსახლეობას სასმელი წყლის მოტანა უხდებოდა ორი კილომეტრის მანძილიდან. ამ დროს კი მაშინდელ „პრწყინვალე" წოდებას თავიანთ საკუთარ ეზოებში შადრევნებიც კი ჰქონდათ გამოყვანილი. 1902 წელს როგორც იქნა დიდი ვაივაგლახით სოფელს დართეს თავიანთ ხარჯით გაეყვანათ წყალსადენი. მას სულ 27 წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში აღნიშნული წყალსადენი თითქმის განადგურებულია, ვინაიდან იგი გაყვანილი იყო თიხის მილებით.

ახალი წყალსადენის გამოყვანის საკითხი ბუნებრივად წამოიჭრა, მაგრამ გლეხობას ამ საქმეში თუ ინიციატორობა და ხელმძღვანელობა არავინ გაუწია, თავისით ვერაფერს გააკეთებს. ასეთებიც გამოჩნდნენ აღნიშნულ სოფლიდან თბილისში მცხოვრები ამხანაგები. მთავარ ინიციატორად უნდა ჩაითვალოს ტეხნიკოსი ნიკოლოზ პაპიძე.

ამას წინად ამხ. პაპიძემ და ნ. იტრიევმა წითელ ქალაქში წყაროების და ადგილმდებარეობის დასათვალიერებლად წაიყვანეს თბილისის წყალსადენის ინჟინერი სუხიშვილი, ადგილმდებარეობის დათვალიერების შემდეგ წითელ ქალაქის კლუბში მოწვეულ იქნა სამი სოფლის (გარიყულა, წითელი-ქალაქის და ჩოჩეთის) გლეხთა საერთო კრება. კომისიის სახელით ამხ. პაპიძემ მოხსენება გააკეთა აღნიშნულ სამი სოფლის სასმელი წყლით მომარაგების მდგომარეობის შესახებ და გლეხებს განუმარტა ახალი წყალსადენის გაყვანის აუცილებელი საჭიროება. ამხ. პაპიძემ გააცნო აგრეთვე წყაროს ორი ვარიანტი, პირველი ძველი წყარო, მეორე — ეგრეთ წოდებული ივანიანთ წყარო.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ძველი წყაროდან წყალსადენის გამოყვანა დაახლოებით ჯდება 32 ათ. მ. ივანიანთ წყაროდან კი 11.000 მ. ნაკლები. გარდა ამისა ივანიანთ წყარო გაცილებით უკეთესი ღირსებისაა. ასე, რომ ჯერ-ჯერობით მიღებულია მე-2 ვარიანტი.

კრებამ სიამოვნებით მიიღო დადგენილება ახალი წყალსადენის გამოყვანის დაწყების შესახებ. იქვე არჩეულ იქნა ადგილობრივი კომიტეტი 9 კაცის შემადგენლობით. კომიტეტს დაევალა სასწრაფოდ გაწერილ იქნას 6.000 მანეთი წინასწარ, რათა შეტანილ იქნას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში ძირითად თანხათ, რომ შემდეგ სოფელმა მიიღოს გრძელვადიანი სესხი საკმაო რაოდენობით. ამასთანავე ამორჩეულ იქნა მეორე კომისია თბილისში მცხოვრებლებთაგან, რომელსაც მიენდო სათანადო მოლაპარაკების წარმოება მთავრობის ორგანოებთან და თბილისში მცხოვრებთა თვითდაბეგვრის მოსაწყობათ. ზემოჩამოთვლილი დადგენილებები შეთანხმებული იქნება მაზრის ხელისუფლებასთან. მხოლოდ საჭიროა მაზრის კომ. მეურნეობის განყოფილებამ თუ ფულად დახმარება ვერ გაუწევს, ტეხნიკური ძალებით მაინც დაეხმაროს, რათა დაუყოვნებლივ შედგენილ იქნას როგორც გეგმა, აგრეთვე ხარჯთაღრიცხვაც.

ნიკო მკერვალი.

ბუნებრივი სიმდიდრე და შუა სურების თემსაბჭოს ნაბიჯი

(წერილი გურიიდან)

შუა-სურების თემში (გურია) სოფ. საბერიშვილის მფლობელობაში შედიოდა ერთი ნაკვეთი მიწა, სახელდობრ „[illegible] სირი". როდესაც საყანეთ აილეს ამ სერის კალთები, შიგ მომუშავე გლეხებმა ნახეს ნაწდობი ქვები და ძველი თიხის მილები, საიდანაც გამოიტანეს დასკვნა, რომ იქ იყო რაღაც მადანი. ამ საბაბით მიწის მეპატრონეებმა ინჟენერის მოსაყვანათ გაგზავნეს გოგიბერიძე და თავართქილაძე და აღუთქვეს, თუ მადანს აღმოაჩენდა, ერთ მესამედს მისცემდნენ ინჟენერს, ერთ მესამედს ხსენებულ გოგიბერიძეს და თავართქილაძეს და დანარჩენს კი მეპატრონეები თვითონ იტოვებდნენ.

1907 წელში მოიწვიეს ინჟენერი, რომელმაც მოიყვანა მუშებათ 10 ბერძენი და შეუდგა მადანის ძებნას. 20 დღის გამალებული შრომით ინჟენერმა აღმოაჩინა ოქროს და სპილენძის ერთად ნარევი მადანი, საიდანაც ამოიღო მადნის ნიმუში და შემდეგ მანვე ამოავსო გვირაბი. როცა მიწის მეპატრონეებს ინჟენერმა აცნობა მადანის აღმოჩენა, მეპატრონეებმა მას ნაწილის მიცემაზე უარი უთხრეს, რაზედაც ინჟენერი უკმაყოფილო დარჩა. მან თან წაიღო დაახლოებით 10 ფუთამდე ამოღებული მადანი და შემდეგ ეს ქონება დარჩა უყურადღებოთ.

1914 წელში, იმპერიალისტური ომის გამოცხადების წინა თვეებში, მოვიდა ვიღაც პოლიაკის ქალი და დაუწყო მეპატრონეებს ვაჭრობა, რომ მადანიანი ადგილი მისთვის მიეყიდათ, მაგრამ ჯიუტობა გამოიჩინეს მეპატრონეებმა და ადგილი არ გაჰყიდეს. ამის შემდეგ დღემდე უყურადღებოთაა მიტოვებული ეს დიდი განძი.

მადნის საბუდოები დაახლოებით 6—8 კილომეტრის მანძილზეა გადაჭიმული და დასამუშავებლადაც შესაფერი პირობებია.

აქვე უნდა აღინიშნოს მეორე გარემოებაც: იმ სერზე, სადაც მადნიანი ადგილებია, მის გვერდით მეორე მხრიდან მთლიანად ერთი გორაკი წარმოადგენს წითელ მიწას—„სინგურს", რომელიც საუკეთესო ხარისხისაა.

რას მოწმობს ყოველივე ეს?

იმას, რომ ყველა ზემოთ დასახელებული ფაქტები სინამდვილეა და შუა-სურების თემში არის ოქრო-სპილენძის და საღებავი მიწის მადნები.

შუა-სურების თემსაბჭომ განიხილა პ. ბ.—ლის განცხადება მადნების შესახებ და ერთხმად დაადგინა: უახლოეს დროში აღმასკომს, თავმჯდომარემ გამოიწვიოს მუშები, გასწმინდოს ინჟინერის მიერ ნამუშევარი მადნის მაღარო, ამოღებული იქნეს მადნის ნიმუში და გადაიგზავნოს სადაც ჯერ არს.

საჭიროა ხელი მოვკიდოთ ამ მადნების დამუშავებას, რითაც ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკა ეკონომიურათ წინ წაიწევს. მეორე მხრივ სურების უღარიბეს გლეხობას მიეცემა არსებობის საშუალება. ისინი გახდებიან მაღაროს მუშები და ნამდვილი დამცველნი ოქტომბრის მონაპოვრის.

პ. ბერიშვილი.

—:—

დავეხმაროთ მშრომელ გლეხობას

სოფ. ბუკნარი, გურია

სოფ. ბუკნარის მშრომელმა გლეხობამ თვითდაბეგვრის წესით ააგო საკმაოდ მოზრდილი შენობა, რომელშიაც უნდა მოთავსდეს სკოლა, სახალხო სახლი და სამკითხველო. შენობის ასაგებად თვითეულმა გლეხმა გაიღო 40—50 მანეთამდე. შენობის აგება უკვე დამთავრებულია, რომელსაც აკლია მხოლოდ ჭერი. შენობის მთლიანად დამთავრებისათვის საჭიროა კიდევ 1.000 მანეთამდე. ამ თანხის ხელახლა გლეხობაზე გაწერა მეტად ძნელი იქნება, მით უმეტეს თუ მხედველობაში მივიღებთ გასული წლის მოუსავლიანობას.

ამიტომ სოფ. ბუკნარის მშრომელ გლეხობას იმედი აქვს, რომ როგორც ბუკნარიდან, ისე მის ახლო მდებარე სოფლებიდან წასული ამხანაგები, რომლებიც ცხოვრობენ თბილისში, მიიღებენ ზომებს და დახმარებას აღმოუჩენენ ბუკნარის გლეხებს სკოლის შენობის დამთავრების საქმეში. დახმარების საქმის ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს თბილისში მცხოვრებ ამხ. მირ. ბუჩიას.

დარწმუნებული ვართ სოფ. ბუკნარის მშრომელი გლეხობის ეს მოწოდება არ დარჩება უყურადღებოდ თბილისში მცხოვრებ მათი ამხანაგების მიერ.

სააღმშ. კომ. ხელმძღვანელი: ევტ. კაცაძე.

ვაგებთ სკოლის შენობას

აკეთის თემი, გურია

აკეთის თემში (სოფ. გაგურში) ოთხწლედს არ გააჩნდა შესაფერი შენობა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ნორმალური მეცადინეობა. ასეთი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად არჩეულ იქნა კომისია 10 კაცის შემადგენლობით. კომისია შეუდგა შენობის აგებისათვის სამზადისს, მაგრამ ვინაიდან ხსენებული სოფლის გლეხობას მცხოვრებთა სიმცირის გამო არ შეეძლო ამ საქმის მოგვარება, კომისიამ დახმარებისათვის მიმართა იმავე სოფლის მცხოვრებთ, რომლებიც ამჟამად ქალაქად ცხოვრობენ.

კომისიის ცდას უშედეგოთ არ ჩაუვლია. მან მიიღო შემოწირულების სახით შეგროვილი სხვადასხვა ამხანაგებიდან შემდეგი თანხა: სეით თოხაძისაგან—300 მ.; კლემენტი ჭეიშვილისაგან—150 მანეთი და 36 კ., ლადიკო ჭეიშვილისაგან—33 მანეთი, კოლია ჭეიშვილისაგან—20 მანეთი, შალვა ქანტურიშვილისაგან—16 მან. და 50 კაპ. მარო ბაჟუნაიშვილისაგან—12 მანეთი, ანდრო თოხაძისაგან—5 მანეთი და სიმონ გოგუაძისაგან 3 მან.

სააღმშენებლო კომისია.

დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს

(ქუთაისი)

როგორც ქუთაისში, ისე მაზრაში დიდი აღმშენებლობა სწარმოებს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ვიღაცა ხელს უშლის აღმშენებლობის სისწორით და ჩქარი ტემპით წარმოებას. მაგალითისათვის ავიღოთ ზედაზენის ქუჩის გაგრძელება, (ყოფ. ორპირის ქუჩა), რომელიც ქუთაისიდან დაწყებული მრავალ სოფლებში გავლით მიემართება სამტრედიაში და შემდეგ კი ორპირში. ამ გზას დიდი ეკონომ. მნიშვნელობა აქვს. ამ ბოლო დროს გზა მოძრაობისათვის უვარგისი იყო თითქმის 30—35 პროც., რაზედაც მის ირგვლივ დასახლებულ გლეხობიდან ხშირათ გაიგონებდით საყვედურს.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოიწვია სოფლის გლეხობა და გზაზე გამოატანია რიყის ქვა. გლეხობაც სიხარულით მუშაობდა იმით დაიმედებული, რომ შემდეგისათვის კარგი და ვარგისიანი გზა ექნებოდათ. მაგრამ დახეთ უბედურებას, გამოიცა ხელახალი განკარგულება, გამოიყვანეს გლეხობა და გამოუცხადეს: რადგან ქვამ არ ივარგა (თუმცა მასზე მუშაობა არავის დაუწყია), ამისათვის უნდა გამოიტანოთ ქვა ნარევი მიწით. გლეხობამ ესეც შეასრულა, ახლა უკვე ღრმად დაიმედებული, რომ ეღირსებოდა გზის გაკეთებას. მაგრამ მათ ბედმა კიდევ უმტყუნა. გამოვიდა მესამე განკარგულება: „ქვაც და მიწაც უვარგისია გზისათვის და ამიტომ უნდა აიღოთ და გადაყაროთო".

გლეხობა უკმაყოფილოთ შეხვდა ამ განკარგულებას. ხშირათ გაიგონებთ მათ ლაპარაკს: „ჩვენი რა ბრალია, ვინც ფუჭათ ჩაგვირონია ჩვენი ამდენი ხნის ნამუშევარი, ახლა მოვიდეს და მან იმუშავოსო".

იბადება კითხვა: რატომ პასუხს არ სთხოვს ამ საქმეში დამნაშავე პირს სამაზრო ხელისუფლება?

ბზიკო.

თაფარავანის ელსადგურის ასაგებად

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გამოყო სპეციალისტთა ბიურო, რომელსაც დავალებული აქვს შეუდგეს თაფარავანის ჰიდრო - ელსადგურის ასაგებათ შეგროვილ მასალების შესწავლას და სათანადო პროექტის დამუშავებას. ბიუროს მუშაობას და სადგურის საამშენებლო პროექტის დამუშავებას უხელმძღვანელებს ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე.

თაფარავანის ჰიდრო - ელსადგური აგებული იქნება ამავე სახელწოდების დიდ ტბასთან ჯავახეთში (ახალქალაქის მაზრა). საჭირო წინასწარი გამოკვლევები, როგორიცაა სადგურის ასაგები ადგილის ტოპოგრაფიული და გეოლოგიური შესწავლა, თაფარავანის ტბისა და მდ. თაფარავანჩაის რეჟიმის გამორკვევა და სხვა, ნაწილობრივ უკვე შესრულებულია გასული წლის განმავლობაში.

ს. მ. უ. საბჭოში მიღებული ცნობებით, თაფარავანის ჰიდრო - ელსადგურის აგების საკითხი დღის წესრიგში დასვა საკავშირო ს. მ. უ. ს. ელექტრონის მთავარმა სამმართველომ („გლაველექტრომ"). „გლაველექტროს" გეგმით აუცილებლათაა ცნობილი ამიერ - კავკასიაში აგებულ იქნას ერთი მძლავრი ჰიდრო - ელსადგური და რადგანაც თაფარავანი ამ მხრივ წარმოადგენს ყველაზე უფრო შესაფერისს ადგილს, ამიტომ მიზანშეწონილათაა ცნობილი თაფარავანის სადგურის აგება. პირველ ხანებში თაფარავანის სადგურის ძალოვნება ნავარაუდევია 100.000 ცხენის ძალის რაოდენობით.

სადგურის ასაგებ სამუშაოების დაწყება და სადგურის ნაწილობრივათ დამთავრება—ამუშავება გადაწყვეტილია უახლოესი 5 წლის განმავლობაში.

სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა პირველი ყრილობა

მესამე და მეოთხე სხდომა

ყრილობის მესამე და მეოთხე სხდომაზე 16 ივნისს საღამოს და 17 ივნისს დილით მოსმენილ იქნა საბჭოს წარმომადგენელ ამხ. მადჩიას და სარევიზიო კომისიის წევრების ამხ. შავლაძის მოხსენებები სარეწაო კოოპ. კავშირის გამგეობის წარსული მუშაობის შესახებ.

მომხსენებლებმა აღნიშნეს ის მძიმე პირობები, რომელშიაც მოუხდა მუშაობის დაწყება სარეწაო კოოპერაციის საორგანიზაციო ბიუროს 1927 წლის თებერვლამდე და სარეწაო კოოპერაციის კავშირის გამგეობას 1927 წლის თებერვლის შემდეგ. მათ აღნიშნეს, რომ ამ პერიოდში საორგანიზაციო ბიურო და გამგეობა მოკლებული იყვნენ არა მარტო მატერიალურ, არამედ მორალურ დახმარებასაც. სარეწაო კოოპერაციის გარშემო შექმნილი იყო მეტად არა ხელსაყრელი პირობები და ზოგიერთი ამხანაგები საჭიროდ სცნობდენ ამ ორგანიზაციის დაშლას. მათი აზრით, საქართველოს სინამდვილეში სარეწაო კოოპერაციას, როგორც განსაკუთრებულ კოოპერატიულ ორგანიზაციას, არ მოეპოება დასაყრდენი. ბაზისი. გამგების ჩამოყალიბების პირველ პერიოდში მდგომარეობა იმდენად გამოსწორდა, რომ ეს ორგანიზაცია დაყენებული იქნა ლიკვიდაციის საფრთხის წინაშე, მაგრამ საზოგადოებრივ აზრში მოხდა გარდატეხა სარეწაო კოოპერაციის სასარგებლოდ და აქედან გამგეობას მიეცა საშუალება ეწარმოებია უფრო ნაყოფიერი მშენებლობა.

შემდეგ მომხსენებლები იხილავენ გამგეობის მუშაობას უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში და აღნიშნავენ ამ მუშაობის დადებით მხარეებს, სარეწაო კოოპერაციის მშენებლობის მიღწევებს, რაც გამოიხატება ხელოსანთა შეკავშირების გაძლიერებაში, წარმოების გაფართოვებაში, ფინანსიური მდგომარეობის გაჯანსაღებაში და სხ. სარევიზიო კომისია ამასთანავე აღნიშნავს, რომ გამგეობის მუშაობაში ადგილი ჰქონდა ზოგიერთ დეფექტებს: კავშირი ფართოდ შეუდგა სამეურნეო საქმიანობას, როდესაც ეს საქმიანობა არ იყო უზრუნველყოფილი რეალურ საშუალებებით; კავშირის ანგარიშწარმოება არ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე; არ სწარმოებს კავშირის ანგარიშების შედარება სხვადასხვა ორგანიზაციების ანგარიშებთან (მათ შორის წარმოებულ ოპერაციების შესახებ), რის გამოც ადგილი აქვს მათ შორის უთანხმოებას. საქონლის აღრიცხვის საქმეში არ არის დაცული მტკიცე სისტემა, ერთი და იგივე საქონელი სხვადასხვა დავთარში აღრიცხულია სხვადასხვა ზომა-წონით, რის გამოც მოსალოდნელია ანგარიშების არევა. ბალანსის შედგენა იგვიანებს 2—3 თვით. გამგეობა სათანადო ზომებს არ ღებულობდა ანგარიშქვეშ წაღებული თანხების ანგარიშგების დროზე გასასწორებლად, რის გამოც ზოგიერთ თანამშრომელსა და კონტრაგენტზე რამოდენიმე თვეობით ირიცხება საგრძნობი თანხები; გრძელვადიანი სესხების დიდი ნაწილი, რომელიც მთლიანად უნდა ყოფილიყო გამოყენებული მოკავშირე განაერთებების კრედიტებზე, —უმთავრესად იხარჯებოდა კავშირის საჭიროებებზე. საქონლის განაწილებას მოკავშირე ორგანიზაციათა შორის არა აქვს სისტემატიური ხასიათი. ნედლ საქონელს უფრო მეტს და უფრო ადვილად ღებულობს ის ამხანაგობა და არტელი, რომელსაც მეტი საშუალება აქვს და მისი წარმომადგენელი უფრო ხშირად იმყოფება თბილისში. დაშორებული არტელების მომარაგებას კი არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. არის შემთხვევები, რომ დეფიციტიან საქონელს, რომელსაც მეტად საჭიროებენ არტელები, კავშირი აწვდის კერძო პირებს. ზოგჯერ არტელების პროდუქციის რეალიზაცია ხდება კერძო პირების მეშვეობით. სუსტადაა დაყენებული საპაიოს აკრეფა, განსაკუთრებით შორეულ კუთხეებში და სხ.

სარევიზიო კომისია საჭიროდ სცნობს, რომ ზემოაღნიშნულ დეფექტების აღმოფხვრას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, გაძლიერებული იქნას ხელმძღვანელობა განაპირა კუთხეების და განსაკუთრებით ნაციონალურ უმცირესობათა რაიონების ორგანიზაციებზე; გაძლიერდეს მუშაობა ქალთა და ახალგაზრდათა შორის; გაუმჯობესებული იქნას საინსტრუქტორო განყოფილების მუშაობა და სხ. ამასთანავე სარევიზიო კომისია საჭიროდ სცნობს გამგეობის შტატის გაფართოებას ორი კაცით.

სარევიზიო კომისია გამგეობის მუშაობას სცნობს დამაკმაყოფილებლად და ამტკიცებს მის ანგარიშს.

მუშათა კლუბების გამოკვლევა

მელითონეთა კლუბი

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების კომისიამ დაამთავრა მელითონეთა კავშირის კლუბის (ყოფ. მუშათა ცენტრალური კლუბი) გამოკვლევა.

კლუბს უჭირავს ერთ-ერთი საუკეთესო და კეთილმოწყობილი შენობა. ამ მხრივ კავშირს საშუალება აქვს ფართოდ გაშალოს კულტურული მუშაობა. კლუბის წევრად ირიცხება—3.462 კაცი, აქედან ნამდვილი წევრია მხოლოდ 967. კლუბის საერთო ბიუჯეტიდან შტატის შენახვაზე იხარჯება 29 პროცენტი. კლუბის გამგეობას შემუშავებული აქვს საზამთრო და საზაფხულო მუშაობის გეგმა და მუშაობა სწარმოებს ამ გეგმის მიხედვით.

კლუბთან არსებობს შემდეგი წრეები: დრამატიული—3, მუსიკალური—3, გუნდი—1, რადიო-წრე—1, ჭრა-კერვის—1, სასროლო—1, ხაზვის—1, პირველი დახმარების—1, საჭადრაკო-სამაშო—1, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო—2.

კლუბთან არსებულ ბიბლიოთეკაში ირიცხება სულ 12.056 წიგნი, აქედან ქართულ ენაზეა 20 პროც., რუსულზე—75 პროც. და სომხურზე—5 პროც.; უმეტესობა ბელეტრისტული ხასიათის ლიტერატურაა. ბიბლიოთეკას ჰყავს 950 მკითხველი, აქედან 474 მუშა. ბიბლიოთეკიდან ყოველდღე საშუალოდ გადის 110 წიგნი, სამკითხველოთი ყოველდღე სარგებლობს 120 კაცი. ლიტერატურის შესაძენად ბიბლიოთეკას ყოველთვიურად ეძლევა 160 მანეთი, რაც საკმარისი არ არის.

კომისია თავის დასკვნაში აღნიშნავს, რომ კლუბში დაცული არ არის წესრიგი, მოზრდილი მუშები საღამოებზე თითქმის არ დადიან, აბსოლიუტურ უმრავლესობას შეადგენს ახალგაზრდობა, რომელიც ხშირად არც კავშირის წევრია და არც კლუბის. ხშირია ხულიგნობის შემთხვევებიც.

კომისია საჭიროდ სცნობს გადაიჭრას საკითხი იმის შესახებ, საჭიროა თუ არა ეს კლუბი მელითონეთა კავშირისათვის, რადგან იგი არ არის საკმარისად გამოყენებული კავშირის მიერ.

კომისია კავშირის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ კლუბი ცხოვრებაში არ ატარებს პროფკავშირების მე-7 ყრილობის დადგენილებას კავშირების წევრთათვის კულტსამსახურის მშობლიურ ენებზე გაწევის შესახებ (მუშაობის 80 პროც. ტარდება რუსულ ენაზე).

აგრო-რწმუნებულების ინსტიტუტი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, შემოღებულია აგრო-კულტურული ღონისძიებათა განხორციელების საქმის რწმუნებულთა ინსტიტუტი.

დადგენილება ავალებს სასოფლო საბჭოებს და სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს აირჩიონ ასეთი რწმუნებულები. აგრო-რწმუნებულებად აირჩევიან ღარიბ და საშუალო გლეხთა წრეებიდან ისეთი პირნი, რომელნიც ცნობილი არიან როგორც აქტიური საზოგადო მოღვაწენი, რომელთაც კარგად იციან სოფლის მეურნეობა, აქვთ ავტორიტეტი და გლეხების ნდობა დამსახურებული და რომელნიც ცხოველ მონაწილეობას იღებენ სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის განხორციელებაში, კერძოდ მოსავლიანობის გადიდების საქმეში. აგრო-რწმუნებულთა არჩევის დროს უპირატესობა ეძლევა იმ პირთ, ვისაც აქვს მიღებული სასოფლო-სამეურნეო განათლება. აგრო-რწმუნებულთა რიცხვი განისაზღვრება თვითეული ას კომლზე ერთი კაცით.

საწარმოო კოოპერატიულ ორგანიზაციებში და კოლექტიურ მეურნეობებში აგრო-რწმუნებულის მოვალეობა დაეკისრება მათი თავმჯდომარეებს ან გამგეობის წევრებს.

აგრო-რწმუნებულის ინსტიტუტი საქართველოში ახალი საქმეა და ჩვენს სინამდვილეში ჯერ არ ყოფილა გამოცდილი. ამიტომ საჭიროა, რომ აგრო-რწმუნებულის არჩევნებში რაც შეიძლება მეტი აქტიური მონაწილეობა მიიღოს გლეხობამ და არჩეული იქნან შეგნებული და სოფლის მოწინავე მეურნენი.

აგრო-რწმუნებულნი იქნებიან აგრონომების უპირველესი დამხმარენი და სასურველია, რომ ისინი გატარებულ იქნან სოფლის აქტივის გადასამზადებლად მოწყობილ კურსებში. ასეთი კურსები კი გაიმართება ყველა მაზრაში, როგორც მიმდინარე წელს, ისე მომავალშიაც.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება მოსავლიანობის აწევისათვის საწარმოო თათბირებს, სადაც აგრო-რწმუნებულმა ხელმძღვანელი ადგილი უნდა დაიკავოს.

აგრო-რწმუნებული აგრომინიმუმის შემოღებასა და განხორციელებაში მთავარ როლს შეასრულებს, იმ პირმა, ვინც იქნება არჩეული აგრო-რწმუნებულად, უნდა იცოდეს თავისი მოვალეობა და იგრძნოს, რომ მისი არჩევა მარტო საპატიო და ფორმალური არ არის, არამედ ის არის არჩეული სერიოზული სამუშაოსათვის, რისთვისაც ის პასუხისმგებელია ამომრჩევი საზოგადოების, სოფლის საბჭოს, საწარმოო თათბირების და აგრონომების წინაშე. აგრო-რწმუნებულის მიერ გამოჩენილი ინიციატივა და კარგი მუშაობა უნდა იყოს აღნიშნული და დაფასებული. მხოლოდ ასეთ პირობებში გახდებიან აგრო-რწმუნებულნი აგრონომების ნამდვილ დამხმარე ძალად, რომლის მეშვეობით აგრონომი გაატარებს აგრო-ღონისძიებებს მეტი წარმატებით გლეხთა ფართე მასაში.

აგრ. ვლ. ხოფერია.

ქალთა კულტურული ლაშქრობა

მაისის ბოლო რიცხვებში ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილებამ ჩაატარა კულტურული ლაშქრობა საბჭოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში. ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღეს მუშა, მოსამსახურე და დიასახლის ქალებმა.

დათვალიერებული იქნა ტუბ-დისპანსერი, პოლიკლინიკა, გინეკოლოგიურ ინსტიტუტთან არსებული კონსულტაცია, ფოსტა - ტელეგრაფის საბავშო ბაღი და, საბავშო სახლი № 13.

ტუბ-დისპანსერის დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ დისპანსერს აქვს მრავალი მიღწევა, მაგრამ აღსანიშნავია ნაკლოვანებანიც: ექიმები ზედმეტად არიან დატვირთული ისინი 8 საათ. 3 საათამდე ღებულობენ 25 ავადმყოფს ნორმის მიხედვით და ყოველდღიურად კიდევ 5 — 7 ავადმყოფს ზედმეტად. ეს გარემოება ხელს უშლის ექიმს გულდასმით გასინჯოს ავადმყოფი.

საბავშო განყოფილებას ჰყავს ერთი ექიმი, რომელსაც ეხმარებიან პრაქტიკანტი ქალები. ეს ქალები ზოგჯერ არ მიდიან სამუშაოდ, რადგან მათი მოსვლა სავალდებულო არ არის. რასაკვირველია ესეც უნდა ჩაითვალოს ნაკლად, მრავალრიცხოვან ავადმყოფ ბავშებს ერთი ექიმი ვერ გაუძღვება. აქედან კი დასკვნა, რომ ბავშების მკურნალობა ვერ სდგას თავის დონეზე.

გარდა ამისა, მოწყალების დები თავიანთი მუშაობის გარეშე, დღეში ორ საათს კანცელარიაში მუშაობენ, შტატის ნაკლებობის გამო.

ფოსტა - ტელეგრაფთან არსებულ საბავშო ბაგაში მოთავსებულია 12-დე ბავში. ბავშებს უვლის 3 თანამშრომელი, რომლებიც იმავე დროს დამლაგებლებისა და მზარეულის როლსაც ასრულებენ. ბაგას განაგებს ექიმი. მომვლელები ძალიან დატვირთულნი არიან მუშაობით, მიუხედავათ ამისა ისინი ენერგიულად ასრულებენ თავიანთ საქმეს. გამოყოფილი ჰყავთ ბიურო, რომელშიაც შედიან მშობლების წარმომადგენლები. ბიუროს სხდომები სისტემატიურად ეწყობა.

ბაგას მუშაობას ხელს უშლის ბინის სივიწროვე: ბავშების კვება და გართობა ერთ და იმავე ოთახში სწარმოებს, საბინაო ოთახშივე მზადდება ბავშების საუზმე „კეროსინკაზე". აქედან, საწოლ ოთახში გამოდის ცუდი ჰაერი. ვენტილიაცია არ არის მოწესრიგებული. იქვე სცხოვრობს ამხ. **ხაჩატუროვი,** რომელსაც ბაგის გვერდზე მყოფ პატარა ოთახში ძაღლი უმწყვდევია, ბაგა კი დიდ სივიწროვეს განიცდის.

მე-13 საბავშო სახლის მუშაობა სათანადო სიმაღლეზე სდგას. აქ პედაგოგიური პერსონალი მეტად დიდ მზრუნველობას იჩენს ბავშებისადმი, როგორც მეცადინეობის, ისე აღმზრდელობითი მუშაობის მხრივ. ბავშების კვება და ჰიგიენური პირობები კარგად არის დაყენებული. აღსანიშნავია, რომ როგორც მასწავლებლები, ისე დაბალი მოსამსახურე პერსონალი ძლიერ დატვირთულნი არიან მუშაობით.

ცენტრალურ კლინიკის შტატი 58 თანამშრომლისაგან შესდგება. აქ დახმარებას ღებულობენ ჯერ დაზღვეულები, მერე კი უღარიბესი გლეხები და თუ ადგილი დარჩა — კერძო პირებიც. ავადმყოფის გასინჯვას ექიმი შვიდ ნახევარ წუთს ანდომებს, რაც უკმაყოფილებას იწვევს ავადმყოფებში, „ექიმი კარგად ვერ სინჯავსო" — აცხადებენ ისინი. მისაღებ ოთახებში სივიწროვე და უსუფთაობაა; ბავშთა ამბულატორიაც სივიწროვეს განიცდის. ამბულატორიის გვერდზე ჩასახლებულნი არიან კერძო პირები, რომელთა გადასახლებით შეიძლებოდა ბავშთა ამბულატორიის გაფართოება.

დისციპლინა აქ კარგადაა დაყენებული სამუშაოზე დაგვიანებას სრულიად არა აქვს ადგილი. თანამშრომლები უშვებენ კედლის გაზეთს.

ამ 2—3 წლის განმავლობაში კლინიკაში ბევრი რამ ახალი გაკეთებულა.

ლაშქრობის მონაწილენი იმედოვნებენ, რომ სათანადო ორგანოები დაეხმარებიან აღნიშნულ დაწესებულებებს გამომჟღავნებულ ნაკლთა გამოსწორების საქმეში.

ე. მლებრიშვილი.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

მზადება საკავშირო ყრილობისათვის სას.-სამ. განათლების საკითხებზე

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ყველა რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს გამოჰყონ კომისია საგეგმო კომისიის, მიწსახკომის, განათლების კომისარიატის, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობათა ორგანიზაციების და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სასწავლებლების წარმომადგენლებისაგან, რომელმაც უნდა დაამუშავოს საკითხი მოსახლეობაში აგრონომიული ცოდნის გავრცელების შესახებ. კომისიის მუშაობის შედეგები წარდგენილი უნდა იქნეს ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიაში, რომელმაც თავის მხრივ არა უგვიანეს 1-ლ ივლისისა მასალები უნდა წარუდგინოს საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიას.

მუშკორების შენიშვნათა განხილვა

17 ივნისს ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში ამხ. ვარძიელის თავმჯდომარეობით შესდგა რედაქციების, ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს, პროკურატურის და რკინის გზათა მიღწევების ბიუროს წარმომადგენელთა თათბირი. თათბირმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მუშკორების შენიშვნათა განხილვის საქმეში ადგილი აქვს შეუთანხმებლობას და პარალელიზმს. ეს გარემოება აიხსნება უმთავრესად იმით, რომ არ არსებობს გამაერთიანებელი ცენტრი, რომელიც უხელმძღვანელებდა შენიშვნების განხილვის საქმეს. თათბირმა აღნიშნა, რომ მუშკორების შენიშვნათა განხილვის საქმის გაუმჯობესება შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ ამ საქმეში ცალკე ორგანიზაციათა გამოცდილების შესწავლით. საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კონტროლის და შემოწმების ინსპექციას დაევალოს საჩივართა ბიუროს, რედაქციების, მუშგლეხკორთა, პროკურატურის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად გამოიკვლიოს მუშკორების შენიშვნათა განხილვის წესი სხვადასხვა წარმოებებსა და დაწესებულებებში.

სოც. შეჯიბრება და კულტმუშაობა

გუშინ საღამოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგა მუშათა კლუბების მუშაკების, პროფკავშირების კულტგანყოფილებათა, კულტკომისიების და საწარმოო კომისიების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი კულტკომისიების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილების წარმომადგენელმა ამხ. **ქმონზერმა** თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ კულტკომისიების მუშაობა საერთოდ შესუსტებულია, ხოლო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჯერ-ჯერობით სრულიად არ სჩანს კულტკომისიების მუშაობის ნიშან-წყალი, მაშინ როდესაც კულტმუშაობის მთავარ ამოცანას ამ ჟამად უნდა შეადგენდეს სოციალისტურ შეჯიბრების ამოცანების და სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის პროპაგანდა. ამ გარემოებას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება და კულტმუშაკები ჩაბმული იქნან ამ აქტუალური საქმის პროპაგანდაში. ამასთანავე, მომხსენებლის აზრით, საჭიროა გამონახული იქნეს კულტმუშაობის ახალი და უფრო ცოცხალი ფორმები, რომლებიც უფრო დააინტერესებს მუშათა მასებს და ხელს შეუწყობს ჩვენი სამეურნეო მიზნების პოპულიარიზაციას. ასეთ ფორმებად მომხსენებელს მიაჩნია: სოციალისტური შეჯიბრების კუთხის მოწყობა კლუბებსა და წითელ კუთხეებში, სადაც დადგმული იქნება ელექტრონის დაფა „საქართველოს სახალხო მეურნეობის ხუთი წლის შემდეგ" და „ჩვენი ქარხანა"; აქვე გამოკიდებული უნდა იქნეს შეჯიბრების პირობები.. აქვე უნდა იყრიდეს თავს ყოველგვარი ცნობები წარმოებაში მომხდარ ყოველგვარი ცვლილების შესახებ.

თვითეულ წარმოებაში უნდა დამზადდეს მხატვრული პლაკატები ამავე ქარხნის აქტუალური საკითხების შინაარსით, უნდა მოეწყოს საგიტაციო გასამართლება (სამუშაოს გამცდენელების, ლოთების, შრომის დისციპლინის დამრღვევების და სხვათა).

მოხსენების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ კულტმუშაობის თითქმის ყველა ახალი ფორმები მოითხოვენ ხარჯებს, რომლის გაწევაც კულტკომისიებს არ ძალუძთ. ამასთანავე კულტკომისიებს არ ჰყავთ კულტმუშაკების საკმაო კადრი, არა აქვთ შესაფერისი ბინები, სადაც შეიძლებოდეს ამ მუშაობის გაშლა. ორატორები საჭიროდ ცნობენ, რომ ეს მუშაობა უმთავრესად წარმოებული იქნას მუშათა კლუბებში, რომლებსაც მეტი შესაძლებლობა აქვთ.

დასასრულ, არჩეული იქნა კომისია ხუთი კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა რეზოლუციის შემუშავება.

კატასტროფა მთაში

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ზუგდიდი, 18 ივნისი. 18 ივნისს ღამით წვიმების დროს ოხაჭკუას მთაში (ზუგდიდის მაზრა) მოულოდნელად მოვიდა ქარბუქი თოვლით. ერთი საათის განმავლობაში თოვლმა ერთ მეტრს გადააჭარბა. ოხაჭკუაში და მთააფშარაში მესაქონლეების მიმოსვლა შეწყვეტილია. მთიდან წამოსულმა თოვლმა გაიტაცა მეჯოგეების ბინები. დაიღუპა როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონელი. თოვლში დაიხრჩო მწყემსის შვილი 14 წლის ჟახაია, დაავადმყოფდა მწყემსი ლეჟავა. საქონლის ზარალი გამოურკვეველია. მეჯოგეთა კავშირმა ადგილზე მიავლინა რწმუნებული, მეჯოგეთა კავშირის წევრ მწყემსებს ამხანაგობა „მეჯოგე" გაუწევს სათანადო დახმარებას.

ა. კოდუა.

ხულიგან კ. გეგეჭკორის გასამართლება

(საჩვენებელი პროცესი)

გუშინ, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში (ლენინის რაიონი) დაიწყო ცნობილ პროფესიონალ ხულიგნის **კოლია გეგეჭკორის** საჯარო გასამართლება.

გეგეჭკორის ჩვენება სასამართლოში მასვე აშკარავებს, როგორც გახრწნილ გარეწარ და ანტისაზოგადოებრივ ელემენტს.

გეგეჭკორს თავი „მამა აბრამის ბატკანად" მოაქვს და ლაპარაკობს, რომ საბრალმდებლო სკამზე მოხვდა მტრების (!) წყალობით.

ვინ არიან ეს „მტრები?" ქალაქის მილიცია, პროკურატურა, საგამომძიებლო ორგანო, სასამართლო, რომლებიც სდევნიან საზოგადოებისათვის მავნე ელემენტებს.

გეგეჭკორს პროცესზე თავხედურად უჭირავს თავი. ზოგიერთ შეკითხვებზე პასუხისგაცემასაც არ „კადრულობს", ყოყოჩობს, იქებნის თავისი წარსულით.

ამ „წარსულის" შესახებ კი, როგორც მოწმემ ამხ. ხმალაძემ აღნიშნა, მჭერმეტყველურად ღაღადებენ დამსჯელ ორგანოების განაჩენები.

გეგეჭკორს 1923 წელს კერძო მოქალაქესაგან ფულის გამოძალვისათვის მისჯილი ჰქონია 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, მას შემდეგ აქვს 5 რეგისტრაცია ხულიგნობისათვის, მისჯილი ჰქონდა პატიმრობა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ვადით.

აღსანიშნავია, რომ ბრალდების მოწმეების მეტი ნაწილი სასამართლოშიაც ვერ ბედავდა აშკარად გამოსვლას გეგეჭკორის წინააღმდეგ, იმდენად შეუპყრიათ მის შიშს, იმდენად დაუძლეველ „გველეშაპად" ჰყოლიათ წარმოდგენილი. მათ შიშის საბუთიც აქვთ, რადგან მრავალჯერ მისჯილი, ისევ დაუსჯელი უნახავთ გეგეჭკორი, რომელმაც იცის სამაგიეროს გადახდა.

მაგრამ ვფიქრობთ, ეხლა ველარ უშველის მას „ნათლიმამობა" და თუ მოინდომებს შველას, „ნათლიმამასაც" ვნახავთ გეგეჭკორის გვერდით.

მთავარი მოწმეების დაკითხვა დამთავრდა, პროცესი გაგრძელდება დღეს 5 საათიდან იმავე კლუბში. დღესვე დამთავრდება მხარეთა კამათი და გამოტანილი იქნება განაჩენი.

ენ.

600 კომკავშირელი

გამოვიდა სვანეთის გზის სამუშაოზე

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ხაიში, 18 ივნისი. 17 ივნისს სვანეთის გზის სამუშაოზე ორგანიზაციულად გამოცხადდა სვანეთის მაზრის 600 კომკავშირელი. მათ სურვილი განაცხადეს თვითდაბეგვრის სახით სამი დღე თავის ხარჯით უფასოდ იმუშაონ გზის აღმშენებლობაზე. კომკავშირელთა შორის 40 ქალია.

მათმა ორგანიზაციულმა დისციპლინამ და ინტენსიურმა მუშაობამ განცვიფრებაში მოიყვანა ადგილობრივი მოსახლეობა და სამმართველოს საამშენებლო ტეხნიკური პერსონალი.

ე. გაგლიანი.

რა ხდება ადგილებზე

ნავთსადგურის გაღრმავება

ფოთი, 17 ივნისი. ბათომიდან მოვიდა მიწის ამომღები „ხალტურინი", რომელიც იმუშავებს ნავთსადგურის გაღრმავების საქმეზე. „ხალტურინს" ზღვის ფსკერიდან შეუძლია საათში 110 კუბიკური მეტრი მიწის ამოღება. „ხალტურინი" უკვე შეუდგა ნავთსადგურში შესასვლელი ყელის გაღრმავებას. (ადს).

წვიმები და წყალდიდობა

ონი, 17 ივნისი. ორი დღეა განუწყვეტლივ სწვიმს. მთებში მდებარე სოფლებში—შქმერში, მრავალძალში, წედისში და ირში ჩამოთოვა. ადიდებულმა მდინარეებმა და ღელეებმა მინდვრები დაფარეს. წყალმა წაიღო წისქვილები. ძალიან ადიდდა მდინარე რიონი, რომელმაც ონში დაანგრია ჯებირები (ადს).

მიმოსვლა აღდგენილია

ონი, 17 ივნისი. მამისონის უღელტეხილზე, ოსეთის სამხედრო გზა, საქვეითო მიმოსვლა აღდგენილია. უღელტეხილით ჩრდილოეთ-კავკასიაში გადავიდა ექსკურსანტების რამდენიმე ჯგუფი. საურმე გზა მომავალ კვირისათვის იქნება აღდგენილი (ადს).

ხე-ტყის მასალის გაგზავნა

ონი, 17 ივნისი. ჭიორის ტყიდან მდინარე რიონით დაიწყო ქუთაისში ხე-ტყის გაგზავნა ქუთაისის სახერხი ქარხნისათვის. დამზადებულია 2.000-მდე მორი. ხე-ტყის გაგზავნის საქმეზე მუდმივად მუშაობს 50 კაცი (ადს).

საქონლის ფასების გადიდება

ონი, 17 ივნისი. მიუხედავად იმისა, რომ ონის საკრედიტო ამხანაგობის საქონელზე ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა მტკიცე ფასები დააწესა, ამხანაგობამ დიდი ზედნადების წყალობით ფასები ძალიან გაადიდა. ნებადართულ, 5 პროცენტის ნაცვლად, მან გუთნების ფასი 20 და მეტი პროცენტით გაადიდა. გოგირდისა და შაბიამანის ფასები, 8—10 პროცენტის ნაცვლად 20 პროცენტით არის გადიდებული. ასეთი გაძვირება ამხანაგობის წევრთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. (ადს).

ძლიერი ქარი

თელავი, 17 ივნისი. 17 ივნისს თელავში უბერავდა ძლიერი ქარი. ბევრ სახლს ქარმა სახურავი მოგლიჯა, წააქცია მრავალი ხე.

ახალსენაკის სამაზრო პარტკონფერენცია

ახალსენაკი, 18 ივნისი. დაიხურა სამაზრო პარტკონფერენცია. საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მუშაობის შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. ბაგრატ მაჩაიძემ. დელეგატებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს კამათში. კონფერენციამ ჩაიარა ყოველგვარი შინაპარტიული მერყეობისა და გადახრის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით. სრულიად საქართველოს ყრილობაზე გასაგზავნად არჩეულ იქნა 14 კაცი (ადს).

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მდგომარეობა

ახალსენაკი, 17 ივნისი. მაზრის საექსპერტო კომისიამ მოახდინა მაზრის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მდგომარეობის შეფასება. სიმინდი შეფასებულია 2,3 ნიშნით, ქერი და პური—2,7, ბამბა—1,6, თამბაქო—2,2 ნიშნით. ვენახები, ბაღები და სათიბები შეფასებულია 2 ნიშნით, ბოსტნები და ბაღჩები—2,1-ით.

კარგ მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩაის კულტურა, რომელიც შეფასებულია 4 ნიშნით. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გაუარესება გამოიწვიეს წარსულმა ქარებმა და გვალვამ.

მაზრაში დახნულია მიწების საერთო რაოდენობის 77 პროცენტი, დათესილია—58,1 პროც. (ადს).

მშენებლობა

გურჯაანი, 17 ივნისი. გაჩაღებულია საზაფხულო მშენებლობა. შენდება ორი საცხოვრებელი სახლი და ერთი ელექტრო-სადგური. დაიწყო საგრენაჟო ქარხნის და სასაკლაოს აგება. მოთხოვნილების ზრდის გამო ძალიან გაძვირდა მუშა-ხელი. გლეხობა მინდვრად და ვენახებში მუშაობს და ქირაზე გასასვლელად არავის სცალია. საბჭოთა მეურნეობები მუშა-ხელის კრიზისს განიცდის (ადს).

პური იაფდება

გურჯაანი, 17 ივნისი. რადგან მოსავალს კარგი პირი უჩანს, პურის ფასმა ძალიან იკლო. გლეხობას შემონახული პურის ბაზარზე გამოაქვს. 16 კილო პური, 8 მანეთის ნაცვლად, 4 მანეთად იყიდება. მოელიან პურის უფრო გაიაფებას (ადს).

წარმოებებმა უნდა შეასრულონ საწარმოო პროგრამები

ზაფხულის განმავლობაში საწარმოებიდან მუშა - მოსამსახურეების შვებულებებში გაშვების გამო, ს. მ. უ. საბჭომ გამოიმუშავა ღონისძიებები, რომ წარმოებებში არ შემცირდეს შრომის ნაყოფიერება, და, ყველა წარმოებებმა სავსებით შეასრულონ საკუთარი საწარმოო პროგრამები.

ამ მოსაზრებით საჭიროთაა აღიარებული, რომ ყველა ტრესტებმა და წარმოებებმა წინასწარ შეიმუშაონ მუშების შვებულებებში გაშვების გეგმა და იქ, სადაც შესაძლებელია, რომ მუშების შვებულებებში წასვლით შემცირდეს გამომუშავებული პროდუქტების რაოდენობა — შემოღებული იქნას მთლიანი საწარმოო წელიწადი. გარდა ამისა, საჭიროთაა ცნობილი, რომ შვებულებებში წასული მუშების მაგიერ მოწვეულ იქნას ახალი მუშა - ხელი შრომის ბირჟებიდან.

მიმდინარე წელს გადაწყვეტილია არ შეჩერდეს მუშაობა არც ერთ წარმოებაში, გარდა თამბაქოს მე-2 ფაბრიკისა. გასულ წელს კი წესათ იყო შემოღებული, რომ ზოგიერთი წარმოებები ერთი თვით სწყვეტდენ მუშაობას და ამ ხნის განმავლობაში აწარმოებდენ წარმოებების მოწყობილობათა შეკეთებას და, სადაც საჭირო იყო მთელი საწარმოო სისტემის რეკონსტრუქციას. მიმდინარე წელს წარმოებებს დავალებული აქვთ უსათუოდ შეასრულონ შემუშავებული საწარმოო გეგმები და თავისი საქმიანობა ისე წარმართონ, რომ ეს მიზანი სავსებით იქნას მიღწეული.

თათბირი ბოსტნეულობის კონტრაქტაციის შესახებ

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში გუშინ შესდგა თათბირი ბოსტნეულობის კონტრაქტაციის შესახებ. თათბირს დაესწრნენ „ზაკსოიუზი"-ს, „სოფლის კავშირი"-ს, მიწსახკომის, და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელნი. თათბირზე მოსმენილი იქნა ცნობა ახალციხის მაზრაში კართოფილის კონტრაქტაციის გატარების შესახებ. კომისიის მიერ აღინიშნა, რომ ახალციხის მაზრაში კონტრაქტაცია გატარდა 971 ჰექტარ კართოფილზე, თუმცა სინამდვილეში კი დაითესა აღნიშნული რაოდენობის მხოლოდ 50 პროცენტი. კონტრაქტაციის გატარებას ახალციხის მაზრაში არ უძღვოდა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. საგრძნობლად მოისუსტებდა აგრეთვე აგრიკულტურული მუშაობა გლეხობაში. ნათესების რაოდენობა ახალციხის და აწყურის რაიონში წარსულ წელთან შედარებით შესამჩნევად გაიზარდა, უდინის რაიონში კი შემცირდა. წინასწარი ცნობებით წელს უდინის რაიონში 100 ათასი ფუთის მაგიერ მიღებული იქნება მხოლოდ 15 ათასი ფუთი კართოფილი.

საკითხის ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ ახალციხის მაზრაში კონტრაქტაციის გატარებას დაგვიანებით შეუდგნენ სათანადო ორგანოები, თუმცა კონტრაქტაციის გატარების გეგმა დროზე იყო შედგენილი. მუშაობის შეფერხება გამოიწვია ფინანსების მიწოდების დაგვიანებამ და ამასთანავე დაპირებული თანხის მხოლოდ 50 პროც. მიღებამ. კონტრაქტაციის უკეთესად გატარება შეიძლებოდა, თუ კი ჰექტარზე 50 მანეთის მაგიერ მიეცემოდა გლეხობას 75 მანეთი, როგორც ეს იყო დადგენილი ზემდგომი ორგანოების მიერ. აღნიშნულ იქნა აგრეთვე, რომ მაზრაში აგრიკულტურული მუშაობა და კერძოდ კი კონტრაქტაციის იდეის პოპულიარიზაცია ძალიან სუსტად სწარმოებს, რის გამოც გლეხების საკმაო ნაწილს კონტრაქტაციის შესასრულებლად ხელშეკრულების დადებაზე პასუხისმგებლობას არა გრძნობენ. ამ მიზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ გლეხობამ კონტრაქტაციის მხოლოდ 50 პროცენტი შეასრულა. დანარჩენი ადგილები კი დაუთესავათ დასტოვა.

კამათის დამთავრების შემდეგ თათბირმა ერთხმად აღნიშნა, მთელი რიგი დეფექტები კონტრაქტაციის გატარების საქმეში მიმდინარე წელს და გამოიმუშავა ღონისძიებანი აღნიშნულ დეფექტების შემდეგისათვის თავიდან ასაცილებლად.

ღონისძიებები ქალაქის სანიტარული პირობების დასაცავად

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა საკითხი ქალაქში შექმნილი ანტისანიტარული მდგომარეობის შესახებ და დაადგინა:

ქალაქში სანიტარული პირობების გაჯანსაღების მიზნით, პირველ რიგში გაცხოველებულ იქნას სანიტკომისიების მუშაობა. დაევალოს მათ სისტემატიურად მოახდინონ ქალაქის ყველა ნაწილში ეზოების დათვალიერება და სისუფთავის დაუცველობისათვის დამნაშავენი მისცენ პასუხისგებაში.

წინადადება მიეცეს ადმინისტრატიულ განყოფილებას, მიიღოს ზომები, რათა ეზოებიდან და სახლებიდან თავის დროზე იქნას გატანილი ნაგავი და აგრეთვე სასტიკად ადევნოს თვალ-ყური არსებულ დადგენილების შესრულებას, რათა ნაგავი და საამშენებლო მასალა (გაჯი, კირი, ხრეში, სილა და სხ.) გადაზიდული იქნენ დახურული საშუალებებით.

ნაგავის და სხვა ყოველგვარი უსუფთაობის გადაყრა მიჩნეულ ადგილების გარეშე, სავსებით აკრძალულია.

ვინაიდან მეეზოვეები არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ადმინისტრატიულ განყოფილებას წინადადება მიეცა მიიღოს ზომები მათ შორის შრომის დისციპლინის ასამაღლებლად.

პრეზიდიუმმა აგრეთვე დაადგინა სასწრაფოდ გადასინჯოს მეეზოვეთა შემადგენლობა და დაუყოვნებლივ განთავისუფლებული იქნენ მუშაობისაგან ავადმყოფი, ინვალიდი, მოხუცებული და შრომის უნარმოკლებული მეეზოვეები და ამასთანავე გაწმენდილი იქნას მეეზოვეთა შემადგენლობა იმ პირებისაგან, რომლებიც არღვევენ შრომის დისციპლინას.

ამიერიდან მეეზოვეები სამუშაოებზე მიიღებიან მხოლოდ ადმინისტრატიულ განყოფილების დასტურით.

დაევალა ტრამვაის დირექციას გამოუშვას ხაზებზე ცისტერნიანი ვაგონები და ქუჩების მორწყვა აწარმოოს სისტემატიურად. იმ ქუჩების მოსარწყავად, სადაც ტრამვაის ხაზი არ გადის, გამოყენებული იქნება სპეციალური ავტომობილები.

კომუნალურ განყოფილებას დაევალა დაჩქარებით მოაწყოს ნაგავის მექანიკურად გაზიდვის საქმე.

წინადადება ეძლევათ ყველა დაწესებულებებს, რომლებიც ქუჩებში აწარმოებენ მიწის სამუშაოებს (ქუჩების მოკირწყვლა, ტრამვაის ხაზის გაყვანა, წყალსადენის ქსელის შეკეთება, ტელეგრაფის ბოძების აღმართვა და სხ.) 5 დღის განმავლობაში გასწმინდონ და აიღონ მათ მიერ შესრულებულ მუშაობის დროს ქუჩებში დაგროვილი ნაგავი, ხრეში, ქვები და სხ. დამნაშავენი დაჯარიმებული იქნებიან.

დაევალოს ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილებას მიიღოს ენერგიული ზომები, რათა კოოპერატიულ და კერძო სავაჭროებში საკვები პროდუქტები დაცული იქნას უსუფთაობისაგან, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ ფარდულებში სისუფთავის დაცვას, სადაც იყიდება სხვადასხვა გამაგრილებელი სასმელები და ჯანმრთელობის განყოფილებასთან ერთად სისტემატიურად გამოიკვლიოს სასმელების ღირსება.

წინადადება მიეცა კომუნალურ განყოფილებას, მიიღოს ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული ტრამვაის ხაზის და ქვაფენილების ხშირი შეკეთება, რაც იწვევს წესიერ მოძრაობის შეფერხებას და ქუჩებში უსუფთაობას.

ვინაიდან ახალი ვაგონები, თავის კონსტრუქციით მძიმეა ძველ ვაგონებთან შედარებით, რის გამო ხშირად ზიანდება ხაზები, მომავალ წლიდან დაიწყება ტრამვაის ხაზების შპალებზე დაგება.

გამოვიდა და იყიდება ყველგან
ორკვირეული ჟურნალი
„საქართველოს მუშ-გლეხკორი" № 3
ჟურნალზე ხელის მოწერა მიიღება: გაზ. „კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს, „ახალი სოფელი"-ს და „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს კანტორებში, როგორც თბილისში, ისე ადგილებზე.
ხელის მოწერის პირობები
3 თვით—55 კაპ., 6 თვით—1 მ. 10კ., წლით—2 მან. 20 კაპ. ცალკე ნომერი—10 კაპ..

ქრონიკა

თურქეთის კონსული ამხ. შ. ელიავასთან

17 ივნისს ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შ. ელიავამ მიიღო თურქეთის გენერალური კონსული ბ. ნაზმიბეი.

დაღუპულ რევოლიუციონერთა ხსოვნის უკვდავსაყოფად

ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სამოქალაქო ომებში დაღუპულ იმ ამხანაგების სია, რომელთაც დამსახურება მიუძღვით რევოლიუციის წინაშე. აღნიშნული სია გადაეგზავნა ავტონომიურ რესპუბლიკებს და სამაზრო აღმასკომებს და წინადადება მიეცათ მათ დაღუპულთა სახელები მიაკუთვნონ ქალაქების ქუჩებს და სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებს.

მარგანეცის ამოღება იზრდება

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ცნობით, მარგანეცის ამოღება შეუწყვეტლივ იზრდება. აპრილის განმავლობაში ამოღებულია 96.343 ტონა, ხოლო მაისში 105.417 ტონა. აპრილში გარეცხილი იქნა 50.000 ტონა, მაისში კი — 52.439 ტონა მარგანეცი. მარგანეცის ექსპორტის გასაძლიერებლად ამიერ-კავკასიის რკინის გზების მიერ გამოყოფილია ექვსი მატარებელი თითო 18 ვაგონის შემადგენლობით, რაც საშუალებას იძლევა მარგანეცის გაზიდვა გადიდებულ იქნას თვეში 18.000 ტონით. გარდა ამისა მარგანეცის ტრესტი შეუთანხმდა რკინის გზას მარგანეცის აუწონლად გადაზიდვის შესახებ, რაც საგრძნობლად დააჩქარებს ვაგონების ბრუნვას.

გაზაფხულის თესვა

საგაზაფხულო თესვის კამპანია საქართველოში დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. სადირექტივო ორგანოების მიერ მიცემული ამოცანა და რესპუბლიკანური დამთეს კომისიის მიერ დასახული გეგმა აღმოსავლეთ საქართველოში გადამეტებით შესრულებულია — ნათესების ფართობი გადიდებულია 8 ნახ. პროცენტით.

დასავლეთ საქართველოში — კი ხანგრძლივი გვალვების გამო გეგმის თავის დროზე შესრულება შეუძლებელი შეიქმნა, და თესვა შეჩერდა. თუ მეტეოროლოგიურ პირობებმა ხელი არ შეუწყო, 30—35 პროც. საგაზაფხულო სათესი არესი დაუთესავი დარჩება.

შემოდგომის ნათესების კონტრაქტაცია

შემოდგომის თესვის კამპანიის დროს ამიერ-კავკასიაში ჩატარებული იქნება 50.000 ჰექტარ ნათესის კონტრაქტაცია. აქედან 18.500 ჰექტარი დათესილი იქნება მწკრივათ, ხოლო — 30.500 ჰექტარი ჩვეულებრივად. ადერბეიჯანში კონტრაქტაცია ჩატარებული იქნება— 35.000 ჰექტარზე, სომხეთში 5.000 ჰექტარზე და საქართველოში 10.000 ჰექტარზე. შემოდგომის ნათესების კონტრაქტაციის ხარჯი ნავარაუდევია დაახლოებით 14.405.500 მანეთის რაოდენობით.

დასასვენებელი დღე

შრომის სახ. კომისარიატის განმარტებით, ზაფხულის პერიოდში დასასვენებელ დღედ გამოცხადებულია მხოლოდ 15 ივლისი.

პროლეტსტუდენტთა სასარგებლოდ

ინჟ. ბ. ჭიჭინაძემ და პროფ. თიკანაძემ, პროლეტსტუდენტთა დასახმარებლად პროლეტსტუდენტთა აღმასბიუროში შეიტანეს ოც-ოცი მანეთი.

მოქალაქეთა საყურადღებოთ

ქალაქის საკომენდატო აცხადებს თბილისის მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ დღეს და ხვალ დილის 6—10 საათამდე ნავთლუღის რაიონში იწარმოებს ასაფეთქებელი სამუშაოები.

დაჯარიმება

თანახმად სავალდებულო დადგენილებისა ყველა სავაჭრო დაწესებულებები გატარებულ უნდა იქნან აღრიცხვაზე. ამ დადგენილების შეუსრულებლობის გამო, ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს დადგენილებით ას ასი მანეთით დაჯარიმებული არიან „წითელი ჯვრის“, და „ბავშვის მეგობართა“ საზოგადოებები და ინვალიდთა კოოპ. არტელების კავშირი.

სავაჭრო დაწესებულებებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ გატარდნენ აღრიცხვაზე ივნისის დამლევამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ივლისში მათ ყველას დააჯარიმებენ.

სხვადასხვა

— **ინჟინერ - ტეხნიკოსების კრება.** 20 ივნისს, საღამოს 7 ს. პროფსაბჭოს მცირე დარბაზში დანიშნულია საბჭოთა - სავაჭრო მუშაკთა კავშირში გაერთიანებულ ინჟინერ - ტეხნიკოსთა საერთო - საქალაქო კრება.

— **მედსანშრომის საზ. კლუბში** 22 ივნისს, დღის 1-ლ საათზე მოწვეულია ამავე კავშირის უმუშევარ წევრთა საერთო კრება.

— **სახკინმრეწვში** 20 ივნისს საღამოს 7 ს. შესდგება სახკინმრეწვის სამხატვრო საბჭოს გაფართოებული პლენუმი.

„დროშა“ № 11

გამოვიდა ჟურ. „დროშა“ № 11. შინაარსი: **ა. სურხატ**—სომხეთის ლიტერატურული ცხოვრება; **შ. დუდუჩავა**—ა. ს. პუშკინი; **მაქს ჰელცი**—თეთრი ჯვრიდან წითელი დროშისაკენ (გაგრძელება); მოწამეთას კირის ქარხანა; **ე. ხუციშვილი**—კარავთა ქალაქი; **ე. კაკულია**—კომუნა უდაბნოში; **ს. ჯანაშია**—სერგი გორგაძე; **სანდრო თბილისელი**—ალლო, ლაპარაკობს თბილისი; **შ. ალხაზიშვილი**—ახალი სახკინმრეწვი; **გ. ჩიტაია**—საქართველოს მუზეუმის კოლექტივები; **გრ. ბათომელი** საბჭოთა მე-5 ყრილობის სახელობის ნავთის გადასამუშავებელი ქარხანა; ჩვენი ფოტო-ქრონიკა. ჟურნალში მოთავსებულია 60-ზე მეტი სურათი. ნომერი შეიცავს 16 გვერდს და ღირს 15 კაპ.

მეხანძრეთა ახალი კადრების გამოშვება

გუშინ შესდგა თბილისის სახანძრო რაზმთან არსებული სახანძრო-ტეხნიკური კურსების მსმენელთა საზეიმო გამოშვება. აღნიშნული კურსები მოწყობილი იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ინიციატივით ამ ექვსი თვის წინეთ. კურსებზე სამეცადინოთ მსმენელები მოავლინეს რესპუბლიკის ზოგიერთმა ქალაქებმა და სამრეწველო რაიონებმა. ასე, მაგალითად, კურსდამთავრებულთა შორის არიან სვანეთის, ფოთის, ბათომის, სამტრედიის, ტყიბულის სამრეწველო რაიონის, მაუდის ფაბრიკის, ტყავტრესტის და სხვა წარმოებების მიერ გამოგზავნილი ამხანაგები.

კურსანტების გამოსაშვები ზეიმი შესდგა საღამოს 5 საათზე მეხანძრეთა პირველი რაზმის დიდ ეზოში. ზეიმს დაესწრენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, საქ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს, ა.-კ. რკინისგზების და სხვა დაწესებულება-ორგანიზაციების წარმომადგენლები. კურსანტებისათვის დიპლომების დარიგებამდე ეზოში გაიმართა კურსდამთავრებულთა აღლუმი და პრაქტიკული ვარჯიშობა, რისთვისაც მოეწყო რამდენიმე ადგილას ხელოვნური ხანძარი. ხანძრის ჩასაქრობათ კურსანტებს უნდა გამოეყენებიათ ხანძრის ქრობის როგორც ქიმიური, ისე ყოველგვარი სხვა ტეხნიკური საშუალებები.

პრაქტიკული ვარჯიშობის შემდეგ გაიმართა საზეიმო კრება, რომელზედაც კურსდამთავრებულებს მიესალმენ ამხ. ა. ბერიძე, კურსების ინსპექტორი გ. ახლანიშვილი, ა.-კ. რკინის გზის სახანძრო კურსების მსმენელთა სახელით ამხ. სერგეევი და სხვ.

საზეიმო კრების შემდეგ კურსდამთავრებულებს დაურიგეს სათანადო ნიშნები და დიპლომები. 40 მსმენელიდან კურსები დაამთავრა 33 კაცმა.

კურსდამთავრებულები დღეიდან დაბრუნდებიან ადგილებზე და შეუდგებიან მეხანძრეთა რაზმების მოწყობა-განვითარებას იმ ადგილებში, სადაც ასეთი არ არსებობს.

პენსიების დანიშვნა

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა თავის სპეციალურ თანხებიდან პენსიები დაუნიშნა შემდეგ პირებს: დამსახურებულ მხატვარს ივანე არტემის ძე შამშინს, სამხედრო დარგში დამსახურებისათვის—პლატონ ნიკოლოზის ძე ჩიქოვანს და ანდრია პანტელეიმონის ძე კატვასკის, დამსახურებულ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწის თომა მთავრიშვილის ქვრივს, ინჟ. აბრამ ცეიტლინს; რევოლიუციის წინაშე დამსახურებისათვის პენსია დაენიშნათ: ალექსი მალსაგოვს, ვლადიმერ გიორგის ძე კოჭამვილს, მარიამ დიმიტრის ასულ აბრამიძეს, ალექსი სალნიკოვს, ალექსი ლიუდოვიკის ძე გოროდეცკის, იოსებ სართიანის ქვრივს, ალექსი სადნიკოვს, ალექსი ზაკიევს და ქეთევან ჯინჭველაშვილს.

აგრეთვე პენსია დაენიშნათ მეცნიერების დარგში დამსახურებისათვის გიორგი ალიბეკოვის ქვრივს, მწერალს ნიკო კურდღელაშვილს (თარკიხის), საზოგადო მოღვაწეს ოლღა მაქ. პიტოევს, იოსებ მუჟაიას ქვრივს, ეგნატე ნინოშვილის დისშვილს (იბოლია), სომეხ მწერალს გეოვქიანს (ყარა-დარვიშს) და ვლადიმერ ჩიკოიძეს.

რკინის გზებზე

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევა

ამიერ-კავკ. რკინის გზის გამგეობის თანამშრომლებმა, გზის მმართველ აპარატის მუშაობის გაუმჯობესების მხრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს შუა-აზიის რკინის გზის გამგეობის თანამშრომლები.

გუშინ ამიერ-კავკ. რკ. გზის გამგეობაში მიიღეს დეპეშა, რომ შუა-აზიის გზის მიერ გამოწვევა მიღებულია. ამ დღეებში მათ გაეგზავნებათ შეჯიბრების პირობები.

საცდელი მატარებელი

გუშინ თბილისიდან-ხაშურამდე პირველად გაუშვეს 1650 ტონის სიმძიმის საქონლის მატარებელი. როგორც ხაშურიდან მიღებულ ცნობიდან სჩანს, მატარებელი იქ კარგად ჩავიდა.

დღეს ამავე მიმართულებით წავა მეორე ასეთივე სიმძიმის მატარებელი.

როგორც ვსწერდით, მიზანი ასეთი მატარებლების გაშვებისა მდგომარეობს იმის გამორკვევაში,—შესაძლებელია თუ არა თბილის-ხაშურის უბანზე დიდი სიმძიმის მატარებლების ექსპლოატაცია.

საცდელი მგზავრობა სწარმოებს სპეციალისტთა კომისიის ზედამხედველობით.

მარგანეცის გადაზიდვის გასაძლიერებლად

მარგანეცის გადაზიდვის გასაძლიერებლად ამიერ-კავკ. რკინის გზის გამგეობამ გამოჰყო ექვსი მატარებელი, თითეული—18 ვაგონის შემადგენლობით. თითო მატარებელი იტევს 16,5 ტონა მადანს.

ამ მატარებლების გამოყოფით მარგანეცის გადაზიდვა თვეში იზრდება 13.000 ტონით.

მადნის აუწონავად გადაზიდვა

მადნების გადაზიდვის საქმის გასაუმჯობესებლად ამიერ-კავკ. გზის გამგეობამ საქართველოს მარგანეცის ტრესტთან და ალავერდის კომბინატთან შეთანხმებით მოახდინა მარგანეცის და გოგირდის ალმადანის საცდელი გადაზიდვა. ტვირთის ასეთი სახით გადაზიდვის ცდამ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო—დააჩქარა ვაგონების ბრუნვა და გამოიწვია ეკონომია სამანევრო ორთქლმავლების გამოყენების მხრივ.

მეორე ხაზი

დოლიარ-შამქორის შუა ახლად დაგებულ მეორე ხაზზე გაიხსნა მატარებლების მოძრაობა.

სასამართლო

ყაჩაღების დახვრეტა

საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა უშედეგოთ დასტოვა მსჯავრდადებულების ფაზა ნავრუზ-ოღლის და ჰასან აბაზ-ოღლის შუამდგომლობა სასჯელის შემსუბუქების შესახებ და დაამტკიცა უზენაეს სასამართლოს განაჩენი, რომლითაც მათ მისჯილი აქვთ უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა.

ბორჩალოს საპატიმრო სახლის უფროსს, და მაზრის პროკურორს გუშინ გაეგზავნა დეპეშა დახვრეტის სისრულეში მოყვანის შესახებ.

მკვლელობა შრომის სკოლაში

— ზარმაცი, ყოყოჩი, მეტიჩარა, მასხარა, ლაზღანდარა, უზრდელი, — ასე ახასიათებს მეორე შრომის სკოლის პედაგოგიური საბჭო მოწაფე პეტრე ტარასისძე ჩინჩალაძეს.

ჩინჩალაძე ასეთ „ატესტატს“ ამართლებს, სასამართლოს დარბაზშიაც. იმის მაგიერ, რომ იჯდეს დარცხვენილი და დაღვრემილი, იმის მაგიერ, რომ ამ მძიმე დანაშაულის შეგნება და მონანიება ნათელჰყოს სასამართლოს წინაშე, — ჩინჩალაძეს ამაყად უჭირავს თავი და იღიმება, თითქოს დიდი სასახელო საქმე ჩაედინოს.

სრულებითაც არ ჰგავს ჩინჩალაძე მოწაფეს. ის ტიპიური ხულიგანის შთაბეჭდილებას სტოვებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავზე მოიგდებს ფაფახს.

— რა ვიცი, მე რამდენი წლის ვარ, — უქმეხად უპასუხებს შეკითხვას თავხედი ჩინჩალაძე;

თავისი წლოვანება არ იცის ჩინჩალაძემ, ხოლო ის კი იცის რომელ თვეზე არის საჭირო „აბორტი“ და ვის რა ვალდებულებას აკისრებს „სიყვარული“.

მოწაფეობა, რომლითაც გაჭედილია სასამართლოს სხდომის დარბაზი, ჩინჩალაძეს მისჩერებიან თვალებში. მოწაფეობა აღშფოთებულია. მათ თვალწინ სდგას გახრწნილი, გადაგვარებული, მოწაფის სახელის შემარცხვენელი ჩინჩალაძე, რომელმაც ჯერ სიცოცხლეში აწამა მათი ამხანაგი, ბეჯითი, წყნარი მოწაფე ელისო გიუნაშვილი და ბოლოს ტყვიით განგმირა მისი გული.

ჩინჩალაძე იმანჭება და იგრიხება, სთხზავს ათასგვარ ჭორებს, თითქოს ელისო იმიტომ მოჰკლა, რომ მასთან სქესობრივი კავშირი ჰქონდა მამინაცვალს მელიტონ კიკვაძეს, რომ მას, გადაუმალეს და დაუკარგეს ელისოსთან შეძენილი შვილი და სხვა.

მოწმეების ჩვენება კი სულ სხვას ადასტურებს.

ჩინჩალაძის უზნეო საქციელმა, ჩინჩალაძის ხულიგნურმა გამოსვლებმა გული აუცრუა ელისო გიუნაშვილს მასზე. ელისომ გასწყვიტა ყოველგვარი კავშირი უსაქმურ, ზარმაც და ლაზღანდარა ჩინჩალაძესთან. ელისოს აინტერესებდა სწავლა, მას მუდამ დღე თავი ჩარგული ჰქონდა წიგნებში.

კომკავშირელები აღშფოთებული არიან ჩინჩალაძის საქციელით. აფრთხილებენ მას, ემუქრებიან უჯრედიდან გამორიცხვით და რიცხავენ კიდეც.

ელისო გიუნაშვილს შეაქვს განცხადება კომკავშირის უჯრედში, რომ მას სურვილი აქვს გახდეს კომკავშირელი.

ჩინჩალაძე გებულობს ამ ამბავს. დახვდება გზაში გიუნაშვილის ქალს, გადაახვევს თავზე სურათს და სიკვდილის მუქარით უკრძალავს კომკავშირში შესვლას.

ჩინჩალაძე გასაქანს არ აძლევს ქალს. დასდევს, ლანძღავს, აგინებს.

ჩინჩალაძის ზნეობრივობის დასახასიათებლად სამმართა სასამართლოს გამოძიებაზე დადასტურებული ფაქტი. „სასიძო“ ჩინჩალაძეს ქალის ოჯახიდან მოუპარავს საათი და ბეჭედი.

როცა დარწმუნდა, რომ ელისოს საბოლოოდ გაუცივდა მასზე გული, ჩინჩალაძემ იძია მასზე შური და ა.-წ. 11 მარტს — შრომის სკოლის დარბაზში, ბოლო მოუღო მას.

ეს სავსებით დადასტურდა მოწმეების ჩვენებით. ვერსია ბავშის დაკარგვის, ისევე, როგორც ელისოს და მისი მამინაცვალის სქესობრივი კავშირის შესახებ მოჭორილია ჩინჩალაძის მიერ დანაშაულის შესამსუბუქებლად.

დილის სხდომაზე დამთავრდა მოწმეების დაკითხვა. მხარეთა კამათი გადაიდო საღამოს სხდომისათვის.

ვერ.

ფიზკულტურა და სპორტი

ფიზკულტურის საკავშირო ორკვირეული

საქ. პროფსაბჭომ ყველა პროფორგანიზაციებს მიმართა ცირკულიარული წერილით, რომელშიც ნათქვამია:

ფიზიკური კულტურის მასიურ ფორმების განვითარებისა და უფროს ასაკის მუშების, მუშა - ქალების და მუშა - ახალგაზრდობის ფართო მასების ჩასაბმელად ფიზკულტურაში, საკავშირო ცენტრ. პროფსაბჭოს დადგენილების თანახმად 27 ივნისიდან 11 აგვისტომდე მთელ კავშირში ტარდება ფიზკულტურის საკავშირო პროფკავშირული ორკვირეული.

დღესასწაულის ჩატარებაში აქტიურად ჩაბმული უნდა იქნეს შეუკავშირებელი მასა, რისთვისაც საჭიროა დღესასწაული ისეთ საფუძვლებზე მოვაწყოთ, რომ რაც შეიძლება მეტი მონაწილე იყოს მასში მაყურებელთა სახით. წინად დღესასწაულები მასის მხოლოდ პასიურ მონაწილეობით ტარდებოდა. ამ დღესასწაულში — კი საჭიროა გამოვიწვიოთ მუშათა მასების აქტიური მონაწილეობა.

ამ მიზნით დარაზმული უნდა იქნეს ყველა კულტურული ორგანიზაციები, კულტგანყოფ. გამგენი, ინსტრუქტორები, კლუბები, სამხატვრო წრეები, ფიზკულტურის აქტივი და კოლტსადგურები.

ორკვირეულის ჩატარება დაკავშირებულია აგრეთვე მსოფლიო იმპერიალისტურ ომის დაწყების 15 წლის თავთან, ამისათვის ორკვირეულის დროს პროფკავშირის წევრთა შორის ჩატარებული უნდა იქნეს მოხსენებანი ომის საფრთხის შესახებ, ინტერნაციონალური აღზრდის მნიშვნელობის შესახებ. ორკვირეულის ჩატარება უნდა ვამოახატოს: მასიურ დემონსტრაციებში ომის წინააღმდეგ, ფიზკულტურ ასპარეზებზე; მასიურ ექსკურსიებში ქალაქს გარეთ; ფიზკულტურის ფართო აგიტაციაში; სხვადასხვა მასიური შეჯიბრება -გამოსვლების მოწყობაში.

ამავე დროს ორკვირეული მიზნად უნდა ისახავდეს პროფკავშირთა მე-8 ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებათა პოპულიარიზაციას პროფკავშირების ფართო მასაში. ქალთა და უფროს ასაკის პროფკავშირთა წევრების ჩაბმას ფ. კ. წრეებში.

პროფესიონალურ კავშირებმა უნდა მიიღონ შემდეგი ზომები ორკვირეულის ჯეროვანად ჩასატარებლად: გამოჰყონ პასუხისმგებლები ხუთეული ც. გ. (ან სამპროფბიუროში); შეადგინონ თავიანთი კავშირის ხაზით ორკვირეულის ჩატარების გეგმა და, მომამზადონ კლუბებში და წარმოებებში ორკვირეულის ჩატარებისათვის საჭირო მოედნები, მასიური მუშაობის პირობები, ლოზუნგები და პლაკატები.

ამინდი

სეტყვა ბორჩალოს მაზრაში

მიწად - მოქმედების კომისარიატში მიღებული ცნობით, გუშინწინ ბორჩალოს მაზრაში მოვიდა დიდი სეტყვა, რომელმაც რამდენიმე რაიონი დიდათ დააზარალა.

ზარალის ადგილობრივ გამოსარკვევად, და დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად გაიგზავნა სპეციალური კომისია.

შემთხვევები

მოტოციკლეტის მსხვერპლი

მოქალაქე გიორგი ჯავახოვი, რომელსაც გუშინწინ ვერის ხიდთან დაეჯახა მოტოციკლეტი, გარდაიცვალა.

თავის მოკვლა

შურა ღლონტის ასულ კაპანაძემ (მცხ. ბრძოლის ქ. № 167) რომანიულ ნიადაგზე იოდით მოიწამლა თავი.

მკვლელობა

ყარაიაზის სამილიციო რაიონში, სოფ. ქოსალოში უცნობმა პირმა თოფით მოჰკლა 11 წლის ბავშვი რუსტამ-ოღლი.

თევზით მოწამვლა

ვახშმის დროს თევზით მოიწამლენ მოქ. ალექსანდრა ივანეს ასული თოდრია და ორი მისი მცირეწლოვანი ბავში. მოწამლულები გადაგზავნენ ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში. კვლევა-ძიება სწარმოებს.

ტრამვაის ქვეშ

კინო „აპოლო“-ს პირდაპირ ტრამვაის ვაგონი № 2 დაეჯახა 5 წლის ბავშვს ილიუშა მიხეილის ძე ბაღდასაროვს და დაშავა. ვატმანი დიმიტრი დაკრელაშვილი დაპატიმრებულია.

მარცხი

პუშკინის ქუჩაზე მიმავალ ტრამვაის ვაგონის (№4) უკანა ბაქანიდან უცაბედათ გადმოვარდა კონდუქტორი ქალი მოქ. მარია გრიგოლის ასული მატოევა და მოსტყდა ფეხი. დაშავებული მოათავსეს მთავარ საავადმყოფოში.

შეპყრობა

შეიპყრეს ალექსი ვერბიცკი (მცხ. კალინინის ქ. № 87), რომელმაც ტრამვაის ვაგონში იანდუშეკს ამოაცალა 400 მანეთი.—დააპატიმრეს სამსონ ერასტის ძე ქარსელაძე (მცხოვრ. პლეხ. პრ. № 110) მუშკოოპის მაღაზიიდან შეკერილ პერანგის მოპარვისათვის.—შეიპყრეს პავლე სერგოს ძე ხაროტაშვილი, რომელიც მუშკოოპის პურის საცხობიდან (№ 169) სისტემატიურად იპარავდა გამომცხვარ პურს. —დააპატიმრეს მიხეილ კუზმას ძე ჩერკაძინი (უბინაო), რომელმაც პუშკინის ქ. მოქ. თამარა წულუკიძეს მოპარა წინდები.

დახრჩობა

მცხეთაში მცხოვრებ შიო მახარას ძე ნარიმანიძეს მცხეთის რაიონში, მდ. მტკვარში შემთხვევით გადაუვარდა ცხენის ურემი, რომელმაც ისიც თან გადაიყოლა. ნარიმანიძე და ცხენიც დაიხრჩო. გვამები ჯერ არ არის ნაპოვნი.

ქურდობა

პავლე ოტიაშვილს მიმოსვლის ქუჩაზე მდებარე სასადილოში სადილობის დროს მოჰპარეს კარებთან დატოვებული ველოსიპედი, ღირებული 200 მანეთად.—გაქურდეს ლიუსა მელქუმოვას ბინა (პანსკევიჩის ქ. № 25).—გაქურდეს სოფიო კონსტანტინოვას ბინა (ლენინის ქ. № 24) საიდანაც წაიღეს ხელით საკერავი მანქანა.

ჯიბგირობა

ტრამვაის ვაგონში მოქ. ამირაგოვს ჯიბიდან ამოაცალეს ფული.—ევგენია მირიმანოვას აბრეშუმის ტრესტის მაღაზიაში (კომინტ. ქ.) ჯიბიდან ამოაცალეს 90 მანეთი.—პუშკინის ქუჩაზე ანდრია პეტრიაშვილს მოჰპარეს 2 წყვილი ფეხსაცმელი და ათეული დანაჩანგალი.

ბანდიტ მაჭარაშვილის მოკვლა

ჩვენი გაზეთის 14 ივნისის ნომერში მოთავსებული იყო ცნობა, რომ 28 მაისს სიღნაღის საპატიმროდან გაიქცა ბანდიტი აპრიკო სვიმონის ძე მაჭარაშვილი. ბანდიტმა გაქცევის დროს მოჰკლა გუშაგი მილიციელი დიანოზ ბეგაშვილი, გაიტაცა ორი თოფი, ორი სავსე სავაზნე, ორი რევოლვერი და ერთი სახაზინო შეკაზმული ცხენი. ბანდიტი თარეშობდა 4 დღე. ამ ხნის განმავლობაში მაჭარაშვილმა მოჰკლა მეველე ჯანიაშვილი. თარეშობის დროს მას მფარველობას უწევდნენ ანტისაბჭოთა ელემენტები. მილიციის მიერ დაპატიმრებული არიან ყველა ის კულაკები და კონტრ-რევოლიუციონერები, რომლებიც ფარავდნენ ბანდიტ მაჭარაშვილის მოქმედებას. ახლო მომავალში ისინი წარსდგებიან სასამართლოს წინაშე, როგორც კონტრ-რევოლიუციონერები.

კვირას, 16 ივნისს, სამაზრო მილიციის მიერ ბანდიტი აპრიკო მაჭარაშვილი მოკლულ იქნა.

ბიბლიოგრაფია

პროფ. ვ. ვ. ფარმაკოვსკი. მანქანათმცოდნეობა

სახელმძღვანელო უმაღლეს და საშუალო ტეხნიკურ სკოლებისათვის. — ინჟ. ვ. კაკაბაძის თარგმანი მისივე წინასიტყვაობით, დამატებებით და შენიშვნებით. სახელგამი, 1929 წ. ფასი 5 მ. 60 კ.

სახელმძღვანელოებით ჩვენი სკოლების უზრუნველყოფას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია სწავლების საქმის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. დღეს ამ მხრივ ყველაზე მეტ ყურადღებას სპეციალური სკოლა საჭიროებს და არა მარტო იმიტომ, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და მიმდინარე დიდი აშენებლობა მოითხოვს სპეციალისტების სათანადო კადრების მომზადებას, არამედ იმიტომაც, რომ ამ სკოლას დიდი ხანი არ არის რაც ჩვენში საფუძველი ჩაეყარა და ის სახელმძღვანელოებით ყველაზე ნაკლებადაა უზრუნველყოფილი. სპეციალური წიგნების ტირაჟის სიმცირისა და მათი გამოცემის შედარებით სიძვირის მიუხედავად, სახალხო განათლების კომისარიატმა და სახელგამმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ ტეხნიკურ სახელმძღვანელოების და წიგნაკების გამოსაცემად. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია არ მივესალმოდ ამ დარგში გამოსულ ყოველ სერიოზულ შრომას.

ზევით დასახელებულ კურსში გაშუქებულია მთავარი მანქანა - ძრავების მოწყობილობის და მოქმედების პრინციპები, ძალთა მანქანების რეგულიარების და მათი სიმძლავრის განსაზღვრის საკითხები და დამატებით — ორთქლის ქვაბების და მანქანების გამოცდის ნორმები. როგორც ინჟ. ვ. კაკაბაძე წინასიტყვაობაში სამართლიანად აღნიშნავს, „მანქანა - ძრავების მთლიანად ერთ კურსში მოთავსებას ის უპირატესობა აქვს, რომ ხშირად ხდება მათი ერთმანეთთან შეფარდება და ურთიერთ დაპირისპირება, რაიც საგნის უფრო ღრმად შეთვისებას აადვილებს და ნათელი წარმოდგენის შექმნის საშუალებას იძლევა. ამ მიზანს ემსახურება აგრეთვე წიგნის მდიდრულად დასურათება — ნახაზებით, სქემებით და ავტოტიპიებით. კურსის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში საკმაო ყურადღება აქვს მიქცეული ეკონომიურ მხარეს. აქ განმარტებულია — ამა თუ იმ შემთხვევაში, თუ რომელი ძრავი უნდა იქნეს შერჩეული, როგორია მისი ღირებულება, რა ჯდება ენერგიის ერთეულის გამომუშავება და სხვ.

წიგნი გამოსადეგია სპეციალურ ტეხნიკუმებისათვის და უმაღლეს სასწავლებლის იმ განყოფილებათათვის, რომლებზედაც გამოყენებითი მექანიკა არ შეადგენს მთავარ სპეციალურ საგანს (საამშენებლო, ქიმიური, სამთო, კომერციულ - ტეხნიკური და სხვ.); ის გამოსადეგია აგრეთვე ტეხნიკუმებისა და ტეხნიკურ მუშაობაში ჩაბმულ პრაქტიკოსებისათვის“.

საერთოდ პროფ. ვ. ფარმაკოვსკის წიგნი საკმაოდ ცნობილია რუსულ ტეხნიკურ ლიტერატურაში და მის შესახებ მხოლოდ ზემონათქვამით დავკმაყოფილდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქართულად გამოცემულ წიგნში ინჟ. ვ. კაკაბაძე დამატების სახით უკავშირებს ამა თუ იმ საკითხს ადგილობრივ პირობებს; მაგალითად, ის მოკლედ ეხება წყლის ენერგიის გამოყენებას და ჰიდრო - ელსადგურების მშენებლობას, ჩვენს ქვა - ნახშირს (ტყიბულისა, და ტყვარჩელისას), ქარის ენერგიის გამოყენებას, მდინარეების რეგულიარებს და სხვ.; არის აგრეთვე ზოგიერთი სხვა ხასიათის საყურადღებო შენიშვნები, მაგალითად, შიდაწვის ძრავების შეკუმშული ჟანგბადით გაშვების, სათბობის სითბუნარიანობის გამოანგარიშების შესახებ და სხვ.

წიგნის ბოლოში დართულია სახელმძღვანელოში ნახმარი ტერმინოლოგია.

თავში „ძრავების მიერ გამომუშავებული ენერგიის ერთეულის ღირებულება“ (273 — 285). საჭირო იყო, ჩვენის ფიქრით, შესწორებათა შეტანა საბჭოთა კავშირის არსებულ პირობების მიხედვით, მაგალითად, წყლის მფლობელობის შესახებ და, სხვა.

წიგნის ენა დამაკმაყოფილებელია, გამოცემა — კარგი. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი დიდი მოცულობისაა, იქ მოთავსებულია მრავალი ნახაზი და ტაბულა (რაც ადიდებს ხარჯებს), წიგნის ფასი მაინც დიდად უნდა ჩაითვალოს.

ეკონომისტი.

დოღის სეზონის შედეგები

დამთავრდა დოღის საგაზაფხულო სეზონი. შეიძლება ითქვას, რომ იგი მრავალმხრივ განირჩეოდა წინა სეზონებისაგან და თანაც მეტად შინაარსიანად ჩატარდა. წელს პირველად თბილისის იპოდრომზე წარმოდგენილი იყვნენ ამიერ-კავკ. ყველა რესპუბლიკების ცხენთსაშენის ცხენები. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სომხეთის და აზერბეიჯანის ცხენთსაშენები წელს პირველად გამოვიდნენ საკუთარი ცხენებით.

„ბერგენი“

საქ. ცხენთსაშენის 5 წლის წმინდა სისხლის ულაყი, რომელმაც აიღო საქ. რესპუბლიკის ჯილდო და დაამყარა სიმარდის რეკორდი

საქართველოს ცხენთსაშენიც, გარდა „ბერგენი“-სა და „თურქესტანი“-სა, წარმოდგენილი იყო მთლიანად ადგილობრივ მოშენებული ცხენებით.

წელს აგრეთვე დოღში პირველად გამოვიდნენ გლეხის ცხენები.

საერთოდ, ჯიშიან ცხენთათვის გამართულ დოღებში მონაწილეობა მიიღო 47 ცხენმა— მოხალისე მხედართათვის გამართულ დოღებში—32 ცხენმა და სამმა—გლეხის ცხენმა.

წმინდა სისხლის ცხენთაგან ულაყებს შორის ყველაზე უკეთეს შედეგებს სიმარდის მხრივ მიაღწიეს „ბერგენ“-მა (აიღო საქართველოს რესპუბლიკის ჯილდო), „თურქესტან“-მა და „დურ-დურ“-მა (აიღო ამიერ-კავკ. ჯილდო); წმინდა სისხლის ფაშატებიდან საუკეთესო შედეგები უჩვენეს „გნევნაია“-მ და „სოვა“-მ. ორწლიან ცხენთა შორის ყურადღება მიიქციეს: „ნათელა“-მ, „პარტახ“-მა (საქართველოს ცხენთსაშენი) და „ალაგეზ“-მა (აზერბეიჯანი).

ჯიშნარევ ცხენთაგან აღსანიშნავი არიან: „დარდიმანდი“ და „ლომის თვალი“.

მოხალისე მხედართათვის გამართულ დოღებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ საქართველოს ცხენოსანთა ლეგიონის ცხენები. ეს ლეგიონი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ასეთ დოღებში. მისი ცხენები: „ზენდუანი“, „ბიდრი“ და „ბაბუცა“ ყოველთვის პირველ ადგილზე გამოდიოდნენ. აღსანიშნავია ფაშატი „მატისტოვაია“ (ამიერ-კავკ. ქვეითი სკოლის), რომელიც ორჯერ გამოვიდა შეჯიბრებაში და ორივეჯერ გაიმარჯვა.

როგორც აღვნიშნეთ გამოცდაში გლეხთა ცხენებმა წელს პირველად მიიღეს მონაწილეობა.

სეზონის გახსნამდე საქართველოს ცხენთსაშენს განზრახვა ჰქონდა ფართოდ ჩაეტარებია გლეხთა ცხენების გამოცდა. განზრახული იყო ცალკე გლეხთა ცხენების დოღების ჩატარება, რისთვისაც ყველა მაზრებს დაეგზავნათ სათანადო მოწოდებები გამოეგზავნათ ცხენები იპოდრომზე, მაგრამ მხოლოდ სამი გლეხი გამოეხმაურა ამ მოწოდებას.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 19 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: შალვა ცინცაძე, კასიონ დეკანოსიძე, ალიოშა ასათიანი, მარგალიტა ოსიპოვა, ელისაბედ ჭიჭინაძე, არმენაკ ეროქიანი, თამარ არეფიევა, ოლღა აბრამოვა, ანაიდა აკოფოვა, ალექსანდრე გალუმოვი, გერმანე ჩიხორია, ევგენი უგრეხელიძე, შუშანა ნაზაროვა, ლიუდმილა პისემსკაია, დავით გიგაური, ეპიფანე იმნაიშვილი, ნიკოლოზ თარხნიშვილი, სარქის აბრამიანი, ნატალია ბეჟანოვა, არტემ ბუტულოვი, პავლე ილიუნისი, ვლადიმერ სხირტლაძე, მირზა მირზოევი, ვახტანგ ლომაია, კოსტანიანი, კასიონე ვასაძე, ალექსი ოსიპოვი, კონსტანტინე ხოსროშვილი, მარიცა იაკობაშვილი, სოფიო ნიკოგოსოვა, დორა თოფაძე, ევგენია გალდავაძე, მიხეილ ზიმინი, პავლე საყვარელიძე, ნიკოლოზ ტარსაიძე, სევასტი კალანდაძე, ნინო ასათიანი, თამარ დარახველიძე, ტატიანა ბაიუნოვა, ოლღა ვაჩნაძე, ვასილი ქურხული.

კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან: ვაგან მარგარიანი, შალვა ჭიპიაშვილი, გიორგი არაბიანცი, შალვა სულხანიშვილი, გიორგი ოქროპირიძე, შაქრო თულიანი, არშაკ ბაღდასაროვი, პავლე ძნელაძე, დავით კირვალიძე, სიმონ კახეთელიძე, ილია ჩიქვალაძე, მარქარიანი, გიორგი მინდიაშვილი, არმენაკ პაპიაშვილი.

მშენებელ მუშათა სექციიდან: ივანე არველაძე, გიორგი მიქაძე, ანატოლ გაპჩენკო, მელიქ მელიქიანი.

შავ მუშათა სექციიდან: არმენაკ ვართანოვი, ალექსი მაისურაძე, პავლე პეტრიაშვილი, მიხეილ სვანიშვილი, იოსებ მანძილაშვილი, გიორგი რუსიშვილი, კონსტანტინე ტერგრიგორიანი, ბოგდანოვი, სამსონ ოსიპოვი, გიორი აბედოვი, ერვანდ არიბჯანოვი, ალექსანდრე მსხალაძე, გრიგოლ ფიცხალაური, თედორე შჩუკინი, ანდრო ოგანეზოვი, გიორგი არამუზოვი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

გრ. მეფარიშვილ

კითხვა:

მაქვს 1700 ოთკ. საჟენი მიწა; ამ მიწის ნაწილზე (1.200 ოთკ. საჟ.) გაშენებულია ვენახი, დანარჩენი 500 ოთკ. საჟ. საეზოვეთ მაქვს. მიწას ვამუშავებ პირადად დაქირავებული შრომის დაუხმარებლად. მაქვს აგრეთვე ერთი დარბაზ, რომელიც არის გაქირავებული 360 მანეთად წელიწადში. სამოსახლო ადგილზე მიდგია ფიცრული სახლი ჩემს საცხოვრებლად. არა ვარ მევახშე. 1916 წლიდან არ ვაწარმოებ არავითარ ვაჭრობას.

გეკითხებით, შეიძლება თუ არა ჩავითვალო „კულაკად“.

პასუხი:

თქვენ მიერ დასმულ საკითხზე პასუხის მიცემა არ შეიძლება იმ ცნობების მიხედვით, რომელიც მოთავსებულია შეკითხვაში. ვინ შეიძლება ცნობილ იქნეს კულაკად, ეს განისაზღვრება ადგილზე გარემოებათა მთელი რიგის მიხედვით.

მოანგარიშე ა. კოპალეიშვილს

კითხვა:

სოფელში მაქვს სამოსახლო ადგილი ორი ქცევა ნახევარი, რომელზედაც აგებულია ოროთვალიანი სამზარეულო ხის სახლი. ამ შენობას უვლის ჩემი ძმა და მამისძმა რკინისგზის სამმართველოში და ზაფხულობით და აგრეთვე შვებულების დროს ჩავდივარ ცოლშვილითურთ სოფელში. ვაპირებდი გადასვლას სამსახურში სამტრედიაში იმ მიზნით, რომ სოფლის მეურნეობასთან ახლო ვყოფილიყავი, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადასვლაზე უარი მითხრა, რადგან მოყოლებული ვარ იმ პირთა სიაში, ვისაც სახლკარი უნდა ჩამოერთვას. მე არავითარი საკუთრება არა მაქვს, ვცხოვრობ დაქირავებულ სახლში. გეკითხებით, ჩამოერთმევა თუ არა მიწა ასეთი კოხების პატრონს?

პასუხი:

რადგან თქვენ სამოსახლო ადგილზე გაქვთ საცხოვრებელი შენობა, ეს ადგილი თქვენ ვერ ჩამოგერთმევათ არსებულ კანონის მიხედვით, მაგრამ რადგან თქვენ მეურნეობასთან ის კავშირი არა გაქვთ, რასაც კანონი მოითხოვს, ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია ჩამოგართვას მიწის ის ნაწილი, რაც სამოსახლო ადგილისათვის დაწესებულ ნორმას (1.200 ოთკ. საჟ.) აღემატება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რკინის გზაზე არა ხართ ფიზიკურ სამუშაოზე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

„ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკების ზოგიერთ მაზრებს შორის მიწისა და ტყის გამო აღძრულ დავათა საკითხის თაობაზე“ 1929 წ. თებერვლის 18-ს გამოტანილი ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების განხორციელებისათვის შესახებ

ა.-კ.ს.ფ.ს.რ. შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ზოგიერთ მაზრებს შორის მიწისა და ტყის გამო აღძრულ დავათა საკითხის თაობაზე 1929 წ. თებერვლის 18-ს გამოტანილი ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1929 წ. თებერვლის 18-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად (ა.-კ.ს.ფ.ს.რ. კან. კრ. 1929 წ. მე-4 №-ში, მუხ. 29) საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ბორჩალოს, ახალქალაქისა და კახეთის მაზრების აღმასრულებელ კომიტეტებს აცნობონ ადგილობრივ მოსახლეობას: ა) რომ ა.-კ.ს.ფ.ს.რ. შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ზოგიერთი მომიჯნავე მაზრების აღმასრულებელ კომიტეტებს შორის მიწისა და ტყის გამო აღძრული ყველა დავა გადაწყვეტილია ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1929 წ. თებერვლის 18-ს დადგენილებით; ბ) რომ ეს დადგენილება შედგენილია ყველა იმ გარემოებათა ადგილობრივ შესწავლის შემდეგ, რაც საფუძვლად ედვა ამა თუ იმ დავას და გამოტანილია დაინტერესებული რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანოების მიერ საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილ პასუხისმგებელ წარმომადგენელთა ერთხმივი გადაწყვეტილების თანახმად; გ) რომ აღნიშნული დადგენილება საბოლოოა და არ გადაისინჯება და დ) ამ დადგენილების აღსრულება ადგილებზე დავალებული აქვს ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ მიწისა და ტყის გამო აღძრულ დავათა გადამწყვეტ კომისიას.

2. დაევალოს ბორჩალოს, კახეთის და ახალქალაქის მაზრების აღმასრულებელ კომიტეტებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ 1-ლი მუხლის „დ“ პუნქტში აღნიშნულ კომისიას დაკისრებული მიზნის განხორციელების საქმეში, რაც შესრულებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1929 წ. შემოდგომისა.

3. დაევალოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებს მისცეს აუცილებლად პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ზემოაღნიშნული — 1929 წ. თებერვლის 18-ს დადგენილების დარღვევაში დამნაშავე პირნი და აღძრას სათანადო შემთხვევაში თანამდებობის პირთა წინააღმდეგ დევნა სისხ. სამ. კოდ. 116 მუხლის მიხედვით, ხოლო კერძო პირთა წინააღმდეგ სისხ. სამ. კოდ. 72 და 73 მუხლებისამებრ.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **შ. მახარაძე.**

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი: **ვ. მგზრელიშვილი.**

1929 წ. მაისის 14.
თბილისი — სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 19 ივნისს, დილის 10 საათზე ც. კ. აგიტპროპგანყოფილებაში მოწვეულია თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ტოროშელიძე, კიკნაძე („კომუნისტი“) ბიბინეიშვილი (სახელგამი), ტოროტაძე („შრომა“).

—:—

საქართველოს კ.პ. (ბ) მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება ოთხშაბათს, 19 ივნისს, საღამოს 5 საათზე იწვევს თათბირს, რომელზედაც სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: შავერდოვა (ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტი), ანდრიაძე (თბილისის კომიტეტი), მგელაძე (ქალ. რაიკომი), კარასევა (ლენრაიკომი), მატინიანი (26 კომ. სახ. რაიკომი), ჟუჟიკაშვილი (ც.კ. აგიტპროპგანყოფილება), შიუკაშვილი (ქალთა კომისია), ჩარკვიანი (მედსანშრომის კავშირი), თალაკვაძე (პროფსაბჭო) და ქართველიშვილი (ჯანმრთ. სახ. კომისარიატი).

—:—

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. სერგო მდივანს გამოცხადდეს 19 ივნისს 9 საათზე საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ. 24, მესამე სართული, თახი № 11).

დღეს, 19 ივნისს, საღამოს 5 საათზე, სოც. ჰიგიენის კათედრის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) შესდგება სახ. უნივერსიტეტის სამკ. ფაკულტეტის კომუჯრედის კრება. კრებაზე უნდა გამოცხადდენ სამკ. ფაკულტეტის კომკავშირის უჯრედის ბიუროს წევრები და აგრეთვე სამკ. ფაკულტეტის მე-6 კურსის კომკავშირელები.

—:—

ამა წლ. 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე დაიხურება ს.კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაობის ცენტრალური კომიტეტის წიგნთსაცავ-სამკითხველო. ყველა მკითხველებს ევალება დააბრუნონ წიგნები არა უგვიანეს 25 ივნისისა. ა.-წ. 25 ივნისიდან წიგნების გაცემა შეწყვეტილია.

—:—

ოთხშაბათს, 19 ივნისს, საღამოს 5 საათზე ს.ს.პ.ი.-ს შენობაში დანიშნულია პარტიის კოლექტივის ღია კრება პედაგოგიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: ვ. ი. ლენინის სახელობის ს.პ.ი.-ს გამგეობის ანგარიში—(რექტორ დ. კანდელაკის მოხსენება).

„საქართველოს ღვინო“-ს მუშა მოსამსახურენი მწუხარებით იუწყებიან ენერგიულ და პატიოსან მუშის
ამხ. გიორგი ჯავახიშვილის
ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან 20 ივნისს დღის 3 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

მარიამ მამულაშვილი, ალექსანდრა და ლევან ქართველიშვილები იუწყებიან ძვირფასი დედის
ეკატერინე პავლეს ასული ქართველიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19 ივნისს 4 ნახ. საათზე კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება ბინიდან—ლენინის ქ. № 38 2284

დამწუხრებულნი: დედა მართა, მამა გლახო, და დარიკო, ძმები ზაქარა და ალექსანდრე, რძლები: დომინიკა და ნინა სარალიძეები და აგრეთვე მისი უახლოესი მეგობარი მარო მელქაძე, იუწყებიან, რომ 23 ივნის ს. მირზაანში
ივანე (ვანო) გლახას-ძე სარალიძის
ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 2240

დამწუხრებულნი მეუღლე კრისტინე, შვილები: ენუქი, დომენტი, კატო და შურიკო, რძლები მარო და სონია, სიძეები ივლიანე ჩიმაკაძე და ჭიჭიკო არლანაშვილი, შვილის შვილები: ქეთო, მარგო, გივი, შოთა, ვახტანგი, კაკუ, ერიკო და ლუტუნა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი
ერისტო ნიკოლოზის ძე მელაძე
დაკრძალვა სოთ. მათხოჯში პარასკევს 21 ივნისს. (შ)

სახკინმრეწვის კინოები
საზაფხულო აპოლო — მხატვრული ფილმი რიაზანელი დედაკაცები
საზაფხულო ეთერი — დიდი ქალაქის სიმფონია (ბერლინი)
საზ. ფხულო პალასი — სეზონის საუკეთესო სურათი ორი ჯავშნოსანი
მინიონი, აპოლო, სოლეი — სეზონის საუკეთესო სურათი ღამის მეეტლე
მთავარ როლებში: ბუჩმა, დიუსიმეტიერი
რეჟისორი ტასინი
მალე ანა სტენი, კუტუზოვი სურათში მისი კარიერა

სახელმწიფო ბაღი (ყოფ. ალექ.)
დღეს 19 ივნისს
სიმფონიური კონცერტი თეატრში
ა. გველესიანის ხელმ.
პროგრამაში: ჩაიკოვსკი, ვაგნერი, ლისტი, კილაძე
ესტრადაზე ვოკალური კონცერტი
გასტროლები: მოსკოვის ცნობილი მსახიობის გ. ი. აფონინის
ნ. ალექსი-მესხიშვილის, ბეჟანოვას, კობელის, ჰაუზენის ლარიბოვის, ჭიჭინაძის და ჭყონიასი
კონფერანსიე ი. ვოლსკი
როიალთან შავერსაშვილი

საზაფხულო კინო-თეატრ პალასში
საუკეთესო ფილმს
დღეიდან 19 ივნისიდან ყველა ნახავს
2 ჯავშნოსანი
სცენარი ვ. შკლოვსკის რეჟისორი ს. ტიმოშენკო
სიმებიანი ორკესტრი ა. ფიდელმანის ხელმძღვანელ.
პირველი სეანსის დასაწყისი 7 ს. 15 წუთზე.

ქ. თბ. მე-4 უბნის სასამართ. აღმასრულებელი
ა. გიორგაძე
ამით აცხადებს, რომ ის 22 ივნისს, 1929 წელს, დღის 2 საათზე, სახლში № 50 კამოს ქუჩაზე
საჯარო ვაჭრობით
გაყიდის მოქ. იოსებ ჩარუხჩევის მოძრავ ქონებას, 2 კედლის სარკეს, რბილ ავეჯს, ტუალეტის მაგიდას, გრამაფონს, სურათებს ტილოზე, ნოხებს და სხვა ნივთებს, შეფასებულს 1124 მანეთად მოქ. ტიგრან შერმაზანოვის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის მე-2 უბნის სახ. სასამართლოსაგან 19 ნოემბრის 1926 წლის თარიღით გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა № № 4083 და 4084. 2281

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და ყოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: საღამოს 5—7 საათ
გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №—2573 25—6 124-50

ექიმი
ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავთ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19
იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25

პროფ. ბრ. მ. მუხაძე
თბილისიდან წასულია და დაბრუნდება 20 ივნისს. 13—1

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 23 ივნისს, დილის 10 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 2797

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29
ტელეფონი—11—78.

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე. მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან ტელ. 14—23. 25—1

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს
ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს). პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8.

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914“ შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალებისა 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ქ. ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩეჩელაშვილი
იღებს სპეციალურად ფილტვების ავადმყოფებს
დილის 8—12 საათამდე. ჭავჭავაძის ქუჩა № 4 ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით. 25—14

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ.
საღამ. 6—7 საათ. ქალები
7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან). 25—1

ექიმი
პ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ
კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

დავკარგე: უვადო პასპორტი № 808 და სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი სოლომონ გიორგის ძე მედულაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2279

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9 -12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი ილია გრიგოლისძე ქასრაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2278

დავკარგე: მატრიკული 919 და განათლების კავშირის საწევრო წიგნაკი ქსენია ჭელიძის სახელზე, ჩ. გ. 2280

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგ. № 17881 ბიქტორ ა. გაწერელიას სახელზე, ჩ. გ. 2273

დავკარგე: საქ. ხელოვნების მუშაკთა კავშირიდან მიღებული საწევრო წიგნაკი შ. დუდუჩავას სახელზე, ჩ. გ. 2282

დავკარგე: პურის წიგნაკი № 74 „Б“ კატეგორიის, 3 სულისა რუსუდან ლევანის ასული ქავთარაძისა სახელზე, ჩ. გ. 2274

დავკარგე: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 7121 მოცემული გორის სამაზრო სამხედრო განყოფილებიდან ეგნატე გაბრიელისძე გიგოლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2281

ტირაჟი—39.325

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68

მთავლიტი № 904.